დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თეა გაბელაია
წევრები:
1. მზია გელაშვილი(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
2. მაია ქევხიშვილი-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
3. მარიამ ჯვარიძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
4. ანანო შანავა- (უცხოენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
5. ციალა ჩიტია-- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
6. შაქრო ჟღენტი- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
7. ნანა ნოზაძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
8. მაკა ინაშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
9. ლია ციცქიშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
10. კობა დეკანაძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087845

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუცა N22
საფოსტო ინდექსი	0167
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Tbilis208@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**0322658822**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ბრძანება MES 4 23 0001224825 (25.09 2023 წელი)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26-27 ოქტომბერი, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 26-27 ოქტომბერს სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თეა გაბელაია--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე - ადგილზე ვიზიტი)

წევრები:

1. მზია გელაშვილი(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
2. მაია ქევხიშვილი-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
3. მარიამ ჯვარიძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
4. ანანო შანავა- (უცხოენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
5. ციალა ჩიტია-- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
6. შაქრო ჟღენტი- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
7. ნანა ნოზაძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
8. მაკა ინაშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
9. ლია ციცქიშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)
10. კობა დეკანაძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან, კეთილგანწყობილ და მშვიდ ვითარებაში. სკოლის პერსონალი იყო გულისხმიერი და გამოირჩეოდნენ თანამშრომლობის მაღალი კულტურით. მყისიერად ხდებოდა მოთხოვნილი დოკუმენტისა თუ ინფორმაციის მოწოდება. სკოლამ წარმოაჩინა მაღალი საშემსრულებლო კულტურა. იგრძნობოდა, რომ სკოლის თანამშრომელთა გუნდური დამოკიდებულება საქმისადმი.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალსა და მასწავლებლებს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან განხორციელდა ონლაინ.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და მიგნებების შესაბამისად გასცა რეკომენდაციები და რჩევები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის საუკეთესო გამოცდილებად და გამორჩეულ პრაქტიკად უნდა ვაღიაროთ სკოლაში არაფორმალური განათლების დანერგვა. სკოლა არაფორმალური განათლების დანერგვით მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების უნარების განვითარებას.
სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არაფორმალური სივრცეების შექმნა - სასკოლო კლუბებისა და წრეების ჩამოყალიბება, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინიციატივების მიხედვით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა II სტანდარტის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე .

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების განხორციელებისას გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგი, რისკები და პასუხისმგებელი სტურქტურული ერთეულები/პირების დამატება.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს პერსონალის მიერ კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა გონივრულ ვადაში.
ინდიკატორი 3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების, როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე (მაგალითად, სასამართლო და სხვ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანისა და შენობის ექსპლუატაციის, მდგრადობის გონივრულ ვადაში დადგენის.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**რჩევა:** პედაგოგებმა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით შექმნას და დახვეწოს ყველა კონტექსტ-მაგალითზე, ყველა კომპლექსურ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი ინდიკატორების გათვალისწინებით. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საბაზო საფეხური).

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ქალაქ თბილისისი N208 საჯარო სკოლის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლას შექმნილი აქვს როგორც მთლიანი სკოლის, ასევე საფეხურების მიხედვით ჩაშლილი მისია.

მისია

არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით, მოზარდს ჩამოუყალიბდეს უწყვეტი განვითარებისა და შეძენილი ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარი. ასევე მიღებული განათლებით მოზარდმა შეძლოს ინტელექტუალური, შემოქმედებითი, შემეცნებითი და დემოკრატიული ფასეულობების შექმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხედვა

მისიის მიღწევა განხორციელდება მრავალფეროვანი კლუბური მუშაობითა და ეფექტური სასწავლო მეთოდებით, რაც უზრუნველყოფს მომავალი 7 წლის განმავლობაში აღზარდოს მოქალაქეები, რომლებსაც ექნებათ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი.

სკოლის ღირებულებებია:

- მოწავლის ინდივიდუალურ უნარებზე ორიენტირებულობა
- დემოკრატიულობა
- ობიექტურობა და სამართლიანობა
- პატრიოტულობა
- ინტელექტუალურობა
- შემოქმედებითობა
- შემეცნებითობა

მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას კანონის შესაბამისად შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოს მიერ. (2023 წლის 07 სექტენბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7 და 2023 წლის 06 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N11).

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ უპირველესად ის საზოგადოების ნაწილია, ამიტომ ახალ სასწავლო მიდგომებზე დაყრდნობით შეისწავლა სასკოლო საზოგადოების, თემის გამოწვევები, გამოყო პრიორიტეტები და ღიაობის, ჩართულობის პრინციპით შექმნა უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემო, მოსწავლისათვის, მასწავლებლისა და მშობლისათვის. სასწავლო პროცესში ყოველთვის გათვალისწინებული და პრიორიტეტულია მოსწავლის ინტერესი და უკუკავშირი, მიღებულია მათი წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები.

სკოლა თავისი მისიით,ხედვით და ღირებულებებით ქმნის სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო კულტურულ სივრცეს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელშიც მითითებულია თუ როგორ გარემოში, როგორი მატერიალური და ადამიანური რესურსით შეძლებს მისიითა და ხედვით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას.

სკოლა აქტიურად უწყობს ხელს არაფორმალური განათლების დანერგვას. სკოლა სასკოლო საზოგადოებას აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას და ხელს უწყობს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. . სკოლაში ხორციელდება სხვადასხა სასწავლო და სოციალური პროექტები, აქტივობები სასკოლო საზოგადოების ინიციატივიტა და აქტიური ჩართულობით. სკოლა აქტიურად ზრუნავს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე.

სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების კვლევის შედაგად ფუნქციონირებს კლუბები:

1. ეკოკლუბი -,,მოგზაურები“
2. ეკოკლუბი-,,ეკოქეარი“
3. ინგლისური ენის კლუბი;
4. რობოტექნიკის კლუბი;
5. მწიგნობართა კლუბი;
6. სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ინოვატორი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და დანერგვის მიზნით სკოლას მემორანდუმი აქვს ,,ეკოვიჟენთან“ -კავშირი მდგრადი განვითარებისათვის.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების გამომუშავებისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით სკოლას ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სსიპ-კოლეჯ ,,მერმისთან“.
კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, კერძოდ:

- ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში პროექტი- ,,კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზები“;
- სასკოლო პროექტი - ,,დედამიწა ჩემი სახლია“;
- ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში პროექტი- კულტურული მრავალფეროვნება;

სამოქალაქო განათლები კლუბის მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტები ატვირთულია მომავლის თაობის Facebook გვერდზე.

https://www.facebook.com/groups/2014364388811836/?multi_permalinks=2773911006190500&ref=share

სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ 2020 წელს მომავლის თაობის ფარგლებში 16 პარტნიორ სკოლას შორის, პანდემიის პირობებში, ონლაინ რეჟიმში გაიმართა დებატები, სადაც სკოლის მოსწავლეებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო ერთერთმა მოსწავლემ სპიკერის პოზიციაზე მოიპოვა პირველი ადგილი.

- https://www.facebook.com/groups/2014364388811836/?multi_permalinks=2637907246457544&ref=share

მოსწავლეებში დიდი ინტერესის და სურვილის გამო, ასევე პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო განათლების კლუბი „ინოვატორები“ 2018 წლიდან, ყოველ წელს ატარებს იმიტირებულ სასამართლო პროცესს. მოსწავლეები თეორიულად სწავლობენ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის პრინციპს და შემდეგ პრაქტიკაში ახორციელებენ. აცნობიერებენ ადვოკატის,მოსამართლის, მოწმის როლს პროცესში. როგორც, დირექტორმა აღნიშნა, სკოლამ თავდაპირველად ითანამშრომლა თბილისის 119-ე საჯარო სკოლასთან, სადაც სკოლას ჰყავდა 12 ნაფიცი მსაჯული მოწვეული, ამ პროცესზე ადგილი ჰქონდა „აცილებასაც“. სკოლამ ასევე ითანამშრომლა კრიმინოლოგიურ ცენტრთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2022-2023 სასწავლო წელს კლუმბა განახორციელა პროექტი „წიგნებად ქცეული მაკულატურა“. კლუბის წევრებმა დაინაწილეს სკოლა ზონებად, კლასებს გააცნეს პროექტის მიზანი, ქცევის წესები, რითაც დაეხმარებოდნენ კლუბელებს პროექტის განხორციელებაში, გააკეთეს ყუთები მაკულატურის შესაგროვებლად, დადგეს კლასებში,რომლებსაც ყოველდღიურად ცლიდნენ, ათავსებდნენ დიდ პარკებში და აგროვებდნენ. პარალელურ რეჟიმში შეუთანხმდნენ ორგანიზაციას, რომელიც იბარებს მაკულატურას, ასევე აწარმოეს გამოკითხვა სკოლის მოსწავლეებში, თუ რომელი წიგნების შეძენა სურდათ სკოლის ბიბლიოთეკისთვის. პროექტის ფარგლებში სკოლამ ბიბლიოთეკას შესძინა წიგნები.

სამოქალაქო განათლების მასწავლებლმა ინტერვიუს დროს განაცხდა, რომ 2023 სასწავლო წელს სამოქალაქო განათლების პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი „ქალის როლი საზოგადოებაში“. თავდაპირველად მოიძიეს ინფორმაცია ცნობილ ქალებზე. მათ შექმნეს დახურული ანკეტები, რითაც გაიგეს სასკოლო თემში აზრი საკითხთან დაკავშირებით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ბავშვებმა გააკეთეს სტატისტიკის მაჩვენებელი დიაგრამა. ასევევ შექმნეს კედლის გაზეთი, სადაც დატანილი იყო ცნობილი ქალების ფრაზები და მოკლე ბიოგრაფიები. გააკეტეს პრეზენტაცია სასკოლო თემისთვის,სადაც ნამუშევრები წარადგინეს.

ასევე 2023 სასწავლო წლის,სამოქალაქო განათლების პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ტრეფიკინგი“. მათ მოიძიეს ინფორმაცია ტრეფიკინგთან დაკავშირებით. შექმნეს კედლის გაზეთები. მესამე საფეხურის მოსწავლეებმა ჩააატარეს შეხვედრები პირველი და მეორე საფეხურის მოსწავლეებთან. უყურეს ვიდეო ფილმს „პოლიციის ფაილებიდან“ , რის შემდეგაც გაიმართა საინტერესო დისკუსია თემასთან დაკავშირებით.

სკოლაში შეიმჩნევა დაცულობისა და კეთილგანწყობილი გარემო. ყველა კედელი გაფორმებული მოსწავლეთა ნამუშევრებითა და სასპორტო ღონისძიებებში თუ ოლიმპიადებში გამარჯვების სიგელებით.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა პროექტი ,,ოქროსფერი შემოდგომა“, სადაც სკოლის თითოეული კლასი მშობლებტან და მასწავლებლებტან ერთად იყვნენ ჩართულები. პროექტის ფარგლებში სკოლის სამივე სართულზე მოეწყო გამოფენა/კომპოზიცია ,,ოქროსფერი შემოდგომა“. თითოეულ კლასს წარმოდგენილი ჰქონდა სიმღერები, ცეკვები, ლექსები და სხვადასხვა აქტივობები.

სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შესაქმნელად სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი (რომელიც საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას), კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და სააქტო დარბაზი. სკოლაში უცხო პირთა შესვლა კონტროლდება სკოლის დარაჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიერ. სკოლაში თავისუფალ დროს მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობა განრიგი დღეების მიხედვით. მოსწავლეები ჩართულები არიან განათლებისა და მეცნიერების, სკოლისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ სხვასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში (სპორტული და შემეცნებით), რომლის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სიგელები, დიპლომები, თასები და სხადასხვა ჯილდოები.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო აღსანიშნავია, რომ სკოლის ფილოსოფიისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად, სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 მაისის 2-117 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სკოლის ფილოსოფისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა გაწერა სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე განახორციელა სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამუშაო ჯგუფში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები.

დირექტორის განმარტებით სკოლის ფილოსოფიის შემუშავება გახორციელდა სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 მაისის 2-116 ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის ფილოსოფისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დკოუმენტის შესაბამისად და საჭიროებების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის მოსაგროვებლად სკოლამ გამოიყენა ინტერვიურება, გამოკითხავა (ფორმსი), მეორადი მონაცემების დამუშავება და სხვა. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მშობლების, მასწავლებელების და მოსწავლეების შევსებული კითხვარები.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ფილოსოფისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში ჩართულები იყვნენ სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის პროცესი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მიმდინარეობდა. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაგზავნილია კლასების მიხედვით სადამრიგებლო ჯგუფებში მშობლებისათვის, ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. ამდენად ყველა რგოლში მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია.

ინდიკატორი 1.1.1. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი: განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას. ასევე საჯაროობის მიზნით გამოყენებულია სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც: მეილები, თიმსი, საინფორმაციო ქსელები, მშობელთ ჯგუფებში გაზიარება.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 72.12.03.343), რითაც დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

2. სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის მიმდინარე მისიისა და ხედვის დეკლარირებული დოკუმენტი;

2. სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;

3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება;

4. გასაუბრება სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან;

5 სკოლის ინტერიერის ვიზუალური დათვალიერება.
6 კლუბის დებულებები;
7 შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმა;
8 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნაზე;
9 სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნისას.

სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლა) ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს სკოლის ფილოსფოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, გაზიარების, ცვლილების შეტანის ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დირექცია და სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, დაინტერესებული პირები).

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:



მეთოდოლოგიის დოკუმენტის შსაბამისად სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე.
სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. **თანამონაწილეობა** - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებისა და განხილვის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტის/პროექტების გაზიარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. **სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება** - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებს, მათ მოლოდინებს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.
3. **გამჭვირვალობა** - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის და შემუშავებული გეგმის განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.
4. **ანგარიშვალდებულება** - სამოქმედო გეგმის ანგარიში მზადდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ. სტრატეგიული გეგმის შუალედური ანგარიში ხორციელდება 3 (სამ) წელიწადში ერთხელ, საბოლოო ანგარიში კი არაუგვიანეს 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ. სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების საჯაროობას სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი (2023-2030 წელი) სტრატეგიული გეგმა რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ასევე წარმოადგინა ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შემდგენლობის შესახებ ბრძანება.
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი ეფუძნება სკოლის მისიას ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიულ გეგმის პროექტში წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულები. გეგმის მიხედვით პროცესი არის ციკლური. განსაზღვრულის სტრატეგიული მიმართულებები, რომელიც დაკვირვებისა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების ჯგუფმა. ყველა მიმართულება თავსებადია მისიასთან და მიღწევის გზები გამომდინარეობს მიზნებიდან. სკოლას გააჩნია დაგეგმვის და განხორციელების პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
- მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა.

თითოეულ სტრატეგიულ მიმართულებასთან მიმართებით არ არის განსაზღვრულია მოსალოდნელი შედეგი, რისკები და პასუხისმგებელი სტურქტურული ერთეულები/პირები.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიულ გეგმაში ცვლიელბის განხორციელებისას გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგი, რისკები და პასუხისმგებელი სტურქტურული ერთეულები/პირების დამატება.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და შემუშავებულია გასული სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისა და თვითშეფასების საფუძველზე. სამოქმედო გეგმაში აქცენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მშობელთა ჩართვის გაძლიერება სასკოლო აქტივობებში, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგაიზება და არაფორმალური მიმართულების გაძლიერება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც შედგენილია 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით და ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამოქმედო გეგმაში ასახულია კონკრეტული აქტივობები, რომელთა შესრულებაც ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას და სკოლის მისიის შესრულებას. გეგმა მოიცავს აქტივობებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელი პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს.
შესრულების ინდიკატორებსა და რესურსებს. გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები.

<u>სკოლის სტრატეგიული მიზნებია:</u>

- **სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;**
- **სკოლის ორგანიზაციული განვითარება;**
- **ადამიანური რესურსების განვითარება;**
- **მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა**

თითეული სტრატეგიული მიზანი მოიცავს ამოცანებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია, როგორ და ვისი ჩართულობით და რა რესურსით შეიქმნება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და მასზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აქტივობები განსაზღვრული არის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ამოცანების შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესრულების აქტივობები/შინაარსი, რეალისტური ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი 1.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
4. სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზა. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და ობიექტური შეფასების სისტემა ზრდის საზოგადოების ნდობას სკოლის დირექციის საქმიანობისადმი. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.

სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება განახორციელდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ. მონიტორინგის ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში განხორციელდება 3 (სამ) წელიწადში ერთხელ, საბოლოო ანგარიში კი არაუგვიანეს 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად და არანაკლებ წელიწადში ორჯერ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს შესაბამისი მტკიცებულებებით.

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების ანგარიშების წარმოდგენა განხორციელდება ერთობლივ ჭრილში. მონიტორინგის დროს შემოწმდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები ემსახურება თუ არა სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი. სტრატეგიული გეგმის შეფასება მთლიანად სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. იგი გარანტიაა იმისა, რომ დასახული გეგმა წარმატებით სრულდება.

მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ანალიზის შედეგებს განსახილველად მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე წარადგენს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. შეფასების და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა (უკიდურეს შემთხვევაში) და სამოქმედო გეგმის ცვლილება.
დამტკიცებული ანგარიშე(ბ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე.
ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული და ვიზიტის პერიოდში წარმოადგენილი დოკუმენტით ,,სკოლის ფილოსოფია (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტი' დასტურდება, რომ სკოლა სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.
მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს.
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში ხორციელდება 3 (სამ) წელიწადში ერთხელ, საბოლოო ანგარიში კი არაუგვიანეს 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად და არანაკლებ წელიწადში ორჯერ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს შესაბამისი მტკიცებულებებით.
სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლაგამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გაიწერება სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში, სხდომის შემდეგ ანგარიშები განთავსდება საინფორმაციო დაფაზე, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, აიტვირთება სკოლის ვებგვერდზე. წლის ბოლოს შედეგების პრეზენტაცია გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარდა ამისა სკოლა იზრუნებს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას. ამისათვის გამოიყენება, როგორც მშობელთა ჩართულობა პროექტების განხორციელებაში, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით მოხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დირექტორის ინტერვიუთი დასტურდება, რომ სკოლის ვებ. გვერდზე საჯაროობისა და მეტი გამჭვირვალობისთვის ატვირთება გასული წლის ანგარიშები, სკოლის განვითარების 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და ა.შ.

ინდიკატორი 1.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგადა დასტურდება, რომ 2022-2023 სასწავლო წლის შედეგები განხილულია და გაანალიზებულია, შედეგები ასახულია 2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ჩატარებულია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები სასკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოკვლეულია მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდაც ისკოლას აქვს მზაობა ანალოგიური პრაქტიკის დანერგვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფილოსოფია (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი,
2. გასული წლების გეგმების და ანგარიშების ნიმუშები.
3. სტრატეგიული გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 84 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 61 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ '' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
სკოლის დირექტორის 2-126 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები. თანამდებობრივი ინსტრუქციები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის", „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების თანამდებობების და სტრუქტურული ერთეულების დასახელებას/პოზიციებს, მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებს/მოვალეობებს, ანგარიშვალდებულებას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თანამდებობრივი ინსტრუქციები ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად. თანამდებობრივი ინსტრუქციები წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომლითაც რეგულირდება სკოლაში მასწავლებლის მიღება/შერჩევა და ადაპტირება. დოკუმენტში მოცემულია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.

მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან" შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუირება წარიმართა სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებთანაც და შესწავლილ იქნა მათ მიერ დაოქმებული განხილული საკითხები. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სამეურვეო საბჭო კანონის დაცვით აკონტროლებს სკოლის ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს. ინტერვიუირების დროსაც გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული საბოლოო ჯამში სკოლის მისიას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

სკოლამ წარმოდგინა სკოლის სტრუქტურის დოკუმენტი. არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები გაწერილია ხელშეკრულებებში და შესაბამისობაში სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი ფუნქცია და პასუხისმგებლობა. თითოეულ თანამშრომელთან დადებულია ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.1.1. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
3. მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
5. საშტატო განრიგი;
6. პერსონალთან ხელშეკრულებები;
7. დებულებები;
8. პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები გაწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც აფასებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლების საქმიანობას. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი რომელიც შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის შინაგანაწესი და სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისია და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრები, რომელებიც აკვირდებიან მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესს, ხდება მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, შესაბამისად იძლევიან უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწავლებელთა მიერ შემდგომ კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტს.

სკოლამ ასევე ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების დოკუმენტი (ბრძანება 2-127 01. ივნისი, 2023 წელი), რომლის მიზანიც ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელებაა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დოკუმენტით დასტურდება, რომ მოხდება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასება და მუდმივი განვითარება.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პოლიტიკა. სკოლამ ასევე დადასტურებად წარმოადგინა შინაგანაწესი, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც უზრუნველყოფს პოზიციის (ვაკანსიის) შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი (როგორც შიდა, ასევე ღია, საჭიროებიდან გამომდინარე) და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. კონკურსი ცხადდება ელექტრონულ პლატფორმაზე (www.teacherjobs.ge) განთავსებით და მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 174/ნ ბრძანების შესაბამისად. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკუროს მასალებითა და ვაკანსიების გვერდის დათვალიერებით (www. teachers. gov.ge). სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ბრძანებები და ოქმები ვაკანსიებთან დაკავშირებით. (ბრძანება 2-224 ; 22.08.2023 წელი; ბრძანება 2-230 ; 31.08.2023 წელი; საკონკურსო კომისიის ოქმი N1 და N2; 01.09. 2023 წელი)

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით(ბრძანება 2-224 ; 22.08.2023 წელი; ბრძანება 2-230 ; 31.08.2023 წელი; საკონკურსო კომისიის ოქმი N1 და N2; 01.09. 2023 წელი), გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე, ასევე განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში დასაქმებულთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხელმისაწვდომ ადგილას. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.
აღნიშნულ საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კომისიის შექმნის ბრძანება, კომისიის ოქმი და თანამშრომლად დადებული ხელშეკრულებები და დასაქმებულთა პირადი საქმე.

სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგნელი, საგანმანათლებლო რესურცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი, სკოლის წარმომადგენელი. შეჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც პირადი საქმის გარდა ასახულია eschool-ის ბაზაში. ტექნიკური პერსონალი წარმოადგენს გამოცდილ და კვალიფიციურ კადრს.

ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა სკოლის მიერ გამოცემული საერთო ბრძანებები და ბრძანებების გატარების ჟურნალი , სადაც სკოლას ასახულია სხვადასხვა ვაკანსიის შესახებ ბრძანება. პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ყველა დასაქმების მსურველს თანაბარ პირობებში აყენებდა და იცავენ კონკურსით განსაზღვრულ ეტაპებს.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საკონკურსო კომისიის ოქმებიც, სადაც დეტალურადაა ასახული გამოცხადებული კონკურსის სამივე ეტაპის მიმდინარეობა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება.
სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. ასევე ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პირად საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ:
მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადება;
ბ) CV,
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ)ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;
ე) სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ცნობა.
ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
ზ) ცნობა ნარკოლოგიურის შესახებ;

რაც შეეხება ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის' ჰქონდა ორპირს, დანარჩენ დასაქმებულ პირებს განაცხადი ჰქონდათ გაკეთებული აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნაზე.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს პერსონალის მიერ კანონმდებლობის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა გონივრულ ვადაში.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 84 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 61 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე 2, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 2 სპეს. მასწავლებელი, 3 ასისტენტი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ექიმი, 4 დარაჯი , 5 დამლაგებელი და 1 ცეცხლფარეში.

სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი და წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.
სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადება;
ბ) CV;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.
ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების ოქმებით. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც.

სკოლის განმარტებით, სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. დელეგირებული მართვის პრინციპები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სადაც მკაფიოდ არის გასაზღვრული დასაქმებული პირების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. ინტერვიურებით ირკვევა, რომ ორგანიზაციული კულტურა სკოლის მართვის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სკოლაში შექმნილია ჯანსაღი თანაშრომლობით კულტურაზე დაფუძნებული გარემო. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის თანამშრომელთა ერთობლივად განხორციელებული სასკოლო პროექტები. სკოლის თანამშრომელთა განმარტებით: თანამშრომლობითმა კულტურამ ხელი შეუწყო სასკოლო საზოგადოების მეტად გუნდურობას. მოსწავლეებზე უფლებათა დელეგირებამ განავითარა დამოუკიდელად გადაწყვეტილების უნარი, აამაღლა პასუხისმგებლობის გრძნობა, დააახლოვა სკოლის საზოგადოება ერთმანეთს.

სკოლაში კათედრები და ადმინისტრაცია მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების გამოცდილება. სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესის მიხედვით, სადაც მოცემულია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე, სამუშაო შეხვედრებზე. სასკოლო კლუბებს შორის პარტნიორობის პრინციპით იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო პროექტები. საუკეთსო პრაქტიკის გაზიარება ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთ დასწრების ფორმითაც, რომლის შემდეგ მასწავლებელები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, რომლის შემდეგაც ხორციელდება ფოკუსირებული დასწრება მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე.
ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი
- შინაგანაწესი
- საერთო ბრძანებების ჟურნალი
- საკადრო ბრძანებების ჟურნალი
- კონკურსის წესი
- საკონკურსო კომისიის ოქმი
- პერსონალის პირადი საქმე
- შრომითი ხელშეკრულებები
- ურთიერთდასწრების ოქმი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში გეგმავენ და ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აქტივობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავსებენ თვითშეფასების კითხვარს და ადგენენ საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების გეგმებს. ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ესწრება გაკვეთილებს, ისმენს მასწავლებლის რეფლექსიას და უკუკავშირის საფუძველზე ახდენს მასწავლებლის საჭიროების დადგენას. კათედრები განიხილავენ სიახლეებსა თუ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე, ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტების დანერგვა- განხორციელებას. სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დებულება განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის მუშაობის წესს, პროცესებსა და პროცედურებს. სკოლას ასევე გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ამ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის თანამშრომელთა პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარის გამოვლენა, სკოლის მიერ ჩატარებულ ურთიერთსწავლების შეხვედრებით; დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით; კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია. მასწავლებლები სტატუსების შესაბამისად გადიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნუი ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს.

საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოს სანიტარული ნორმების შესაბამისობის მონიტორინგის პროცესი. შემუშავებულია სპეციალური ფორმები და გამოვლენილი საჭიროებების კვალდაკვალ იგეგმება ინტერვენციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, სკოლას აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა შექმნილია "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულებები, სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვა სკოლაში მასწავლებლებისთვის ნებაყოფლობითია, მაგრამ სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ კურიკულუმებს, მასწავლებლებს ევალებათ საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვა და განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია. მასწავლებლები საგაკვეთილო დაკვირვებების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთავენ საჭიროებებს. ესწრებიან საჭიროებებიდან გამომდინარე სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგ კურსებს. თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან - განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს. პედაგოგები ესწრებიან ტრენინგებს, კონფერენციებს. სკოლაში არის კათედრათა და სკოლათა შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. მასწავლებლები ერთმანეთისგან მიღებულ უკუკავშირს იყენებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა რეფლექსიები.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. 2023 წლის 08 ივნისის 2-138 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის სწრაფად შეგუების ხელშეწყობა, იმისათვის, რომ მალევე შეეთვისოს ახალ გარემოს და თავი სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იგრძნოს;
2. თანამშრომელმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა;
3. თანამშრომლის ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ;
4. თანამშრომლისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება;
5. სკოლის მიმართ თანამშრომელთა კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
6. კათედრის თავმჯდომარეებისათვის ახალი მასწავლებლის სკოლაში ადაპტაციის პროცესის ეფექტურად წარმართვის ხელშეწყობა.

ინტერვიუდან დასტურდება, რომ ახალ თანამშრომელს სკოლის დირექციის წევრები ათვალიერებენ სკოლას, აცნობენ შიდა ნორმებისა და რეგულაციებს. ხელშეკრულებაში ხელმოწერით ადასტურებს ახალი თანამშრომელი შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ახალ თანამშრომელს საქმისმწარმოებელი მიაწოდებს თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია. საქმისმწარმოებელს ევალება ახალი თანამშრომლისთვის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (მაგალითად, დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში) შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მასწავლებლებს საშუალება აქვთ იმუშაონ საგნობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლის ეზოში შექმნილია შესაბამისი სივრცე. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის თანამშრომლები პერსონალის საჭიროებს აფიქსირებენ ზეპირსიტყვიერად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების მექანიზმი, სადაც გაწერილია წახალისების ფორმები. სკოლა მცირებიუჯეტიანია, სკოლაში არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პრემიების გაცემის პრაქტიკა. დირექცია იყენებს შექების, საჯარო მადლობის, მადლობის გამოცხადების ბრძანების გამოცემის პრაქტიკას.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი
2. კათედრის ოქმები
3. შინაგანაწესი
4. სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

----

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ციკლურ პროცესს. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს შიდა ხარისხის კონტროლი. ამ მიზნით კათედრების მიერ დგინდება საგნის სწავლების საჭიროებები სხვადასხვა კვლევის მეთოდის გამოყენებით. სკოლას, სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები, რითიც განახორციელებს მომავალ წელს შეფასების მონიტორინგს.
სასწავლო პროცესისი ხარისხის მართვისა და მხარდამჭერი სისტემა გამართულია და მხრდამჭერი ჯგუფი საკუთარ საქმიანობას სისტემატურად განიხილავს სხდომებზე და გეგმავს სამომავლო ქმედებებს.
სკოლაში ხარისხის მართვა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე- განავითარე პრინციპს.
სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტიდან ჩანს რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა, ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერულის განვითარება.

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესი, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესი არის სკოლის ძირითადი პროცესი და ცდილობენ ეს დრო გამოიყენონ ეფექტურად , რათა მოსწავლეებში განავითარონ 21 საუკუნის უნარები და გამჭოლი კომპეტენციები. კათედრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რითიც დასტურდება, რომ ისინი საგაკვეთილო პროცეისს წარმართავენ თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით. უმთავრესი ადგილი უჭირავს კეთებით სწავლას, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტულ სწავლებას, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას. ისინი ცდილობენ მოსწავლეებში განავითარონ კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის, გუნდური ე მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. მასწავლებლები ორიენტირებული არინა კურიკულუმებში გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის ხშირად ხვდებიან მშობლებს და იღებენ უკუკავშირებს, რაც ეხმარებათ მათ სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაში.

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესში. სკოლის საგანმანთლებლო პროცესი აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.. ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას. შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. შინაგანაწესით რეგულირდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს და მათ კანონიერი წარმომადგენლებს სკოლა უფლებას აძლევს გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს 2-223 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“. წესის მიზანია შეიქმნას სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (შემდგომში - წესი), რათა დეტალურად გაიწეროს პროცესის თანმიმდევრობა და მიეცეს მას ორგანიზებული სახე. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. სკოლაში საჩივრის/განცხადების მისაღებად, იგი წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე შესრულებული განცხადების/საჩივრის სკოლაში მისაღებად, მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში. სკოლაში შემოსული საჩივარი ტარდება რეგისტრაციაში და განსახილველად გადაეცემა დისციპლინარულ კომიტეტს შემდეგი რეაგირებისათვის, აღნიშნული პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში ქმნის სააპელაციო კომისიას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული გარემოს

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ასევე სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის 2-235 ბრძანებით შექმნილია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი.

დოკუმენტში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვაზეა პასუხისმგებელი.
სკლას აქვს შექმნილი დოკუმენტი ,,მოსწავლის პერსონალის, მშბლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება და სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება.
სკოლამ წარმოადგინა უსაფრთოხების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
2. შინაგანაწესი;
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
4. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
5. ,,მოსწავლის პერსონალის, მშბლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი;
6. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
7. საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

8. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა გზებს, კერძოდ, მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ინფორმაციის მიწოდებისა და უკუკავშირისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვნ საშუალებებს: სოციალურ ქსელს, კლასების მიხედვით შექმნილ მესენჯერ ჯგუფებს, Teams-ის პლატფორმაზე შექმნილ ჯგუფებს, სატელეფონო კომუნიკაციას.
სკოლის დირექტორის განმარტებით ზემოაღნიშნული პრაქტიკა ჩამოყალიბდა პანდემიის დასრულების შემდეგ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ასევე ხდება პირისპირ შეხვედრებით, კრებებით, საინფორმაციო დაფის გამოყენებით, სკოლის თანაშრომელთა ელექტრონული ფოსტის და სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სკოლის შინაგანაესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. დამრიგებლები ისმენენ მშობელთა წინადადებებს, სურვილებს, რჩევებს და საუკეთესო წინადადებებს ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.
ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და თვითმმართველობა.
დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლას უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. 2023 წლის 02 ივნისისი 20131 ბრძანებით დამტკიცებულია მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). დოკუმენტით სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფს მშობელსა და სკოლას შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას, მასწავლებელსა და მშობელს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაციის ჩამოყალიბებას.

როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. მას შეუძლია, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში და თავის მოკავშირედ აქციოს. მათ ერთი მიზანი აქვთ - ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა.

დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით.

დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლის თვითმართველობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

ინდიკატორი 3.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს ოქმი
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
3. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
5. თვითმმართველობის ოქმი;
6. მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი დღისა და ღამის საათებში. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის პერიმეტრზე არ შეიმჩნევა სამშენებლო ნაგვის/ნარჩენების და ნებისმიერი სხვა იმგვარი ნარჩენების საფრთხის შემცველი ობიექტების არსებობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, სკოლას აქვს ღობე და შეუძლებელია სკოლის ტერიტორიაზე ავტომანქანების გადაადგილება, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლის ეზო და გარე პერიმეტრის მოწესრიგებულია. ინტერვიუდან დასტურდება რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს გარე პერიმეტრის მოწესრიგებაზე რათა თავიდან აიცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავალი ან სხვადასხვა ცხოველების გადაადგილება.

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არის შეთანხმებული. სკოლას ჰყავს განსაზღვრული სართულებს შორის მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლაში ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, მიმართულების მაჩვენებელი ისრები და კედელზე გამოკრულია 112 -ის ნომრები. სკოლაში დამონტაჟებულია 16 უსაფრთხოების კამერა, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს. კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, 1 კარისკაცი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლას ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას აქვს კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს 1 ექიმი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის შესაბამისად.

სკოლას ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი. 1 ფსიქოლოგი და 1 მეტყველების თერაპევტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

ვიზიტის პერიოდში, დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ უსაფრთხოების წესებს, საევაკუაციო გეგმას და საგანგებო სიტუაციებში სწორად რეაგირებაც შეუძლიათ.

სკოლამ ასევე ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ, რომლეში მოცემული შენიშვნები სკოლამ გაითვალისწინა და აღმოფხრა.

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთვის გაგზავნილი შენობის ექსპლუატაციისა და მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ აქვს მიღებული პასუხი დასკვნასთან დაკავშირებით.

სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

რჩევა :

ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანისა და შენობის ექსპლუატაციის, მდგრადობის გონივრულ ვადაში დადგენის.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.4.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლამ უზრუნველყო სკოლის ტექნიკური მდგრადობისა და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნის მოპოვება 2023 წლის 25 ივლისიდან 2023 წლის 15 ნომებრის ჩათვლით დირექტორის, ბუღალტერის, დირექტორის მოადგილისა და მტუკის ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად მტკიცებულებად წარმოდეგნილი აქვს სკოლის მდგრადობის დასკვინს დოკუმნეტი და ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტიდან დგინდება, რომ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. არსებული მდგომარეობით შენობის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი, თუმცა საჭიროა გადაუდებლად იქნას აღმოფხვრილი კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნები, რათა შენობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სეისმურ ნორმებთან.

ინდიკატორი 3.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის 2-40 ბრძანებით დამტკიცებულია ,, სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. მისი ამოცანაა იმოქმედოს მისიის აღსრულების ფარგლებში და უზრუნველყოს სკოლის მაღალი რეპუტაციის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გამყარება, რისთვისაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია შემდეგი მიზნების შესრულება:

- ორმხრივი, ხანგრძლივი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნა და შენარჩუნება დაინტერესებულ პირებთან, როგორც სკოლის გარეთ, ასევე მის შიგნით;
- სკოლის მიერ საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით, სპეციალური ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- სკოლის სასურველი იმიჯის შემუშავება და გამყარება მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და მიზნების გაზიარებითა და წარმოჩენით;
- სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის არხების საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სკოლის სიახლეების, მიღწევების და სხვა საქმიანობის ამსახველი საკითხების მედიის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების, მშობლების და სკოლის პერსონალის მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა;
- უკუკავშირის შედეგების ანალიზი და მათი გამოიყენება სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დარაჯისა და კარისკაცის მიერ. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც წარმოდგენილი სკოლის ,,უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“. სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის მორიგე მასწავლებელი, მანდატური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და დირექცია. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს , იღებს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირებისთვის წარუდგენს სკოლის დირექტორს.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლას აქვს მოსწავლეებს შესთავაზოს ფსიქოლოგიური მომსახურეობა. ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა დირექციასთან და კლასის დამრიგებლებთან ერთად საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს რეფერირების გზით სთავაზობს ფსიქოლოგიურ მომსახურეობას. დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება რომ სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. დოკუმენტში გაწერილია ფსიქოლოგიური დახმარების შესაძლებლობაზე. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რომელიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლეების ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაში. ის აწყობს შეხვედრებს მოსწავლეებთან საჭიროებებიდან გამომდინარე და ასევე უტარებს სემინარებს სხვადასხვა მიმართულებით.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სასკოლო პირობების შემოწმება, დარღვევების გამოვლენა და მისი აღმოფხვრა. სკოლში არსებულ ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექთანს. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით. სკოლას აქვს შექმნილი სკოლაში დეზინფექციის ჩატარების წესი. დამლაგებლების მიერ ხდება სველი წერტილების, კიბის სახელურების სველი წესით დამუშავება. ფოიეები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების პირობებში, ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა). სკოლის საერთო სივრცეში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები ხელის დასამუშავებლად.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლისნ დირექტორის 2023 წლის 01 ივნისის 2-128 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე.

ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით. სკოლას აქვს პერსონალური დაცვის მექანიზმები, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ,,პერსონალური მონაცემების დაცვა“. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დირექტორის ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ,,სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“. დოკუმენტში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სტრატეგიები და სასკოლო საზოგადოების უფლებები პერსონალური ინფორმაციის თაობაზე.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დირექტორის სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აკისრია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, მორიგე მასწავლებლებსა და სკოლის დირექციას. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მანდატურს დახმარებისთვის. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების ეფექტიანობას და მის ნიადაგზე ახდენს ახალი დამცავი მექანიზმების დამატებას. სკოლა უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით აღიჭურვა ვიდეოთვალითა და სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმებით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.7 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკადრო ბრძანებების ჟურნალი
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- წერილი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ;
- ხელშეკრულება ექმთან, დამლაგებლებთან, დარაჯთან;
- პერსონალური ინფორმაციის დაცვის დოკუმენტი;
- წერილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის თაობაზე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 1000 მოსწავლეზე. ამჟამად სკოლაში სწავლობს 978 მოსწავლე. სკოლაში არის ორი ცვლა. სკოლა არის სამსართულიანი და ოთხსართულიანი. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინტერვიუდან დასტურდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხით განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია, მოწესრიგდა ეზო, გარე სპორტული მოედანი, ეზოს ღობე, შემოსასვლელი ჭიშკრები. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობის სქემა, მატერიალური რესურსის მინიმალური ოდენობა შესაბამისია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისა. მიღება-ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ყოველ მოსწავლეზე სკოლაში არის ინდივიდუალური მერხი და სკამი, მინიმუმ 1 დაფა ყოველ საკლასო ოთახზე. სკოლაში არის 26 საკლასო ოთახი და 39 ფინასური კლასი. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია სასწავლო მიზნებისთვის 6 კომპიუტერი. კომპიუტერები მუშაობს და აქვს ინტერნეტთან წვდომა. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია ხელსბანი ნიჭარა და სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც სასწავლო ისე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. ასევე სკოლაში არის გეოგრაფიის, ისტორიის კაბინეტები, სადაც განთავსებულია რუკები, გლობუსი და სხვა სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი 3.5.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის მასწავლებლებტან და დირექციასთან ინტერვიუს, ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(დერეფნები, ეზო). სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სასწავლო გარემო პასუხობს შემდეგ კრიტერიუმებს: სკოლას გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსი სკოლის შესასვლელში, სკოლას აქვს მოწესრიგებული, სანიტარიული ნორმების დაცვით დასუფთავებული სველი წერტილები (არის შეზღუდული გადაადგილების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები). სკოლის ყველა სართულზე არის საპირფარეშოები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის.სკოლაში გადაადგილების სივრცეები მოწყობილია მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით.

ინდიკატორი 3.5.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და გარე მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება რომ ბიბლიოთეკარი ჩართულია მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში და აქტივობებში. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, რასაც უზრუნველყოფს სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ღია და დახურული სპორტული მოედანი და დარბაზი. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. სკოლის ეზოში მოწყობილია სივრცე - სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ შეკრება.

ინდიკატორი 3.5.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რუკები, პლაკატები, ბიოლოგიის მულაჟები, ფიზიკის ხელსაწყოები, ქიმიური რეაქტივები.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სივრცის ამსახველი ფოტოები
2. ბიბლიოთეკის წესი
3. ბიბლიოთეკარის სარეგისტრაციო ჟურნალები
4. სკოლის წლიური ანგარიში სასკოლო ღონისძიებებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ
5. სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლამ წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ოთახებში, კაბინეტებში. სასწავლო პროცესში პრეზენტაციებისათვის ფართოდაა გამოყენებული პროექტორი და პროექტორის ეკრანი, მთელი შენობა დაფარულია wi-fi.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. კომპიუტერების მიღება-ჩაბარებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორით და პროექტორის ეკრანის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია wi-fi-ით. სკოლამ წარმოადგინა სქულბოქსი.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერების ამსახველი ფოტომასალა
2. ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესყიდვის დოკუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესის მიხედვით, როგორც ელექტრონულად , ისე მატერიალურად , რომელზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა. ხდება შემოსული დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის დაცული. სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც ბრძანებით არის დამტკიცებული. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს აღნიშნული წესის მიხედვით.

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ცნობა, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.

მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e -flow) მეშვეობით.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (e-flow). ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsofr Outlook.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც დასტურდება სისტემაში - eschool.emis.ge -თი, სადაც განთავსებულია სრული ინფორმაცია სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.სამეურვეო საბჭოს ოქმი (10 დეკემბრის ანგარიშის შესახებ)
2.სამეურვეო საბჭოს ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ)
3.საქმისწარმოების წესი
4. ელექტრონული ბაზები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, კერძოდ სკოლის საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ფეისბუქ გვერდის, ელექტრონული ჟურნალის, „თიმსის“ საგანმანათლებლო პლათფორმის, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულება არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ღონისძიებების თაობაზე. ამ სივრცეში აზიარებს სკოლა საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ უკუკავშირის მიღება ხდება მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლათფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სკოლა ვებ გვერდის შექმნის შემდეგ ვებ გვერდზე განათავსებს გამოკითხვის ფორმებს, მისცემს დაინტერესებულ პირებს კომენტარის დაფიქსირებისა თუ წერილის მიწერის საშუალება.მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებიდან. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი. დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სადაც სკოლას გაწერილი ჰქონდა თითოეული აქტივობის ფინანსური რესურსი. სკოლამ წარმოადგინა ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები, რითიც ასევე დასტურდება სკოლის ფინანსური მდგრადობა.

ინდიკატორი 3.7.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეორვეო საბჭოს. სკოლისათვის საჭირო შესყიდვები ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #6 , სადაც განხილულია 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი , სადაც განხილულია სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის საკითხი.

სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბუღალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს.

დირექტორი სკოლის ფულადი სახსრების რაციონალურად განკარგვისთვის წინასწარ ადგენს ფინანსურ გეგმას, სამეურვეო საბჭო ითანხმებს ამ გეგმას და თვალყურს ადევნებს მის განკარგვას.

შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში, ბაზრის კვლევის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი 3.7.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი,
- 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი,
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფი ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში ძირითადი შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს, სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. ბავშვს აქვს უფლება სწავლობდეს უსაფრთხო გარემოში. ამ მიმართულებით შიდა სასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. იმის დასტურად, რომ სკოლა აღნიშნულ პრაქტიკას იყენებს, წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წახალისების მტკიცებულებები. მათ შორის, სკოლის დამლაგებელს წახალისების მიზნით, ერთჯერადად დაერიცხა ფულადი დანამატი, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მოსწავლეს გამოეცხადა მადლობა. მოსწავლეთა გაცდენის და საფეხურის დაძლევის საკითხები რეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები.

სასკოლო საზოგადოებამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მათი მიზანია მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება და არ შეეზღუდოს თვითგამოხატვის უფლება. მათი განმარტებით მოსწავლეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის სამეურვეო საბჭოში. ასევე, თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილების, ინტერესებისა და საჭიროებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებით იქმნება კლუბები. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. მოსწავლეთა ინიციატივით იგეგმება და ხორციელდება საქველმოქმედო ღონისძიებები.

გარდა შინაგანაწესისა სკოლას აქვს სხვადასხვა შიდა რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“, დოკუმენტი სახელწოდებით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა“, სასკოლო კურიკულუმები. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას.

აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება, დისკრიმინაციისგან დაცვა. მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლის მართვაში, აქვთ გასაჩივრების უფლება, აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღება არის უზრუნველყოფილი. ეს დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში, რომელშიც მკაფიოდ არის გამოკვეთილი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულობა, სიღრმისეულ სწავლაზე აქცენტირება და ინკლუზიური განათლების პრინციპები. სსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლის ისგ გუნდი შეიმუშავებს ინდივივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმებს და სთავაზობს თითოეულ სსსმ მოსწავლეს საჭირო საგანმანათლებლო მომსახურებას (სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი). **ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ სასკოლო სივრცეში (საინფორმაციო დაფა). მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, დამრიგებლის საათზე. სკოლა მოსწავლეებისთვის აღნიშნული რეგულაციების უზრუნველსაყოფად ასევე აწყობს საკლასო და სასკოლო პროექტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება საკლასო ოთახებში, ერთობლივი წესით შემუშავებულ ქცევის წესებში. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა ხდება დაუყონებლივ არაუგვიანეს მომდევნო მშობელთა შეხვედრებზე. სკოლის დირექციის ინტერვიუებით დასტურდება, რომ აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა ხდება ასევე ელექტრონული ფორმით, კერძოდ, სკოლის სოციალურ გვერდზე და თიმსის პლათფორმაზე განთავსებით.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფი ხელშეკრულება.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებითა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა“

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, სკოლა ხელმძღვანელობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერებისა ბრძანებები, პედაგოგიური საბჭოს ოქმი. საფეხურის დაძლევა დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით. მობილობა წარმოეზს მშობელთა მომართვის საფუძველზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პროცედურებით. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და თავად მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერებამდე დამრიგებლები ინფორმაციას აწვდიან მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს გაცდენილი საათების რაოდენობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ წერილობით.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს და ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს წარუდგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდების, პირველ კლასში მოსწავლეთა კლასებში განაწილების შესახებ. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხოურ ენას. უცხოური ენების შესახებ ინფორმაციას მშობლებს აწვდიან სკოლის პედაგოგები. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი უცხოური ენების კათედრაზე. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ინტერვიუდან ფიქსირდება, რომ მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას მშობლებს აცნობენ დამრიგებლები.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაციას მოსწავლეებს აწვდიან კლასის დამრიგებლები, გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში მიმდინარე პროგრამებში, სერვისებში, აქტივობებში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველა მოსწავლეს მათი სურვილის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, საფეხურის დაძლევის ბრძანებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი, უცხოური ენის არჩევის ოქმი
- სკოლასა და მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“
- შინაგანაწესი
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- კლუბის დებულება
- განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების ანალიზი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. პირველ კლასელთა მასწავლებელი აწყობს პირველკლასელების საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში. შემდგომ ეტაპზე ხდება მათთვის სკოლის სტრუქტურის გაცნობა. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით მომავალი პირველ კლასელები ღებულობენ მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაწყების პირველი დღის საზეიმო ღონისძიებაში. მობილობით გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი აცნობს კლასს, სკოლის ინფრასტრუქტურას, მასწავლებლებს, შინაგანაწესს. ბიბლიოთეკართან თანამშრომლობით გადასცემს წიგნებს. მოსწავლის კანონიერ წარმომდგენელთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლა 2023/2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს შექმნას დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიღწევების, სკოლის სპეციფიკასა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. ყველა კლასს ხელმძღვანელობს დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრივ; თანაკლასელებს ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს, აცნობს შინაგანაწესს. სკოლის ყველა მოსწავლისათვის დანერგილია ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას.
სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებისდოკუმენტის მიხედვით ახალი მოსწავლის მიღების დროს დირექტორი ან მოადგილე გააცნობს მოსწავლეებს ახალ კლასელს. მანამდე დამრიგებელი ხვდება ბაღის მასწავლებლებს ახალ მოსწავლეზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად . ასევე, დამრიგებელი გეგმავს გაცნობის აქტივობებს. სიძნელეების არსებობის შემთხვევაში დამრიგებელი მუშაობს სკოლის ხელმძღვანელსა და მშობლებთან თანამშრომლობით. სკოლა მომავალი მოსწავლეების მისა\რებად აწყობს მათთვის გაცნობით შეხვედრას ,რომლის საშუალებითაც აცნობს სკოლის
გარემოს, ინფრასტრუქტურას, თითოეული მასწავლებელი აცნობს მის კლასსა თუ კაბინეტს .

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**
სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის ვალდებულება აქვს თითოეულ მასწავლებელს. სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები და წესად აქვს გაწერილი პროცედურებიც. სკოლის თანამშრომლებმა ინტერვიურებს დროს განაცხადეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. ვინაიდან მათ არ ჰყავთ ფსიქოლოგი მთელი დრო და ძალისხმევა მიმართულია მოსწავლეების დასახმარებლად.
სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საშემოდგომო გამოცდებისა და ექსტერნატის გამოცდებისთვის მოსწავლეთა მომზადების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება. სასწავლო წლის ბოლოს საშემოდგომო გამოცდების განსაზღვრის შემდეგ კლასის დამრიგებლის მონაწილეობით დგება თითოეულ საგანში ჩასატარებელი კონსულტაციების განრიგი; სკოლას აქვს პრაქტიკა (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის მასწავლებლებმა ჩაატარონ დამატებითი საათები კითხვის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა სასწავლო გამოწვევის დასაძლევად. ასევე, სკოლას აქვს სემესტრული გამოცდების ჩატარების პრაქტიკა, რომელიც ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს, რომელიც განიხილავს საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა ამლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, დამატებითი მომსახურეობით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომლობით. მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმოამდგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. მოსწავლეებს ენიშნებათ საშემოდგომო და სხვა ტიპის გამოცდების წინ საკონსულტაციო საათები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებულად ჩართულ მოსწავლეებს სკოლა გადასცემს სიგელს. მოსწავლეები იყენებენ სკოლის ბაზაზე არსებულ სასწავლო რესურსებს, ზოგჯერ რესურსები იქმნება მოსწავლეთა მონაწილეობით.
ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა მოსწავლეებს აცნობს მოსწავლეთა ქცევის კოდექსა და შიანგანაწესს, რომლის გაცნობა ხდება მოსწავლეებთან სასწავლო წლის დასაწყისში და განთავსებულია საკლასო სივრცეში. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას სკოლა აცნობს მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს მშობელთან პირველივე შეხვედრაზე ვერბალურად ან სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლა გამოხატავს მხარდაჭერას მოსწავლის მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ და ახორციელებს მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ვადებში. მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებელი მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანების, მოსწავლის პირადი საქმის გაცნობის შემდეგ პირველივე დღეს უკავშირდება, ხვდება მშობელსა და მოსწავლეს, აცნობს სკოლის სტრუქტურას, კლასს, აკეთებს წარდგენას კლასთან. აძლევს შესაბამის სახელმძღვანელოებს, ფორმდება სკოლასა და მშობელთან ხელშეკრულება. დამრიგებელი აცნობს სკოლის ინტერიერს, გაკვეთილების ცხრილსა და განრიგს.
ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა სახის უნარების განვითარებას, მოტივაციისა და ცნობიერების ამაღლებას. სკოლამ წარმოადგინა 2022/2023 სასწავლო წელს განხორციელებული აქტივობების/პროექტების ჩამონათვალი. სკოლა მუდმივად ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივებს. მე-6 კლასელთა ინიციატივით სკოლის ეზოში მოეწყო სკვერი, რომლის მიზანი იყო სკოლის ეზოს გასუფთავება და ტერიტორიის დაცვა გარეშე პირთაგან და მოსწავლეებში გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების უნარის ჩამოყალიბება. ამ პროექტის იდეის განხორციელებისათვის მათ გადაეცათ შესაბამისი სიგელი. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას ჰყავს მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს დღის ცენტრის წარმომადგენლებთან. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი და სკოლამდელი განათლების კათედრის თანამშრომლებთან. გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გამოცდილების გაზიარების მიზნით, აწსუ-სა და unicef-ის პროექტის. შეხვედრა დაგეგმეს წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერების და ინკლუზიური განათლების მიმართულების მასწავლებლებმა.
მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება. მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ
სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი.
ინდიკატორი 4.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში სასკოლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით დამრიგებელი აწარმოებს ანკეტურ გამოკითხვას მშობლებთან, რომელსაც ითვალისწინებს კლასთან მუშაობისა და სასკოლო საგანმანათლებლო სფეროში მოსწავლეთა ჩართულობისათვის. ხდება მშობლების ინტერესის სფეროს გამოვლენა. მასწავლებლები ცდილობენ დაგეგმონ ისეთი პროექტები, კომპლექსური დავალებები, რომელშიც მოსწავლეები შეძლებენ არაფორმალური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დროს მიღებული გამოცდილების ტრანსფერს. ასევე ინტენსიურად ტარდება შიდა სასკოლო სპორტული ჩემპიონატები კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში. ასევე ხორციელდება სხვასხვა პროექტები და ექსკურსიები.
ინდიკატორი 4.2.1.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლების მიერ განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტი
- მოსწავლეთა სიგელები
- სასწავლო ექსკურსიები

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში სკოლის დირექტორის განმარტებით, ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით ან კიდევ პირისპირ შეხვედრებზე. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათ თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ვგეგმავთ მექანიზმის შემუშავებას, ფოკუს ჯგუფების შექმნას, მშობლების და მოსწავლეების, გამოკითხვას, რათა სკოლამ გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება.
მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ყოველთვის ესწრებიან და ღებულობენ ამომწურავ ინფორმაციას პროფესიების შესახებ და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.
დამრიგებლები ატარებენ კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით დამამთავრებელ (მეცხრე და მეთორმეტე) კლასებში. აღნიშნული შეხვედრები და კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას ასევე მოსწავლეები იმყოფებოდნენ კოლეჯ ,,იბერიაში“ საც უფრო ახლოს გაეცნენ მოთხოვნად პროფესიებს.
ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

----

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე; სკოლამ წარმოადგინა ღია კარის ამსახველი დოკუმენტაცია. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ყოველთვის ესწრებიან სკოლაში მოწყობილ ღია კარის დღეებს და ღებულობენ ამომწურავ ინფორმაციას პროფესიების შესახებ და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას. სკოლას მოსწავლეებისა და მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით იყენებს შესაძლო საკომუნიკაციო არხებს (პირისპირ შეხვედრები, სოციალურ ქსელი, შეტყობინება ელექტრონულ ფოსტაზე).

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა იკვლევს მისი კურსდამთავრებულებიდან რამდენმა ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. კვლევის შედეგად მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებს ითვალისწინებენ შემდგომი მუშაობისთვისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს საკუთარი მოსწავლეებისაგან, მშობლებისგან. უკუკავშირის ფორმაა შეხვედრები დამრიგებლის საათზე, მშობელთა კრებები. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პროფ. ორიენტაციაზე ორიენტირებული აქტივობები მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებითა და მათგან მიღებული უკუკავშირების საფუძველზე აქვთ შექმნილი და განვითარებული.

ინდიკატორი 4.2.2.3 სრულად დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტები;
- სიგელები;
- პრო.ორიენტაციის შეხვედრების ფოტო მასალა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას ჰყავს 14 სსსმ მოსწავლე. სკოლას აქვს მზაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართონ სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. აქვთ პანდუსი და ადაბტირებული საპირფარეშო. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებები და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ეტაპები. სკოლას თითოეული მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მათ აქვთ მზაობა მათი აქტიური ჩართულობით მხარი დაუჭირონ სსსმ მოსწავლის წინსვლას, განვითარებასა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას. ისინი ისგ ჯგუფის წევრების: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, თითოეული საგნის მასწავლებელის, დამრიგებელის, სპეციალური მასწავლებელის ჩართულობით უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობენ მის განხორციელებას, რომელიც განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით.

ინდიკატორი 4.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ აქვს შეთავაზებული.

ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ აქვს შეთავაზებული.

ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხსიმგებელი პირის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სახელმწიფო ენა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშვების ძრითადი პროცესები და განვითარების ყველა ეტაპი (კურიკულუმის შემუშვება, კურიკულუმის დანერგვა/რეალიზება, მონიტორინგი და შეფასება, გადსინჯვა და რვიზია), პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია, როგორც გასაუბრების დროს აღნიშნეს კათედრის წარმომადგენლებმა. კათედრაზე შემუშვებული აქვთ დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. შერჩეული აქვს საჭირო მდიდარი რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების ნიმუშები, მატრიცები, შეფასების სხვადასხვა რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეთა მიღწევების და მათზე წინა წელს დაკვირვების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს, რომლის დახვეწასა და შეძლებისდაგვარად სრულყოფაში მონაწილეობა მიიღო კათედრის წევრებმა. უნდა აღინიშნოს, რომ კათედრა არის აქტიურად ჩართული სასკოლო ცხოვრების სრულყოფასა და პროცესების მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვაში. ამას მოწმობს კათედრის ოქმები, რომელიც სკოლამ წარმოადგინა. მასში აღწერილია მასწავლებელთა ჩართულობა იმ ფორმით,რომ ხელი შეეწყოს მისი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასა და სრულყოფას. მშობელთა ჩართულობა იკვეთება მხოლოდ უკუკავშირის ფორმით. გაზიარებულია ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია რომლის მოთხოვნის საჭიროება. დგება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრიდან გაირკვა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი აქტიურადაა ჩართული, რათა მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობები ერთობლივად განსაზღვრონ. მასწავლებლები თანხმდებიან გარკვეულ საკითხებზე, თუ რომელ თემებსა და კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ ამა თუ იმ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის და მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათსა და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, კურიკულუმი იგეგმება ყველა საგნობრივ კათედრაზე, თანაბრად ჩართულია კათედრის ყველა წევრი, მასწავლებლები ერთად შეიმუშავებენ და კურიკულუმებს და მასში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებს წინა გამოცდილებებზე დაყრდნობით. კურიკულუმები მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე და უნარებზე. პროცესში ჩართულია სკოლის დირექციაც. სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით ხდება ცვლილებებიც, ღონისძიებები სხვა აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. ამ მხრივ **დაწყებითი კათედრის** წევრები აქტიურად თანამშრომლობენ. კურიკულუმის დამტკიცების პროცესს წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მათი შედეგების ანალიზის, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობის ჭრილში. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებისას საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული ფაქტორებიდან ხაზი გაესვა შემდეგს: ა) მოსწავლეთა წინარე გამოცდილებისა და ინტერესების ასახვა; ბ) მოსწავლეთა დიაგნოსტირება მიღწევების დიაგნოსტირება და საჭიროებების წარმოჩენა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში; გ) მშობელთა უკუკავშირი; პედაგოგები აცნობიერებენ თავიანთ როლს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის განხორციელების საქმეში. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდენ. ითვაისწინებდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებსა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად. სწავლება ეფუძნება მოსწვალის ჰოლისტური განვითარების (როგორც ფიზიკური და კოგნიტური, ასევე ფსიქო-სოციალური განთარების) ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფისა / სოციო-ემოციური სწავლის გზით). ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

ესთეტიკური აღზრდა

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა გაითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობებია წარმოდგენილი. ამავე დოკუმენტში ჩანს, კათედრის თავჯდომარის, კათედრის, დირექციის როლი სამუშაო პროცესში. ასევე ჩანს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის თვითშეფასებიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში თანამშრომლებენ როგორც ერთმანეთთან, ასევე მოსწავლეების მშობლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს დაწყებითი საფეხურის სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ შეიმუშავებენ დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია) ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
სახელმწიფო ენა

სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა კითხვარები და კითხვარის ანალიზი, რომლიც მიზანად ისხავდა სასკოლო სასავლო გეგმის განხორციელების შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას. ჩვენთვის გაზიარებული კურიკულუმი ადასტურებს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს. ეს ჩანს შემდეგ დოკუმენტებში: დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მშობელთა კრების ოქმი. მასწავლებლებთან ინტერვიუთი კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ისინი ცდილობენ სასკოლო საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაციით, მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით განსაზღვრონ საჭიროებები და შესაბამისად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ამის დასტურია **დაწყებით საფეხურზე** განხორციელებული სოციალური პროექტი ,,კონფლიქტების მოგვარება და გადაჭრის გზები", რაც სასკოლო საზოგადოებს ინტერესებს გამოხატავს და მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

მათემატიკა

კურიკულუმი ასახავს სკოლის მასწავლებლების ინტერესებსა და დამოკიდებულებებს, მასში კათედრა აქტიურად ერთვება და განიხილავს იმ მოსაზრებებს რომელიც წაადგება კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებთან ადაპტირებაში. მოსწავლეთა დამოკიდებულებები ჩანს როცა წინა წლის კომპლექსური დავალება, რომელიც დაინერგა სკოლაში, ხვდება ახალ კურიკულუმში განვითარებული ვერსია, სადაც მოსწავლეების წინაშე დამდგარი გადაულახავი გამოწვევები არის ახლებურად გადააზრებული და ასახული დოკუმენტში. ასევე მშობელთა მხრიდან წამოსული უკუკავშირები უფლებამოსილების ფარგლებში ჰპოვებს ასახვას. მათემატიკის მასწავლებლები მზად არიან სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართონ მიმდინარე პროცესებში, თუმცა სრულყოფილი სახე ამ ყოველივეს ჯერ არ მიუღია. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადების ინტერესები, როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, ჩატარდა გამოკითხვა მშობელთა, პედაგოგთა და მოსწავლეთა, რომელიც მიზნად ისახავდა მთლიანად სასკოლო საზოგადოების საჭიროებებისა და ინტერესების დადგენას. ასევე კურიკულუმებში გაწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ფუნქცია - მოვალეობები და მათი როლი კურიკულუმის განვითარების პროცესში, ასევე დეტალურად არის წარმოდგენილი ეტაპობრივად რას გულისხმობს კურიკულუმის განვითარების პროცესი და რა როლი აკისრია სასკოლო საზოგადოებას მის პრაქტიკაში განხორციელებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმების შემუშავება ხდება კეთედრის წევრების სრული ჩართულობით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ადაპტირებული, მათ შესაძლებლობებზე მორგებული ვარიანტები. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ დოკუმენტსა და მასწავლებელთა ზეპირ რეფლექსიაში (გასაუბრების ეტაპზე) ჩანს რეალური მცდელობა იმისა, რომ სასწავლო პროცესში წარმოდგენილი და გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა სტრუქტურული ერთეულის ინტერესი, გამოცდილება, იდეები. მასწავლებლების მიერ დოკუმენტურად არის აღწერილი, როგორ განიხილებოდა ამ საკითხთან დაკავშირებული დეტალები კათედრის შეხვედრებსა თუ მშობელთა კრებებზე. ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, დავალებები, სასწავლო პროექტები, სამომავლო იდეები ცხადყოფს, კათედრა აცნობიერებს, რომ კურიკულუმი არ მოიცავს მხოლოდ საგნობრივი საკითხების სწავლებას და აუცილებელია მოსწავლეთა ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვაც, რაც მრავალმხრივი ჩართულობის გარეშე ვერ მიიღწევა. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებეს, შესაძლებლობეს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწყებითი საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მათი ინტერვიუს საშუალებით. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ,,სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას . ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების , მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.“ ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია. **დაწყებით საფეხურზე** ითვალისწინებენ მშობლების მოწოდებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორი დავალებები მოწონთ მათ შვილებს. აღნიშნული მტკიცებულებები მაძლევს საფუძველს , რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილ **დაწყებითი საფეხურის 1-6** კლასების კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სახელმწიფო ენა

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამას ცხადყოფს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და **დაწყებითი კ**ათედრის სამუშაო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს ოქმი, სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო ჯგუფის შექმნა. აქედან ჩანს, რომ კურიკულუმების შემუშავებაში დაცულია თანამშრომლობითი და გუნდურობის პრინციპი, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა კათედრებთან თანამშრომლობას, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა

კურიკულუმის შემუშავებაში ძირითადად მონაწილეობას იღებს სკოლაში ფუნქციონირებადი კათედრა, რომელიც განიხილავს ყველა შემოსულ წინადადებას რომელიც მის წინაშე დგება და ხმათა უნრავლესობით უჭერე მხარს, მშობელთა ჩართულობის კუთხით სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს მათი საინტერესო მოსაზრებების გათვალისწინება ამის შესახებ გასაუბრებაზე ისაუბრა მასწავლებლებმა და აღნიშნეს რომ შემდგომში უფრო აქტიურად გამოიყენებენ მათ რესურსს, მოსწავლეების ჩართულობა გამოიხატება მათი ნაშრომების ანალიზიდან გამომდინარე სასწავლო პროცესების დაგეგმისა და წარმართვის კუთხით. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც შესაბამისი დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგთან ინტერვიუდან ირკვევა, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და განიხილავენ შესასწავლი თემების, ძირითადი, დამხარე რესურსებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ასევე კურიკულუმის დიზაინის განსაზღვრისას, პედაგოგები ერთად მსჯელობენ თუ რა სწავლის სტრატეგიები, მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ასევე, კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან განსაკუთრებით კურიკულუმის მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, განხილავენ რა ცვლილებების შეტანა შეიძლება და მოდიფიცირება კონკრეტულ შემთხვევებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობელთა ჩართულობა კი უაღრესად პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურაზე და სასწავლო პროგრამების ხარისხზე.

ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში ჩართული იყო კათედრის ყველა წევრი, რაც დადასტურდა გასაუბრების იმ ნაწილში, სადაც აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგიაზე იმსჯელეს. ამასთან, განხილვაში აქტიურად ჩაერთო ყველა მასწავლებელი, გამოიკვეთა, რომ იცნობენ ყველა კლასის კურიკულუმს, შერჩეულ კომპლექსური ტიპის დავალებებს და აქვთ საერთო, შეთანხმებული ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაამუშავებენ საფეხურის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს სასწავლო თემების ფარგლებში. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან კათედრის თითოეული წევრი და სკოლის ადმინისტრაცია. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს, ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. სევე გაითვალისწინეს ქოუჩების მითითებები და წინარე გამოცდილება;

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე, ინვენტარზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმები შეიქმნება კათედრაზე, დამტკიცდება დირექციის მიერ და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის. ეს განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. ამავე დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა და წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმეითაც დასტურდება, რომ რომ მშობლები ინფორმირებულნი და ჩართულნი არიან სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის ერთ ერთი სტრუქტურული რგოლის კომპლექსური დავალების შესახებ, და სხვა დაინტერესებული პირისათვის სკოლა გამოთქვამს მზაობას გააცნოს სასკოლო კურიკულუმიც.

ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები

სასკოლო კურიკულუმი, მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, აგრეთვე, კათედრის წევრები, როგორც ინტერვიუდან ჩანს, აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ასევე სხვა კათედრასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლის მიმართ და რადგან გაზიარებულია პასუხისმგებლობები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებიულია სასკოლო კურიკულუმი. მშობლებს აცნობნენ წლის განმავლობაში დაგეგმილ დავალებებს და იღებენ მათ უკუკავშირს. ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს უზიარებდნენ მშობლებს და ისმენდნენ მათ შეფასებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, კურიკულუმის გაზირებისთვის იყენებენ სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ონლაინ პლატფორმებს, მათ შორის, ფეისბუქის და თიმსის ჯგუფებს. აღნიშნულის საშუალებით მშობელსა და მოსწავლეს წვდომა აქვს საკუთარი სკოლის სასწავლო გეგმაზე. 2023-2024 სასწავლო წლიდან კი ვებ-გვერდის საშუალებით შეიქმნება ახალი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მოხდება სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაზიარება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმი რომ გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, ამას, მასწავლებელთა აღნიშვნით, უზრუნველყოფს სკოლის დახურული სოციალური ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია ყველა მასწავლებელი, დირექცია, მშობელთა ნაწილი. ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოვლინდა ისიც, რომ საგნობრივი კურიკულუმები განიხილეს კათედრებზე და საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, გაითვალისწინეს სხვა კათედრებთან ინტეგრირებული თემებიც (დასახელდა შემდეგი საგნები: ისტორია, ქართული,). **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები.ელექტრონული ფოსტა,დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა,სოციალური მედია,ბეჭდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.იგივეს ადასტურებს თვითშეფასების კითხვარის ჩანაწერი: ,, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს ვაწვდით კომპლექსური დავალების ბარათებს.“ **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: ფესტივალები ინდივიდუალურ თუ გუნდურ სათამაშო სახეობებში, რომლებიც ჩაშლილია საერთო სასკოლო აქტივობებში- მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
სკოლის თვითშეფასების განაცხადი; მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი; პედსაბჭოს სხდომის ოქმიN#4. 2-272 ისგ ჯგუფის ბრძანება, შეფასების რუბრიკა; სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა. **სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალები, მატრიცები. გაწერილი კომპლექსური დავალებები თანხვედრაშია სტანდარტთან, უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, მის პიროვნულ განვითრებაზე. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი საზროვნო უნარებისა გაუმჯობესებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას, სადაც გათვალისწინებულია, ის თემები, რომელიც უნდა იქნას შესწავლილი, და შესაბამისად ის სამიზნე ცნების ქვეცნებები, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება, ასევე შუალებური სასწავლო მიზნის მისაღწევი კომპლექსური დავალებებიც წარმოდგენილია რიგ თემებზე და ასახავს იმ მნიშვნელოვან პირობას რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, ასევე თან ახლავს რესურსების გრაფა რომელშიც მთავარ რესურსად წარმოდგენილია სახელმძღვანელო და ინტერნეტ ლინკები, რაც სწავლების გაიოლებისათვის გამოიყენება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კათედრას შემუშავებული აქვს **დაწყებით** საფეხურზე ყველა კლასში კურიკულუმები, რაც ბუნებრივია, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმებში მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობები. ასევე, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. როგორც ინტერვიუდანაც ირკვევა, მასწავლებლებს აქვს გარკვეული მზაობა და სურვილი აქტიურად განახორციელონ კომპლექსურ დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, იგი იცნობს მესამე თაობის ესგ-ს, იცის, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლია საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. კურიკულუმები წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის პროცესში მიწოდებული ფორმის შესაბამისად. პედაგოგმა აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია კურიკულუმის ასეთი ფორმით წარმოდგენა, აქ ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები. კურიკულუმის ჩარჩოში არ არის წარმოდგენილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემა. ასევე, წარმოდგენილ კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, თუმცა, პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, გასულ სასწავლო წელს მან იმუშავა კომპლექსურ დავალებებით, რომელთა შერჩევა და დაგეგმვა მოხდა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებზე მუშაობაც შედეგიანი აღმოჩნდა. მასწავლებელი მომავალი სასწავლო წლისთვისაც გეგმავს კოპლექსური დავალებების შერჩევას და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრებას, ასევე, კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შერჩევას. მასწავლებელს არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მაგრამ გეგმავს კათედრის წევრებთან ერთად მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისამდე შექმნას როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო კათედრას, სასკოლო საზოგადოების მოსაზრების გათვალისწინებით, შერჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1სკოლის მიერ **დაწყებით საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. (მაგ, მე და საოზგადოებაში მე–3 კლასში კომიქსის საშუალებით გარემოზე ზრუნვის წარმოჩენა)ამასთან, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების,კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყნებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება.

ესთეტიკური აღზრდა

დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს; სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში I-VI კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. მუსიკის I, II,III და IVკლასების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად, შეტანილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სავალდებულო თემები. შეტანილია კომპლექსური დავალების პირობა, არ ჩანს სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. V-VIკლასების საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ყველა კომპონენტი: სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა. სასწავლო რესურსებში მითითებულია მხოლოდ სამინისტროს რესურსები. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდ მზაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევები: 1) მუსიკის I-IVკლასების საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ იქნას კომპონენტები: სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სამიზნე ცნება და ქვეცნებები სრულყოფილად, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. V-VIკლ.მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში, ველში „ სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, ყველა სავალდებულო თემას მიეთითოს ის რესურსები, რომლის საშუალებითაც მოხდება კონკრეტული თემის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელება.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით სკოლა გაითვალისწინა 2.1.2.1 და 2.1.2.4 ინდიკატორზე მოცემული რჩევები. დადასტურებად წარმოადგინა ლინკი

https://emis188my.sharepoint.com/:f:/g/personal/tbilisi208_mes_gov_ge/EsqSzki9BilBv2WqxMXfiPkBkzzk- CGZtVisvQuTbhEtww?e=Gcol6W

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები (ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მიმდინარე სასავლო წელს გეგმავენ სასწავლო პროექტების განხორციელებას) თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეებში ყველა ამ უნარის აქტივირებას, გაცნობიერებას, გააზრებასა და სრულყოფას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები გათვლილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე მათემატიკაში, როგორიც არის მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, უნდა აღინიშნოს ასევე, ის კონტექსტ მაგალითები, რომლებიც თან ახლავს კურიკულუმებს, შეიცავს გლობალ ფუნქციური უნარების განვითარებისათვის საჭირო კონტექსტს, როგორიც არის: მოქალაქეობა, ხასიათი ნებელობა, შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კოლაბორაცია. ამასთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ამ უნარების განსავითარებლად სასკოლო აქტივობების მიმდინარეობის დროსაც ექცევა ყურადღება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად დავალებები გვხვდება, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს. ასევე სასკოლო პროექტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაწერილია კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზებზე სხვადასხვა საინტერესო აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ კომინიკაციის, მოქალაქეობის, კომპეტენციის განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კომპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლები რა აქტივობების ჩატარებას გეგმავენ წლის განმავლობაში, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობენ საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ასეთი ფორმით სწავლება განუვითარებს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს. ამდენად,ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ მაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა შენიშნეს, რომ ჩვენი საქართველოს ,მე და საზოგადოების გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვით კი თავისთავად უბიძგებენ მოსწავლეებს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ. საგანთა ინტეგრირება პროექტში „კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების „გზები“ (მაგალითად, მე და საზოგადოება,მოქალქეობა,გეოგრაფია და ისტორია), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა კათედრისთვის მნიშვნელოვანია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი.

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწყებით საფეხურზე საგნებში მუსიკა, სახვითი და გამოყენებით ხელოვნება შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სახელმწიფო ენა

სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რემედიაციის გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ინკლუზიური სასწვლო გარემოს შესაქმნელად სკოლაში არის მოსწავლეთა ჩართვის სასწავლო გარემოში სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიც არის სასწავლო მასალის მიწოდება იმ ფორმით რაც ხელს შეუჭყობს თითოეულმა მოსწავლემ დაეუფლოს და გაიაზროს დავალების ტექსტის შინაარსი და ის საკვანძო კითხვები, რომლის შესრულებასაც თავად შეძლებს, ამასთა სსსმ მოსწავლეებისათვის გადმოგზავნილია სხვადასხვა დოკუმენტი, როგორიც არის ისგ გეგმები რომელიც აჩვენებს იმ სასწავლო მასალას რომელიც მოსწავლეთა შედეგებეის გაუმჯობესებისათვის არის აუცილებელი და პრაქტიკულად გამოყენებადი, მათ შორის სასწავლო რესურსი, ვიზუალური საშუალებები და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც კურიკულუმებიდან ჩანს, ძირითადად, სასწავლო პროცესში ხდება საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება (დავალების წარდგენა ხდება მატერიალური ან ელექტრონული სახით, პოსტერის, პლაკატის ან/და პრეზენტაციის სახით). ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. გარდა ამისა, მოწოდებულ დოკუმენტაციებში გვხვდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური სასაწავლო გეგმები, ასევე მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება, რაც მიგვანიშნებს რომ სასაწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მიდგომებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, რომელიც გამოიკვეთა მოსწავლეებზე სისტემატური დაკვირვებისა და სასწავლო საკითხის შემაჯამებელი ტესტირების მიხედვით. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. სამომავლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გეგმავენ თითოეულ მოსწავლეზე მორგებული კურიკულუმის შემუშავებას და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას აქვს ხედვა, უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. ამდენად,ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) მოდიფიცირებული და კლასის საჭიროებასა და წინარე გამოცდილებას მორგებული კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით; მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

საგან ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს.

ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: იმ მიზნით, რომ განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მოსწავლისთვის, სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის დიფერენცირებას. სსს. მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ როგორც ინდ გეგმები ასევე ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.ყოველივე ამის დასტურად წარმოდგენილია დოკუმენტები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალების ბარათი. სკოლის თვითშეფასების ფორმაში კი იკითხება: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ,როგორს სსსმ მოსწავლეების ინტერესებს,ასევე იმ მოსწავლებეის უნარებს, რომლებიც სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. აქტიურად იყენებენ რემედიაციას,რომელიც ითვალისწინებს იმ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,რომლებსაც ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზით გაუცდათ გაკვეთილები, ან მეტი დრო სჭირდებათ გარკვეული თემების ასათვისებლად.დ/საფეხურზე აგრეთვე იყენებენ თამაშით სწავლების მეთოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ ქალაქ თბილისის N 208 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სახელმწიფო ენა

სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს მრავალგვარი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე ქართულ ენაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში აზრულებს იმ ინდიკატორების ერთობლიობას, რომელიც უნდა დაძლიოს მოსწავლემ რათა შეძლოს საკითხის, თემის გაგება გააზრება. რუბრიკის თითოეული იდიკატორი ეფუძნება იმ მკვიდრ წარმოდგენებს რასაც შემოსაზღვრავს ცნების ფარგლებში მისაღწევი ცოდნის ერთობლიობას. სკოლამ აღნიშნა შეფასების დროს მათთვის პრიორიტეტულია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია. შეფასების დროს ყურადთება მახვილდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რათა მოსწავლეები პროგრესი დადგინდეს და დაიგეგმოს ამის საფუძველზე ქმედითი ღონისძიებები. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როცა საქმე ეხება განმავითარებელ შეფასებას, ძირთადად პედაგოგები შემოიფარგლებიან ზეპირი უკუკავშირით. აღსანიშანავია, ასევე რომ შესაბამის დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ჰქონდათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე რესურსს მე-12 საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022-23 წელს უცხოური ენის კათედრაზე ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები,რითაც განისაზღვრება შუალედური სასწავლო მიზნები. ასევე, ამ ეტაპზე სკოლა ირჩევს შეფასების პირველ მოდელს, ასევე ამ ეტაპზე მოხდა ერთ შემაჯამებელზე ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენა, იგეგმება თითო შემაჯამებელზე თითო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. რაც შეეხება, განმავითარებელ შეფასებას, ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის, ხოლო წლის ბოლოს მოხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა. აგრეთვე, კლასში შემსვლელი მასწავლებლები პერიოდულად სიტყვიერად უზიარებენ დამრიგებელს კლასის დახასიათებას. მომდევნო სასწავლო წელს მოხდება ახლად შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გაცნობა და დანერგვა. კომპლექსური დავალების განხორციელების შემდგომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის საფუძველზე, მასწავლებლები შეავსებენ და გაუზიარებენ მოსწავლეთა მიღწევებს, მოსწავლეთა მშობლებს, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს, შექმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ იყენებდნენ განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორებიცაა მოსწავლის თვითშეფასების ფორმა. სკოლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით, რომელიც სასწავლო წლის მიმდინარეობისას დაიხვეწება და მოდიფიცირდება.

ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მტკიცებულებად ატვირთული შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. საანალიზოდ სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგებიდან. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რა მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული დავალების შესრულებისას. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზუსტად ეხმიანება ამავე დავალების პირობაში მოცემულ მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლისთვის თავიდანვე ნათელია, რა ცოდნის წარმოჩენა ევალება. ბუნებრივია, ამ ეტაპზე ყველა დაგეგმილი ნამუშევრისთვის ვერ იქნება შედგენილი შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი.

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. სკოლა თვითშეფასებისას აღნიშნავს ,, სკოლა იყენებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ორი ტიპის,განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას,რომლებიც მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებზე.სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე მუშავდება როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ისე თემატურად, კონკრეტულ საკითხებზე მორგებული.“ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, კერძოდ: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები,ურთიერთშეფასების რუბრიკა,მოსწავლეთა თვიშეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით საბაზო საფეხურზე, რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. ვიზიტის დროს მუსიკის მასწავლებელელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ დავალებებს,რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადაროულად გამოყენებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მუსიკის მიმართულებით შეფასების რუბრიკები არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ მაწავლებელთან გასაუბრების დროს გამოჩნდა მისი გამოცდილება და მზაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა: შეიქმნას მუსიკის საგანში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად , ყველა სავალდებულო თემისათვის შეფასების რუბრიკები, რომლებიც უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით სკოლა გაითვალისწინა 2.1.2.1 და 2.1.2.4 ინდიკატორზე მოცემული რჩევები. დადასტურებად წარმოადგინა ლინკი

https://emis188my.sharepoint.com/:f:/g/personal/tbilisi208_mes_gov_ge/EsqSzki9BilBv2WqxMXfiPkBkzzk-_CGZtVisvQuTbhEtww?e=Gcol6W

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან, სამიზნე ცნებებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გაკვეთილის მსვლელობის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას-სიტყვიერ კომენტარს, რომელიც მოსწავლეთა განვითარებაზეა მორგებული და მიემართება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრი წარმოდგენებისკენ, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა

კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ამას მომწმობს დაწყებით საფეხურაზე გამოყენებული სახვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გეგმავენ შემდგომ სასწავლო აქტივობებს. ამის დასტურად კათედრას წარმოდგენილი აქვს კათედრის ნაგარიში და მასწავლებელთა საქმინობის ანგარიში, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა და რეფლექსიები. გასაუბრების დროს ისაუბრეს მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარებულ სადიაგნოსტიკო ტესტირებაზე, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ამ პროცესებს არეგულირებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მასში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მოწოდებული კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მათემატიკის პედაგოგები ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებში წინარე ცოდნის საფუძველზე ააგოს ახალი ცოდნა ამის მაგალითია, საკითხთა კლასტერი სადაც თითოეული საკითხი იმგვარად არის წარმოდგენილი მათ შორის ეტაპობრივი განვითარების ნაბიჯები კარგად ჩანს, ამასთან ერთად მოწოდებული კომპლექსური დავალების ნიმუში გვაფიქრებინებს, მასწავლებელი წინარე ცოდნის გამააქტიურებელი კითხვებით ცდილობს ახალი ცოდნაზე გადასვლას. აქვე აღვნიშნავ მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჭიროა სწავლების პროცესში მოხდეს წინასწარ თემის შესწავლის დაწყებამდე წინარე ცოდნის *დიაგნოზირება* და აღმოიფხვრას შეძლებისდაგვარად დანაკლისი ცოდნა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან ირკვევა, სემესტრის ბოლოს კათედრაზე ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, კერძოდ, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ხდება სტატისიკურად დამუშავება და განსაზღვრა თუ რა ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა, შემდგომ კი მიმდინარეობს ამ შედეგების დეტალური განხვილა და კურიკულუმში შეძლებისდაგვარად ასხვა და გათვალისწინება. გარდა ამისა, კათედრის წევრები განიხილავენ და აჯამებენ წარმატებით განხორციელებული კომპლექსური დავალებებს, მატრიცებს , პროექტებსა და კლასგარეშე აქტივობებს, რომელიც კათედრის შეფასებით კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებელია და გასაუმჯობესებელი მომავალი სასწავლო სემესტრისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. მაგალითად: სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად, შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგმება, მომავალი სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები დაეყრდნენ წინა სასწავლო წელს, კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებას. შეიტანეს დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას, სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

ესთეტიკური აღზრდა

დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების ვერსიები, რომლებიც, გასული წლების გამოცდილების საფუძველზე შექმნეს. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: ,,ახალი კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს აუცილებლად ვითვალისწინებთ წინარე გამოცდილებას,როგორებიცაა მოსწავლის,მასწავლებლის უკუკავშირი და რეფლექსიები.შემაჯამებლების ანალიზები,საკლასო-საშინაო დავალებების შედეგები და კომპლექსური დავალებების ანალიზი,ასევე კოლეგების გამოცდილება.“ ინტერვიუირების დროსაც გაირკვა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრამ ერთობლივად იმუშავა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმზე, რომელიც დაეფუძნა წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება გააამახვილეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. ვინაიდან სკოლას აქვს კომლექს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებმა წინა სასწავლო წლის კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზასა და ინვენტარზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. რემედიაციის გეგმა . გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმი. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რესურსი 12 . ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კომპლექსური დავალების ბარათები, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მშობელთა კრების ოქმები.

სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა, *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა,* ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

----

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის კათედრაზე კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს არაერთი სასწავლო პროექტისა და კომპლექსური დავალების განხორციელებას. ამ მხრივ კათედრას აქვს მდიდარი პრაქტიკა. დაწყებით საფეხურზე კათედრა გვიზიარებს განხორციელებულ პროექტებს „გახდი მეღვინე“ და ,,კონფლიქტების მოგვარება და გადაჭრის გზები“. აღნიშნული პროექტები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობასა და პიროვნულ განვითარებას უწყობდა ხელს. მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა, ასევე, გეგმავს მაშტაბურ პროექტს, რომლის ფარგლებშც დაიდგმება სპექტაკლი--„ამეტყველებული ბუნება“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩასართავად სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმი სადაც ნაჩვენებია, ის სასწავლო პროცესები რომელიც მოსწავლეებში ინტერესი და მოტივაციის განმაპირობებელია, იქვე მოყვანილია კომპლექსური დავალებები რომლებიც მოსწავლეებისგან მოითხოვს სხვადასხვა შინაარსის სამუსაოების შექმნას რომელიც უნდა ასისახოს შემოქმედებით პროდუქტში, როგორიც შეიძლება იყოს, პოსტერი მაკეტი და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც პედაგოგთა ინტერვიუდან და ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ირკვევა, პედაგოგები დავალებებზე მუშაობის დროს მაქსიმალურად ცდილობენ კონსტრუქტივისტული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებას, კათედრას წარმოდგენილი აქვს საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი, სადაც ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომლებიც ითვალისწიბენ მოსწავლეების შემოქმდებით პროცესშო ჩართულობის შესაძლებლობას. მაგალითად, წარმოდგენილ კურულუმებში, გვხვდება დავალებები, რაც გულისხმობს ნასწავლი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადატანას, კერძოდ, ბლოგის დაწერა, სადაც რჩევები უნდა მისცენ მეგობარს, როგორ გადაჭრან პრობლემა, ასევე წარმოდგენილია, კომპლექსური დავალება, რომელშიც მოსწავლემ მეგობრისადმი მიწერილ წერილში უნდა აღწეროს რეგიონში და მსოფლიოში არსებულ გამოწვევები, ასეთი შინაარსის დავალებები მოსწავლეებს ეხმარება უფრო აქტიურად ჩაერთონ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმებში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და შემდგომი განვითარების გზები. საწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული პროცესში. სასწავლო პროცესში ჩართულობა უმთავრესი პირობაა თითოეული მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის. ამას ახერხებენ კომპლექსური დავალებებით, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. კურიკულუმში კარგად ჩანს ცოდნის კონსტრუირების მაგალითები, ყოველი მომდევნო კომპლექსური დავალება წინარე ცოდნის ზედნაშენია და მისი კეთებისას იკვეთება დეკლარატიული ცოდნის პირობისეულ ცოდნად გარდაქმნა. კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების უზრუნველყოფა. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოსწავლისგან მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, ტექსტების შექმნის თუ ტექსტში წარმოჩენილი ეპოქების გაანალიზებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. ამას მოწმობს სკოლაში მიმდინარე წელს დაგეგმილი არაერთი პროექტი: „208–ე სკოლისა და ეკოვიჟენის მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი პროექტი „ ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკოსისტემაზე“, „ვანდალიზმი“; და ა.შ.რაც მიუთიტებს ,რომ სკოლას აქვს მზაობა **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი).

ესთეტიკური აღზრდა

დაწყებითი საფეხურის მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეს მიეცეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა.ამისთვის მასწავლებლები ქმნიან პოზიტიურ,ხელშემწყობ გარემოს და იყენებენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდს,რომლის დროსაც მოსწავლე ინტერესთან ერთად გრძნობს პასუხისმგებლობასაც.მაწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას.მე-3 კლასებში განხორციელდა პროექტი „ქართული სარიტუალო მუსიკა“. რომლის ფარგლებშიც ბავშვებმა მოიძიეს ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა უძველესი რიტუალისა და სიმღერების შესახებ, როგორებიცაა ,,ლაზარე“, ,,მზე შინა“, ,,ბატონებო“, ,,ჭონა“, ,, ბერიკაობა“, ,,ალილო“. სკოლაში ფუნქციონიონირებს სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე. კერძოდ,ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო მუსიკალური კლუბი ,,მელომანი“ , რომლის მიზანია არაფორმალურ გარემოში მოსწავლეებში სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის მუსიკის, კომპოზიტორებისა და შემსრულებლების უკეთ გაცნობა, მხატვრული იდეის აღქმა, შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, ემოციური, ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება. დეკემბერში დაგეგმილია შემაჯამებელი კონცერტი ,,XX საუკუნის ჰიტები.“არაფორმალური განათლების მიზნით სასკოლო პროექტის ფარგლებში ,,გარემოს დაცვითი კულტურა“ დაგეგმილია დაწყებით საფეხურზე (მე-6 კლასი) პროექტი ,,მუსიკა და მცენარეები“ (თებერვალი). ასევე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრის დადგმა, ,,ვაჩუქოთ ბუნებას სიცოცხლე.“სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კლუბი. ამ ინფორმაციას ამტკიცებს წარმოდგენილი კლუბის სამუშაო პროგრამა, სამიზნე ჯგუფი, კლუბის მნიშვნელობა და აქტუალობა კლუბის მუშაობის მიზანი და კლუბის სამუშაო გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა, რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასწალო პროექტები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის ჩარჩო დოკუმენტის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმართვას ახორციელებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამაში გვარწმუნებს თემების დალაგება, სადაც ნაჩვენებია ის გეგმა თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი მაგ: მე-5 კლასი, პირველ თემაში ჯერ ისწავლება ნატურალური რიცხვები მილიონის ფარგლებში, შემდეგ მეორე თემასი ზომა ზომის ერთეულები. მეორე თემის შესწავლამდე მოსწავლეს სასურველია პირველი თემა ჰქონდეს გავლილი რაც გაუადვილებს ცოდნის კონსტუირება, ასევე შეიზლება ითქვას მე-6 კლასის კურიკულუმზეც და სხვა კლასებზედაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც კურიკულუმებიდან, ისე პედაგოგთა ინტერვიუდან იკვეთება, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ ახალი თემის/ საკითხის ახსნამდე, მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიას, კერძოდ, ახალი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ჯერ ხდება წინასწარ გარკვეული ლექსიკისა და ტექსტის დამუშავება. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ შესაბამისი ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რამდენიმე გაკვეთილი სჭირდებათ, რათა სასურველ შედეგზე გავიდნენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წინარე ცოდნის საფუძვლიან გათავისებას, სხვადასხვა აქტივობით ადგენენ მოსწავლის წინარე ცოდნის დონეს და შემდეგ, ახალი ცოდნის აგებისთვის, გეგმავენ შესაბამის აქტივობებს - კომპლექსურ დავალებებს, რომლის პირობა ისეა აგებული, რომ მასში ასახულია უკვე მიღებული გამოცდილება, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს ახლის მიღება და მასზე მუშაობა. კომპლექსური დავალებებით გათვალისწინებული პროდუქტი იქმნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში ასახული პროექტები ემსახურება მოსწავლეთა ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. თემები შერჩეულია ისე, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლემ შეძლოს პირად გამოცდილებაში გადატანა. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, დაასახელეს რამდენიმე მაგალითი და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. საგნობრივი კურიკულუმებში მასწავლებელი ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. დაწყებით საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. აღნიშნული მოსწავლეებს სთავაზობს „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისკენ, ამასთანავე, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ ახლის აღმოსაჩენად. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები. სასწავლო პროცესში არ ხდება ინფორმაციის, როგორც ფაქტის ისე მიწოდება. სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების მიერ დასკვნების გაკეთება ხდება ანალიზზე და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; აღნიშნულიდან გამომდინარე , **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. გავლილ თემებში შესწავლილი ტექნიკური ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თემის ფარგლებში შესასწავლი ტექნიკური ელემენტები. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა.

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება , რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა

სწავლის სწავლების სხვადასხვა აქტივობები გამოიყენება მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად, მაგ; დამოიკიდებელი სამუშაო სადაც მოსწავლე ეძებს იმ ხერხებს და მიდგომებს რომელიც დაეხმარება სკოლას, მასწავლებელს და მოსწავლეს ცოდნის გამომჭღავნების კუთხით განახორციელოც საინტერესო აქტივობებოი, ამ პროცესებში მოსწავლე ჩართულია, როგორც მკვლევარი, რომელიც შეიმეცნებს ახალ საკითხს ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ცოდნათა შორის მიმართებების დანახვას, ეუფლება გადაწყვეტილების ფაქტებზე დაფუძნებით მიღების ხერხებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან გაირკვა, პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას, სწავლის სწავლას, კერძოდ, კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება და ბოლოს აძლევენ შესაბამის უკუკავშირს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ საფუძვლიანი სწავლის, ცოდნის მიღების, გათავისებისთვის მნიშვნელოვანია იმ მეთოდების მიდგომების სტრატეგიების გამოყენება, რაც დაეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესში. შესაბამისად მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ, როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად. ამისთვის იყენებენ მათთვის მისაღებ სხვადასხვა სასურველ სტრატეგიებს, აქტივობებს, მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება მათ სწავლის დროს. კომპლექსური დავალებები ამის საუკეთესო საშუალებაა. პედაგოგები სასწავლო პროცესში განსაკურებულ აქცენტებს აკეთებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება. ამ გამოცდილების გაანალიზების პროცესს ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები, შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. პედაგოგების აზრით, დაწყებით საფეხურზე სწავლის სწავლა სირთულეებთან არის დაკავშირებული თუმცა, პირველივე კლასიდან დაწყებით საფეხურზე ხდება ამ პროცესზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მარტივი აქტივობებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. მეტაკოგნიციაზე აქცენტი კარგად იკვეთება მოსწავლისთვის მისაცემ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექანიზმებში, როგორიცაა თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. მასწავლებლებლებმა აღნიშნეს, რომ დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენიათ, მაგრამ მიმდინარე აქტივობების ფარგლებშიც სისტემატურად უსვამენ მოსწავლეებს ე.წ პროცედურულ შეკითხვებს, რომლებიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა ინსტრუქციის შესასრულებლად. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ტექნოლოგიები

ჩარჩოში წარმოდგენილ თითოეული კომპლექსური დავალების იდეასთან მიმართებით, ბუნებრივია, ნათლად ვერ გამოიკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები და კონკრეტული აქტივობები, (რადგან ჯერ მატრიცები არ არის შემუშავებული), თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიმართულია საზროვნო უნარების განვითარებისკენ; მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე.

ესთეტიკური აღზრდა

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს.მაგ. შესასვლელი ბარათები,გამსვლელი ბარათები,მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური,კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით.მასწავლებლები აკვირდებიან,რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას,ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა წარმოაჩინონ, რა შეასრულეს კარგად, რომელი აქტივობა მოეწონათ, რა გამოცდილება შესძინა, რა გაუჭირდათ და რას გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ ცხოვრებისეულ აქტივობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ცოდნათა სამი კატეგორიაზე სწავლების ყველა ფორმასი მახვილდება ყურადღება, ეს შეიძლება იყოს კომპლექსური დავალება რომელშიდაც კითხვები არის იმ ფორმით დასმული, რომელიც უზრუნველყოფს ფაქტობრივი ცოდნისა და პროცედურული ცოდნის გააქტიურებისა და მუშაობის საშუალებას, ხოლო შემოქმედებით პროდუქტში ასახულია იმგვარად რაც საშუალებას იძლევა პირობისეული ცოდნა იყოს გააქტიურებული, აქვე ავღნიშნავ, რომ შემაჯამებელი ტესტი თუ სხვა დოკუმენტშიდაც დასტურდება რაზედა მასწავლებლებმა ისაუბრეს გასაუბრების დროს.

უცხოური ენები

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ცოდნის გააქტიურებას. მაგალითვის, შეიძლება განვიხილოთ, კომპლექსური დავალება, რომელიც გულისხმობდა სათავგადასავლო შემეცნებით ტურზე პრეზენტაციის მომზადებას, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, ხდება შესაბამისი სამეტყველო ქმედებებისა და ენობრივი საშუალებების დამუშავება, სანამ შეიქმნება საბოლოო პროდუქტი. ეს ყოველივე კი ბუნებრვია, გულისხმობს ორიენტირებას ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის მოცემულ კატეგორიებზე. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შესაბამისად. აღნიშნული საკითხი მორგებულია კურიკულუმებს, რასაც შემდეგ ახორციელებენ პრაქტიკულად. კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულ, პროცედურულსა და პირობისეულს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება ცოდნის სამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კატეგორიაზე ორიენტირებულობა. მათი აზრით, ცოდნა პრაქტიკის გარეშე არაფერია. მთავარია, მოსწავლემ იცოდეს, როგორ და სად, რა შემთხვევაში გამოიყენოს ცოდნა. კურიკულუმის სრულყოფის მიზნით კომპლექსური დავალებების პირობები შეიქმნება ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინებით

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასაწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას, რაც დასტურდება იმით, რომ კურიკულუმში მოცემული დავალებები მოითხოვს როგორც დეკლარატიული, ისე პირობისეული და პროცედურული ცოდნის გამოყენებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი ქვესაკითხების მაგალითზე (კომიქსი, სტატია) წარმოაჩინეს, როგორ წარმოუდგენიათ დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული შინაარსის შეკითხვების საშუალებით მოსწავლეებს გააზრებინონ მოვლენა. ობიექტურად შენიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები თავისთავად ეუფლებიან სამივე კატეგორიის ცოდნას, რადგან ისტორიულ მოვლენის გააზრება სხვაგვარად წარმოუდგენელია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება.

ესთეტიკური აღზრდა

ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლა თვითშეფასების ფორმაში წერს: მოსწავლეთა უნარების,შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარებისთვის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. მოსწავლემ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით უნდა შექმნას,განახორციელოს და გამოიყენოს ფუნქციურად.ყოველივე ამას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებები,პროექტები და არაფორმალური სწავლების აქტივობები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები, ამიტომ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს სხავა საგნებთან ინტეგრირებულად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაშია ქართული ენისა და ლიტერატურის, ბუნებისა და ისტ-ის ინტეგრირებული სასწავლო პროექტი თემაზე : „გახდი მეღვინე“. ასევე, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას, რაც ცოდნათა ორგანიზებაში დაეხმარება მოსწავლეებს. სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ცოდნათა ორგანიზებისათვის, გამოიყენება კომპლექსური დავალება, რომელიც თემის ფარგლებში წარმოადგენს იმ საკითხებს შორის ურთიერთ მიმართების საფუძველზე რაიმე სახის პროდუქტის შექმნას, როგორიც შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური სახით. გასაუბრებაზე აღინიშნა ასევე გაოიყენება ისეთი ტესები რომელიც მოითხოვს წინარე ცოდნის გამოყენებით ახალი საკითხის კლასტერის, შეკვრას და გამოყენებას დასმული პრობლემური შეკითხვის გადასაჭრელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილი კურიკულემბიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შერჩეული დავალებები მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება განსხვავებული მოსაზრება და არგუმენტი ჰქონდეს, რაც ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნის წინაპირობაა. ეს არის პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, რაც ასახულია როგორც საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე საკლასო-საშინაო დავალებებში, საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. ამ უნარების განვითარებისთვის დაგეგმილია კომპლექსური დავალებები - მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ პრობლემა და მოძებნონ მისი გადაჭრის გზები. კურიკულუმებში დაგეგმილია აქტივობები მოსწავლეს გამოადგება მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს სხვა საგანში. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში და პროექტებში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია პროექტი. მაგალითად, სკოლის მიერ განსახორციელებული პროექტი „შშმპ საზოგადოების ურთიერთობა“,რომლის ფარგლებში მოსწავლეებს დაგეგმილი აქვთ არაერთი აქტივობა,რომელიც გულისხმობს როგორც შშმპ დახმარებას,რომლის ფარგლებში მოსწავლეები გამოიყენებენ მოქალაქეობაში ნასწავლი მეწარმეობას და გაყიდიან სხ/სხ ნივთებს და შეგროვილი თანხას გადასცემენ შშმპ,ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მითუფრო კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა გამოცდილება ხედვა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშრებას და ორგანიზებას. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სპეციფიკა გაამარტივებს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

ესთეტიკური აღზრდა

მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, რომლებიც სკოლის მიერაა წარმოდგენილი, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს.კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. მუსიკის მიმართულებით საგნობრივ კურიკულუმებში დიდი ყურადღება ეთმობა საგანთაშორისო კავშირებს.კერძოდ:დაწყებით საფეხურის მუსიკის კურიკულუმში გაწერილი სავალდებულო თემების დამუშავებისას თითქმის ყველა აქტივობა მათემატიკასთანაა ბმაში.მაგ.სამყაროს ხმების,ხმაურის ანალიზი,რომელიც პიქტოგრამების,მუსიკოგრამების ჩახატვა/გაფერადებით ეხმარება მოსწავლეს ბგერის სიმაღლის,ხანგრძლივობის, ტემბრისა და სიძლიერის შეცობასა დაგააზრებაში. საგანთაშორის კავშირებია აგრეთვე ქართულ ენასა და ლიტერატურასთან, მე და საზოგადოებასთან,სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან, ბუნებისმეტყველებასა და სპორტთან.ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ქართულის მასწავლებელთან ერთად დაიგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე ,,ადამიანის პორტრეტი მუსიკაში“, როსტევან მეფის პორტრეტი ,,ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. მესამე კლასში კი იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე-„ჰარმონია“. მუსიკის მასწავლებელს დაგეგმილი ჰქონდა გასვლითი ღონისძიება ,,ექსპერიმენტორიუმში“, სადაც ბავშვებმა შეძლეს მუზეუმში დაცული ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის მრავალ ექსპონატთან შეხება, დატრიალება, დაგდება, შეგროვება თუ დაშლა. ბავშვებმა ამ ექსკურსიით ბევრი ახალი რამ შეისწავლეს და ამავდროულად ინტერესი გაუჩნდათ მომდევნო კლასებში ახალი საგნების შესწავლის, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები: მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა, რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები, პროექტები, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, კლუბების დოკუმენტაცია. სასწავლო პროექტი

მასწავლებლების ანგარიშები. სასკოლო სასწავლო გეგმა;

კათედრის /სხვა საგნობრივი გაერთიანებების ამსახველი მასალები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**.

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების მატრიცები) ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამიზნე ცნებებს ამით პედაგოგი აჩვენებს, რომ მისთვის მთავარ ორიენტირს სასწავლო პროცესში წარმოადგენს მათემატიკის გრძევლადიან მიზანზე გასასვლელი ცნებები, ამისათვის სკოლაში შუალებურ მიზნად გამოყენებულ კომპლექსურ დავალებაში ჩასნებულია ისეთი აქტივობები, რაც ხდის პროცესებს გრძელვადიან პერიოდში განზოგადებისათვის საუკეთესო საშუალებას, და ეს ყოველივე შემოიფარგლება იმ მკვიდრი წარმოდგენებით რაც უნდა დაიფაროს თემის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალებების გამოყენება, მეტ-ნილად წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ასევე ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, არა მარტო გაწერილი კურიკულუმები, არამედ განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც, რომელიც მასწავლებელთა ინტერვიუდან გაირკვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოავლინეს ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ გასაუმჯობესებელი მხარეები და გამოწვევები. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის ყველა კლასის პედაგოგმა გაიარა შესაბამისი ტრენინგები, იმუშავა საგნობრივ ექსპერტებთან და შექმნა საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც კონკრეტული სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას უწყობს ხელს. დანერგვასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა პედაგოგებს შორის. კომპლექსური დავალების შემუშავების დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს, რადგან თითოეული სასწავლო თემისთვის განსაზღვრულია, რა ტიპის დავალებაში გააქტიურდება საფეხურის სამიზნე ცნებები. ეს ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რეალისტური და დამაჯერებელია. მათ გაანალიზებული აქვთ შერჩეული დავალებების ფუნქცია, მიზნები, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლეს ცოდნის განზოგადებისკენ უბიძგონ. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მიმართულებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები, საკვანძ კითხვები ერთმანეთთან სწორადაა დაკავშრებული. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც როგორც შუალედური მიზანი ,მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს კომპლექსური დავალებებით. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკური ელემენტების შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად , დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. საბაზო საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტის მიზანია შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ საბაზო საფეხურის კათედრა ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები არის ისე შერჩეული მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობა რაც იწვევს ემოციურ სტაბილურობას, გაკვეთილზე წახალისებულია თითოეული მათგანის ფასუხები მცდარიც რომ იყვეს და ემოციური სტრესისგან დაცულია საწავლო გარემო, გაკვეთილზე ყურადღება არ მახვილდება კონკრეტულ სოციალურ განმასხვავებელ ფაქტორებზე, არამედ ფსიქო სოც განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხური ენები

წარმოდგენილ კურიკულუმებში არის ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, გვხვდება ისეთი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სოციალური უნარების განვითარებას, გაუზიარე, მისწერე წერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მეგობარს, იმუშავე წყვეილებში და ა.შ. გარდა ამისა, სასკოლო პროექტის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, იქ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასწავლო პროცესი, მისი დაგეგმვა და განხორციელება ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო - სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ სასწავლო პროცესი, მისი დაგეგმვა და განხორციელება ემსახურება როგორც მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებასაც. კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. გადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. პედაგოგების აზრით, მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი ფიზიკური და გონებრივი, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს მდგომარეობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს და ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. შესაბამისად, მასწავლებელი თავისი საგნის სწავლების პროცესში ცდილობს ამ მიმართულებით მოსწავლის დაფიქრებას. პედაგოგები ორიენტირებული არიან მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, ამას ემსახურება სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით და გააზრებული აქვთ.ამას მოწმობს არაფორმალური განათლება ,რომელსაც სკოლაში აქტიურად იყენებენ ,ეს იქნება განხორციელებული თუ განსახორციელებელი პროექტები მიმდინარე სასწავლო წელს,ასევე სამოქალაქო განათლები კლუბი .ისტორია–მოქალაქეობის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს დაარსებული „დებატ კლუბი“.სადაც მკაფიო იყო მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითრებაზე ორიენტირებული აქტივობები, რაც მაფიქრებინებს, რომ პროექტული სწავლება არის კათედრის ძლიერი მხარე და მას გამოიყენებენ მოსწავლის კოგნიტური და სოციო-ემოციური განვითარებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ტექნოლოგიები

წარმოდგენილ დოკუმენტაციებში და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „რადგან სასწავლო პროცესი ეფუნება მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას,მნიშვნელოვანია იგი აღიჭურვოს იმ უნარებით,რომ შეძლოს ამოიცნოს და მართოს საკუთარი ემოციები და პასუხისმგებელი იყოს საკუთარ ქცევებზე.ამ მხრივ გვეხმარება კომპლექსურ დავალებებში გაწერილი აქტივობები, სადამრიგებლო პროგრამა და არაფორმალური განათლება. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადააა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მაგ. საგან მუსიკაში, საკითხის , ,,მუსიკით ადამიანის პორტრეტის ემოციის გადმოცემა“, ხოლო სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თემის: „იდეები, შთაბეჭდილებები, ემოციები“ შესწავლის დრო, რაც უშუალოდ ამ მიზანს ემსახურება. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, თემაზე: „კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები“ რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა,რომ თვითონ გაწერა სპექტაკლის სცენარი,მუსიკის მხრივ გაკეთებული ჰქონდა ქორეოგრაფიული ნომერი,სადაც სხვადასხვა მუსიკალური ნომერი გააერთიანა და დადგა პანტონიმა, სადაც ჩანდა ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება. რომ სიკეთე გადამდებია და კონფლიქტის მოგვარება დათმობით, სიკეთით და მიტევებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე ბოროტებით. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტი: უსაფრთხოების, მავნე ჩვევების (მავნე ჩვევების სახეები), ჰიგიენის (პირადი ჰიგიენა), თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალგვარი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V-VI) კლასი) შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება, სოლო, ჰოლისტური რუბრიკები) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** ~

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების ჰოლისტურ რუბლიკაში კარგად იკვეთება, სადაც ყურადღება არის გამახვილებული იმ ძირითად თეზისებზე რომელიც მოსწავლის შეფასებისათვის არის არსებითი, რომლებიც პუნქტობრივად ასახავენ იმ ნიშან თვისებებს რაც უნდა დაიძლიოს თემის ფარგლებში და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ძირთადად, კათედრის წევრები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და კონკრეტული დავალების შესრულების დროს აძლევენ მოსწავლეებს ზეპირ უკუკავშირს. აგრეთვე ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის და ან წლის ბოლოს ხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოხდეს მოსწავლის ჰოლისტური განვითარება, შეფასების სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსწავლე უნდა იცნობდეს შეფასების რუბრიკებს, რის მიხედვითაც იგი ფასდება. ამიტომ ისინი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, მუდმივად, განუყოფლად მოსწავლის ყოველდღიურობასთან. შეფასებისას ცდილობენ გამოავლინონ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და მისცენ მას კონსტრუქციული უკუკავშირები. ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას, სიტყვიერ კომენტარებს, სიტყვიერ უკუკავშირებს, თუმცა საჭირო დროს შეფასებას აკეთებენ წერილობითი ფორმითაც. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი მოსწავლეების შეფასებისას იყენებს შეფასების რუბრიკებს, რომლის მომზადებისას ხელმძღვანელობს საგნობრივი სტანდარტით. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, (V-VIკასი) ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: “ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლისაგან მაღალი მოლოდინები და შესაბამისად სასწავლო პროცესიც აქეთკენ არის მიმართული. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით ვიყენებთ

სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას. თითოეული საფეხური წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს.“-

აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. თანაც, მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

ესთეტიკური აღზრდა

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია..**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკური ელემენტების შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკური ელემენტი სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიის ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

განმავითარებელი-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წარმოადგენს მოსწავლეების მრავალმხრივ შეფასების საშუალებას სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური საფუძველზე აგებული საგნობრივი საკითხები, რომელიც იშლება მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით სამიზნე ცნების მისაღწევად რომელიც საბოლოო ჯამში მათემატიკის მაკრიო ცნებების განზოგადებისაკენ მიდის, გასაუბრებაზეც გამოითქვა ამ კუთხით მოსაზრება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კათედრას ძირითადად, წარმოდგენილი ჰქონდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკებო, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, დავალების შეფასებისას, ძირითადად მიმართავენ ზეპირ უკუკავშირს, თუ რა აქვს გასაუმჯობესელი, რა გამოუვიდა კარგად, და როგორ შეიძლება გამოსწორება, ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა მეტად დახვეწოს პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბუნებისმეტყველების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში ასახულია, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასება. მასწავლებლებმა იციან, როგორ უნდა შეარჩიონ შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. შესაბამისად, მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ, დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმევენ საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირება გაუკეთონ წარმოდგენილ რუბრიკებს, შეფასების სქემებს, გახადონ კიდევ უფრო დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი, შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

.კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.

ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმების მიხედვით, თემების ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება,თემის სრული მასალის შეჯერება,მოსწავლეთა თვითშეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ სკოლა თვითშეფასებაში წერს: მნიშვნელოვაანია,რომ მოსწავლეს ჰქონდს განცდა,რომ ვაფასებთ მის იმ უნარს, რისი შეფასებაც გვინდა.იცის როგორ ფასდება მათ მიერ შესრულეული დავალება,პროდუქტი.უზრუნველყოფილია სამართლიანი შეფასების კრიტერიუმები. ამოსწავლის შეფასება ეფუძვნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდაში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სახელმწიფო ენა

სკოლის წარმოდეგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში არის მზაობა დაინერგოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლა ცდილობს, რომ ჰქონდეს შეფასების ერთიანი სისტემა სადაც მოხდება იმ მიღწევების ანალიზი რომელიც სწავლა სწავლების დროს მიმდინარეობს, რაც ქმნის იმ ფონს, ყველა საგნობრივი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს ისეთი შეფასების პროცესები რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის, რა ფასდება? და როგორ? **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სკოლას აქვს შეფასების განსაზღვრული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

როგორც მასწავლებელთან გასაუბრებისას, ასევე წარმოდგენილდოკუმენტაციაში ჩანს, დაწყებით საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგი მე-5 კლასში მეორე სემესტრისა და მე-6 კლასში ორივე სემესტრის ბოლოს ატარებს შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებს ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება მომდევნო გაკვეთილები. ვერიფიკაციის შედეგად მასწავლებლები ახდენენ ინფორმაციის მიღებას სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლას წარმოდგენილი დოკუმენტი, რითაც დასტურდება,რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი,შრფასების ინსტრუმენტების შერჩევა,ვალიდაციის წესი და პროცედურა.აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მეთოდად სკოლა იყენებეს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, მოსწვლეთა და პედაგოგთა რეფლექსიებს, პორდფოლიოებს. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით დგინდება რამდენად ეხმარება შეფასებ სისტემა მოსწავლეს, რამდენად იმართება სწავლა-სწავლების პროცესი. ვერიფიკაციის შედეგად იღებენ სამი მიმართულებით ინფორმაციას: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესება როგორც კათედრებთან თანამშრომლობითა და წინა წლების გამოცდილებების გაზიარებით, ასევე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შედგენით. ვერიფიკაცია დაფუძნებილი იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ სადიაგნოსტიკო ტესტის განხორციელებას სემესტრში ერთხელ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.…სახელმწიფო ენა

როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, სკოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე მატერიალურად შეინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტაციის შენახვას გარკვეული დროის განმავლობაში თუმცა არ კონკრეტდება დრო, მაგრამ გასაუბრებაზე აღინიშნა შემაჯამებლის ფორმებს და ნიმუშებსაც ინახავს მასწავლებელი კათედრაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც ინტერვიუდან და დოკუმენტებიდან გაირკვა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვას, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით, კერძოდ, პედაგოგები ინახავენ სპეციალურ საქაღალდეებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტების წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შენახულია და სათანადოდ აღრიცხულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ ინფორმაცია/მტკიცებულებები არანაკლებ 3 წლის ვადით. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

…როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

ესთეტიკური აღზრდა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის თვითშეფასებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე, ინვენტარზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმები შეიქმნება კათედრაზე, დამტკიცდება დირექციის მიერ და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის. ეს განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. ამავე დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა და წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმეითაც დასტურდება, რომ რომ მშობლები ინფორმირებულნი და ჩართულნი არიან სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის ერთ ერთი სტრუქტურული რგოლის კომპლექსური დავალების შესახებ, და სხვა დაინტერესებული პირისათვის სკოლა გამოთქვამს მზაობას გააცნოს სასკოლო კურიკულუმიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სასკოლო კურიკულუმი, მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, აგრეთვე, კათედრის წევრები, როგორც ინტერვიუდან ჩანს, აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ასევე სხვა კათედრასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლის მიმართ და რადგან გაზიარებულია პასუხისმგებლობები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებულია სასკოლო კურიკულუმი. მშობლებს აცნობნენ წლის განმავლობაში დაგეგმილ დავალებებს და იღებენ მათ უკუკავშირს. ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს უზიარებდნენ მშობლებს და ისმენდნენ მათ შეფასებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, კურიკულუმის გაზირებისთვის იყენებენ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს, მათ შორის, ფეისბუქის და თიმსის ჯგუფებს. აღნიშნულის საშუალებით მშობელსა და მოსწავლეს წვდომა აქვს საკუთარი სკოლის სასწავლო გეგმაზე. 2023-2024 სასწავლო წლიდან კი ვებ-გვერდის საშუალებით შეიქმნება ახალი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მოხდება სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაზიარება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმი რომ გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, ამას, მასწავლებელთა აღნიშვნით, უზრუნველყოფს სკოლის დახურული სოციალური ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია ყველა მასწავლებელი, დირექცია, მშობელთა ნაწილი. ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოვლინდა ისიც, რომ საგნობრივი კურიკულუმები განიხილეს კათედრებზე და საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, გაითვალისწინეს სხვა კათედრებთან ინტეგრირებული თემებიც (დასახელდა შემდეგი საგნები: ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია,ქართული,). **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები.ელექტრონული ფოსტა,დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა,სოციალური მედია,ბეჭდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.იგივეს ადასტურებს თვითშეფასების კითხვარის ჩანაწერი: ,, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს ვაწვდით კომპლექსური დავალების ბარათებს.“ **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: ფესტივალები ინდივიდუალურ თუ გუნდურ სათამაშო სახეობებში, რომლებიც ჩაშლილია საერთო სასკოლო აქტივობებში- მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
*სკოლის თვითშეფასების განაცხადი; მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი; პედსაბჭოს სხდომის ოქმიN#4. 2-272 ისგ ჯგუფის ბრძანება, შეფასების რუბრიკა; სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.*კათედრის ოქმი

კათედრის სამუშაო გეგმა. ინდ.გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის (VII, VIII და IX კლასი). მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალები, მატრიცები. გაწერილი კომპლექსური დავალებები თანხვედრაშია სტანდარტთან, უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მის პიროვნულ განვითრებაზე. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარებისა გაუმჯობესებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას, სადაც გათვალისწინებულია, ის თემები, რომელიც უნდა იქნას შესწავლილი, და შესაბამისად ის სამიზნე ცნების ქვეცნებები, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება, ასევე შუალებური სასწავლო მიზნის მისაღწევი კომპლექსური დავალებებიც წარმოდგენილია რიგ თემებზე და ასახავს იმ მნიშვნელოვან პირობას რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, ასევე თან ახლავს რესურსების გრაფა რომელშიც მთავარ რესურსად წარმოდგენილია სახელმძღვანელო და ინტერნეტ ლინკები, რაც სწავლების გაიოლებისათვის გამოიყენება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კათედრას შემუშავებული აქვს **საბაზო** საფეხურზე ყველა კლასში კურიკულუმები, რაც ბუნებრივია, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმებში მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობები. ასევე, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. როგორც ინტერვიუდანაც ირკვევა, მასწავლებლებს აქვს გარკვეული მზაობა და სურვილი აქტიურად განახორციელონ კომპლექსურ დავალებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, ისინი იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, იციან, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. კურიკულუმები წარმოდგენილი აქვთ ქოუჩინგის პროცესში მიწოდებული ფორმის შესაბამისად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მისაღებია კურიკულუმის ასეთი ფორმით წარმოდგენა, აქ ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები.

ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. (მაგ, გეოგრაფიაში მე–8 კლასში კვლევა ელ ნინიოს დინებაზე. ასევე,მე–8 კლასიში ანგარიში არალის ზღვის პრობლემების და მისი გადაჭრის გზების ძიება)ამასთან, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია**ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს; სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; საგნის ფარგლებში VII-IX კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, ფრაგმენტულად კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. თუმცა ზოგიერი კლასის კურიკულუმის გაცნობისას გამოიკვეთა,რომ კურიკულუმის ზოგიერთი კომპონენტი არ იყო სრულყოფილად შევსებული: შესაბამისად აქვს გამოცდილება და სამომავლოდ მზაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა: VII-IXკლ.მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში, ველში ,,სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის", ყველა სავალდებულო თემას მიეთითოს ის რესურსები, რომლის საშუალებითაც მოხდება კონკრეტული თემის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელება.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით სკოლა გაითვალისწინა 2.1.2.1 და 2.1.2.4 ინდიკატორზე მოცემული რჩევები. დადასტურებად წარმოადგინა ლინკი

https://emis188my.sharepoint.com/:f:/g/personal/tbilisi208_mes_gov_ge/EsqSzki9BilBv2WqxMXfiPkBkzzk-_CGZtVisvQuTbhEtww?e=Gcol6W

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ფიზიკური აღზრდის **საბაზო საფეხურის** კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები (ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მიმდინარე სასავლო წელს გეგმავენ სასწავლო პროექტების განხორციელებას) თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეებში ყველა ამ უნარის აქტივირებას, გაცნობიერებას, გააზრებასა და სრულყოფას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები გათვლილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე მათემატიკაში, როგორიც არის მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, უნდა აღინიშნოს ასევე, ის კონტექსტ მაგალითები, რომლებიც თან ახლავს კურიკულუმებს, შეიცავს გლობალლურ ფუნქციური უნარების განვითარებისათვის საჭირო კონტექსტს, როგორიც არის: მოქალაქეობა, ხასიათი ნებელობა, შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კოლაბორაცია. ამასთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ამ უნარების განსავითარებლად სასკოლო აქტივობების მიმდინარეობის დროსაც ექცევა ყურადღება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად დავალებები გვხვდება, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს. ასევე სასკოლო პროექტში გაწერილია კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზებზე სხვადასხვა საინტერესო აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ კომინიკაციის, მოქალაქეობის, კომპეტენციის განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კომპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლები რა აქტივობების ჩატარებას გეგმავენ წლის განმავლობაში, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობენ საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აცნობიერებენ, რომ ასეთი ფორმით სწავლება განუვითარებს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს. **ამდენად,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ მაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, პროექტის „ვანდალიზმი“ როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა. შენიშნეს, რომ ისტორიის მოქალქეობის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვით კი თავისთავად უბიძგებენ მოსწავლეებს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ. საგანთა ინტეგრირება პროექტში „კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზები“ (მაგალითად, მოქალქეობა,გეოგრაფია და ისტორია), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა კათედრისთვის მნიშვნელოვანია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურზე, საგნებში მუსიკა, სახვითი და გამოყენებით ხელოვნება შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სახელმწიფო ენა

სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რემედიაციის გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ინკლუზიური სასწვლო გარემოს შესაქმნელად სკოლაში არის მოსწავლეთა ჩართვის სასწავლო გარემოში სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიც არის სასწავლო მასალის მიწოდება იმ ფორმით რაც ხელს შეუჭყობს თითოეულმა მოსწავლემ დაეუფლოს და გაიაზროს დავალების ტექსტის შინაარსი და ის საკვანძო კითხვები, რომლის შესრულებასაც თავად შეძლებს, ამასთა სსსმ მოსწავლეებისათვის გადმოგზავნილია სხვადასხვა დოკუმენტი, როგორიც არის ისგ გეგმები რომელიც აჩვენებს იმ სასწავლო მასალას რომელიც მოსწავლეთა შედეგებეის გაუმჯობესებისათვის არის აუცილებელი და პრაქტიკულად გამოყენებადი, მათ შორის სასწავლო რესურსი, ვიზუალური საშუალებები და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

როგორც კურიკულუმებიდან ჩანს, ძირითადად, სასწავლო პროცესში ხდება საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება (დავალების წარდგენა ხდება მატერიალური ან ელექტრონული სახით, პოსტერის, პლაკატის ან/და პრეზენტაციის სახით). ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. გარდა ამისა, მოწოდებულ დოკუმენტაციებში გვხვდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური სასაწავლო გეგმები, ასევე მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება, რაც მიგვანიშნებს რომ სასაწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მიდგომებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დიფერენცირება ხდება შესაძლებლობების მიხედვით. მაქსიმალური ჩართულობისთვის სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს. მოტივაციის გაზრდის მიზნით, მასწავლებლები სხვადასხვა დონის დავალებებს შორის მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის გაკეთების საშუალებას, ქმნიან მოქნილ, მრავალფეროვან და მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებულ უსაფრთხო სასწავლო გარემოს. გარდა იმისა, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ადაპტირებული დავალებები და კომპლექსური დავალებები, ასევე ითვალისწინებენ იმ მოსწავლეთა უნარებს, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომებს. მაგალითად, **საბაზო** საფეხურის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ბიოლოგიის მიმართ და სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, შეიქმნა ბიოლოგიის მოყვარულთა ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ბიოლოგიისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას, ლოგიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენასა და განვითარებას. მასწავლებლები გამოთვამენ მზაობას, სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, მოახდინონ არსებული კურიკულუმების მოდიფიცირება. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) მოდიფიცირებული და კლასის საჭიროებასა და წინარე გამოცდილებას მორგებული კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით; მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: იმ მიზნით, რომ განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მოსწავლისთვის, სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის დიფერენცირებას. სსს. მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ როგორც ინდ გეგმები ასევე ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.ყოველივე ამის დასტურად წარმოდგენილია დოკუმენტები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალების ბარათი. სკოლის თვითშეფასების ფორმაში კი იკითხება: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ,როგორს სსსმ მოსწავლეების ინტერესებს,ასევე იმ მოსწავლეების უნარებს, რომლებიც სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. აქტიურად იყენებენ რემედიაციას,რომელიც ითვალისწინებს იმ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,რომლებსაც ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზით გაუცდათ გაკვეთილები, ან მეტი დრო სჭირდებათ გარკვეული თემების ასათვისებლად.დ/საფეხურზე აგრეთვე იყენებენ თამაშით სწავლების მეთოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ ქალაქ თბილისის N 208 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს მრავალგვარი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, ქართულ ენაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში აზრულებს იმ ინდიკატორების ერთობლიობას, რომელიც უნდა დაძლიოს მოსწავლემ რათა შეძლოს საკითხის, თემის გაგება გააზრება. რუბრიკის თითოეული იდიკატორი ეფუძნება იმ მკვიდრ წარმოდგენებს რასაც შემოსაზღვრავს ცნების ფარგლებში მისაღწევი ცოდნის ერთობლიობას. სკოლამ აღნიშნა შეფასების დროს მათთვის პრიორიტეტულია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია. შეფასების დროს ყურადთება მახვილდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რათა მოსწავლეები პროგრესი დადგინდეს და დაიგეგმოს ამის საფუძველზე ქმედითი ღონისძიებები. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როცა საქმე ეხება განმავითარებელ შეფასებას, ძირთადად პედაგოგები შემოიფარგლებიან ზეპირი უკუკავშირით. აღსანიშანავია, ასევე რომ შესაბამის დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ჰქონდათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე რესურსს მე - 12 საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022-23 წელს უცხოური ენის კათედრაზე ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები,რითაც განისაზღვრება შუალედური სასწავლო მიზნები. ასევე, ამ ეტაპზე სკოლა ირჩევს შეფასების პირველ მოდელს, ასევე ამ ეტაპზე მოხდა ერთ შემაჯამებელზე ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენა, იგეგმება თითო შემაჯამებელზე თითო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. რაც შეეხება, განმავითარებელ შეფასებას, ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის, ხოლო წლის ბოლოს მოხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა. აგრეთვე, კლასში შემსვლელი მასწავლებლები პერიოდულად სიტყვიერად უზიარებენ დამრიგებელს კლასის დახასიათებას. მომდევნო სასწავლო წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოხდება ახლად შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გაცნობა და დანერგვა. კომპლექსური დავალების განხორციელების შემდგომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის საფუძველზე, მასწავლებლები შეავსებენ და გაუზიარებენ მოსწავლეთა მიღწევებს, მოსწავლეთა მშობლებს, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს, შექმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ იყენებდნენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორებიცაა მოსწავლის თვითშეფასების ფორმა. სკოლას საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით, რომელიც სასწავლო წლის მიმდინარეობისას დაიხვეწება და მოდიფიცირდება. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: პედაგოგებმა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით შექმნას და დახვეწოს ყველა კონტექსტ-მაგალითზე, ყველა კომპლექსურ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი ინდიკატორების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მტკიცებულებად ატვირთული შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. საანალიზოდ სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგებიდან. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რა მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული დავალების შესრულებისას. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზუსტად ეხმიანება ამავე დავალების პირობაში მოცემულ მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლისთვის თავიდანვე ნათელია, რა ცოდნის წარმოჩენა ევალება. ბუნებრივია, ამ ეტაპზე ყველა დაგეგმილი ნამუშევრისთვის ვერ იქნება შედგენილი შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. სკოლა თვითშეფასებისას აღნიშნავს ,, სკოლა იყენებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ორი ტიპის,განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას,რომლებიც მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებზე.სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე მუშავდება როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ისე თემატურად, კონკრეტულ საკითხებზე მორგებული.“ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, კერძოდ: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები,ურთიერთშეფასების რუბრიკა,მოსწავლეთა თვიშეფასება. საშუალო საფეხურზე საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პროექტული სწავლება განმავითარებელი შეფასებით ფასდება.დამამტკიცებელ დოკუმენტად სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტის შეფასების რუბრიკა მუსიკაში, აგრეთვე კლასზე დაკვირვების სქემები და მასწავლებლის ანგარიში. რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა; შეიქმნას მუსიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად საბაზო საფეხურისთვის შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით.

სსიპ ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით სკოლა გაითვალისწინა 2.1.2.1 და 2.1.2.4 ინდიკატორზე მოცემული რჩევები. დადასტურებად წარმოადგინა ლინკი

https://emis188my.sharepoint.com/:f:/g/personal/tbilisi208_mes_gov_ge/EsqSzki9BilBv2WqxMXfiPkBkzzk- CGZtVisvQuTbhEtww?e=Gcol6W

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან, სამიზნე ცნებებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გაკვეთილის მსვლელობის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას-სიტყვიერ კომენტარს, რომელიც მოსწავლეთა განვითარებაზეა მორგებული და მიემართება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრი წარმოდგენებისკენ, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა

კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ამას მომწმობს დაწყებით საფეხურაზე გამოყენებული სახვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გეგმავენ შემდგომ სასწავლო აქტივობებს. ამის დასტურად კათედრას წარმოდგენილი აქვს კათედრის ნაგარიში და მასწავლებელთა საქმინობის ანგარიში, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა და რეფლექსიები. გასაუბრების დროს ისაუბრეს მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარებულ სადიაგნოსტიკო ტესტირებაზე, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ამ პროცესებს არეგულირებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მასში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მოწოდებული კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მათემატიკის პედაგოგები ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებში წინარე ცოდნის საფუძველზე ააგოს ახალი ცოდნა ამის მაგალითია, საკითხთა კლასტერი სადაც თითოეული საკითხი იმგვარად არის წარმოდგენილი მათ შორის ეტაპობრივი განვითარების ნაბიჯები კარგად ჩანს, ამასთან ერთად მოწოდებული კომპლექსური დავალების ნიმუში გვაფიქრებინებს, მასწავლებელი წინარე ცოდნის გამააქტიურებელი კითხვებით ცდილობს ახალი ცოდნაზე გადასვლას. აქვე აღვნიშნავ მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჭიროა სწავლების პროცესში მოხდეს წინასწარ თემის შესწავლის დაწყებამდე წინარე ცოდნის *დიაგნოზირება* და აღმოიფხვრას შეძლებისდაგვარად დანაკლისი ცოდნა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან ირკვევა, სემესტრის ბოლოს კათედრაზე ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, კერძოდ, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ხდება სტატისიკურად დამუშავება და განსაზღვრა თუ რა ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა, შემდგომ კი მიმდინარეობს ამ შედეგების დეტალური განხვილა და კურიკულუმში შეძლებისდაგვარად ასხვა და გათვალისწინება. გარდა ამისა, კათედრის წევრები განიხილავენ და აჯამებენ წარმატებით განხორციელებული კომპლექსური დავალებებს, მატრიცებს , პროექტებსა და კლასგარეშე აქტივობებს, რომელიც კათედრის შეფასებით კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებელია და გასაუმჯობესებელი მომავალი სასწავლო სემესტრისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სემესტრის დასაწყისში კათედრაზე განიხილავენ და თანხმდებიან შეფასების ინსტრუმენტების, შემაჯამებლების, შეფასების რუბრიკების შესახებ, თანხმდებიან შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვანი ფორმრბის შემუშავებაზე, სასწავლო წლის ბოლოს აფასებენ კათედრის მუშაობას და აანალიზებენ შედეგებს, ახდენენ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ტრადიცია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები დაეყრდნენ წინა სასწავლო წელს, კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებას. შეიტანეს დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების ვერსიები, რომლებიც, გასული წლების გამოცდილების საფუძველზე შექმნეს. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: ,,ახალი კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს აუცილებლად ვითვალისწინებთ წინარე გამოცდილებას,როგორებიცაა მოსწავლის,მასწავლებლის უკუკავშირი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რეფლექსიები.შემაჯამებლების ანალიზები,საკლასო-საშინაო დავალებების შედეგები და კომპლექსური დავალებების ანალიზი,ასევე კოლეგების გამოცდილება.“ ინტერვიუირების დროსაც გაირკვა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრამ ერთობლივად იმუშავა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმზე, რომელიც დაეფუძნა წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება გააამახვილეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. ვინაიდან სკოლას აქვს კომლექს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებმა წინა სასწავლო წლის კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზასა და ინვენტარზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა. საშუალო საფეხურის კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმი. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რესურსი 12 . ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კომპლექსური დავალების ბარათები, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. მშობელთა კრების ოქმები. სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა, *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა,* ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს არაერთი სასწავლო პროექტისა და კომპლექსური დავალების განხორციელებას. ამ მხრივ კათედრას აქვს მდიდარი პრაქტიკა. საბაზო საფეხურზე კათედრა გვიზიარებს განხორციელებულ პროექტს ,,კონფლიქტების მოგვარება და გადაჭრის გზები“. აღნიშნული პროექტები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობასა და პიროვნულ განვითარებას უწყობდა ხელს. მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა, ასევე, გეგმავს მაშტაბურ პროექტს, რომლის ფარგლებშც დაიდგმება, ესეების კონკურსი, სპექტაკლი--„ამეტყველებული ბუნება“.

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „მკითხველი“, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთვაზობს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩასართავად საშუალო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალება სადაც ჩანს ის იდეები რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გამოიკვლიოს და გააკეთოს დასკვნა ფაქტების გადასამოწმებლად ეძებოს ახალი იდეები და მათი გადაჭის ორიგინალური გზები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს შექმნას ისეთი შემოქმედებითი პროდუქტი სადაც გამოჩნდება მათემატიკის ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა.

ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა ინტერვიუდან და ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ირკვევა, პედაგოგები დავალებებზე მუშაობის დროს მაქსიმალურად ცდილობენ კონსტრუქტივისტული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებას, კათედრას წარმოდგენილი აქვს საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი, სადაც ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომლებიც ითვალისწიბენ მოსწავლეების შემოქმდებით პროცესშო ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაძლებლობას. მაგალითად, წარმოდგენილ კურულუმებში, გვხვდება დავალებები, რაც გულისხმობს ნასწავლი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადატანას, კერძოდ, ბლოგის დაწერა, სადაც რჩევები უნდა მისცენ მეგობარს, როგორ გადაჭრან პრობლემა, ასევე წარმოდგენილია, კომპლექსური დავალება, რომელშიც მოსწავლემ მეგობრისადმი მიწერილ წერილში უნდა აღწეროს რეგიონში და მსოფლიოში არსებულ გამოწვევები, ასეთი შინაარსის დავალებები მოსწავლეებს ეხმარება უფრო აქტიურად ჩაერთონ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე, ასევე მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ამისთვის მასწავლებლები მუდმივად უქმნიან მოსწავლეებს პოზიტიურ, სწავლის ხელშემწყობ გარემოს. მოტივაციის ამაღლება ხდება თანამშრომლობითი სწავლის მეთოდით. ამ დროს მოსწავლე გრძნობს მეტ პასუხისმგებლობას შედეგზე. მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას, შინაგანი მოტივაციის ამაღლებას. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება და დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოსწავლისგან მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, ტექსტების შექმნის თუ ტექსტში წარმოჩენილი ეპოქების გაანალიზებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. ამას მოწმობს სკოლაში მიმდინარე წელს დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არააერთი პროექტი: „208–ე სკოლისა და ეკოვიჟენის მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი პროექტი „ ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკოსისტემაზე“, „ვანდალიზმი“; და ა.შ.რაც მიუთიტებს ,რომ სკოლას აქვს მზაობა **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით განხორციელებული სასწავლო პროექტებითა და ინტერვიუირებისას მასწავლებელთა ნარატივზე დაყრდნობით, სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეს მიეცეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა.ამისთვის მასწავლებლები ქმნიან პოზიტიურ,ხელშემწყობ გარემოს და იყენებენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდს,რომლის დროსაც მოსწავლე ინტერესთან ერთად გრძნობს პასუხისმგებლობასაც.მაწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სკოლაში ფუნქციონიონირებს სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე. კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო მუსიკალური კლუბი ,,მელომანი“ , რომლის მიზანია არაფორმალურ გარემოში მოსწავლეებში სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის მუსიკის, კომპოზიტორებისა და შემსრულებლების უკეთ გაცნობა, მხატვრული იდეის აღქმა, შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, ემოციური, ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება. დეკემბერში დაგეგმილია შემაჯამებელი კონცერტი ,,XX საუკუნის ჰიტები.“არაფორმალური განათლების მიზნით სასკოლო პროექტის ფარგლებში ,,გარემოს დაცვითი კულტურა“ პროექტი ,,მუსიკა და მცენარეები“ (თებერვალი). ასევე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრის დადგმა, ,,ვაჩუქოთ ბუნებას სიცოცხლე.“სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კლუბი. ამ ინფორმაციას ამტკიცებს წარმოდგენილი კლუბის სამუშაო პროგრამა, სამიზნე ჯგუფი, კლუბის მნიშვნელობა და აქტუალობა კლუბის მუშაობის მიზანი და კლუბის სამუშაო გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა, რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა

კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასწალო პროექტები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია იმგვარად, რომ ყურადღება მახვილდება წინარე ცოდნაზე და მის მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში, სადაც უპირველესად აქტიურდება გავლილი მასალა ან შეისწავლება ის საკითხი, რომელიც შემდგომი სწავლებისათვის წინარედ მნიშვნელოვანია და მასზე დაფუძნებით ხდება ცოდნის აგება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც კურიკულუმებიდან, ისე პედაგოგთა ინტერვიუდან იკვეთება, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ ახალი თემის/ საკითხის ახსნამდე, მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიას, კერძოდ, ახალი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ჯერ ხდება წინასწარ გარკვეული ლექსიკისა და ტექსტის დამუშავება. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ შესაბამისი ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რამდენიმე გაკვეთილი სჭირდებათ, რათა სასურველ შედეგზე გავიდნენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილი პროცესის ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. თითოეული სამუშაოს ანალიზი, თვითშეფასება და შეფასება მასწავლებელს ეხმარება დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნის დონე და შემდეგ ააგოს ახალი ცოდნა. კომპლექსური დავალებები, გაკვეთილები ამ პრინციპზეა აგებული. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. თემები შერჩეულია ისე, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლემ შეძლოს პირად გამოცდილებაში გადატანა. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.
ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. საგნობრივი კურიკულუმებში მასწავლებელი ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. დაწყებით საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. აღნიშნული მოსწავლეებს სთავაზობს „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისკენ, ამასთანავე, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ ახლის აღმოსაჩენად. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები. სასწავლო პროცესში არ ხდება ინფორმაციის, როგორც ფაქტის ისე მიწოდება. სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების მიერ დასკვნების გაკეთება ხდება ანალიზზე და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; აღნიშნულიდან გამომდინარე , **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. გავლილ თემებში შესწავლილი ტექნიკური ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თემის ფარგლებში შესასწავლი ტექნიკური ელემენტები. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება , რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა

სწავლის სწავლების სხვადასხვა აქტივობები გამოიყენება მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად, მაგ; დამოუკიდებელი სამუშაო სადაც მოსწავლე ეძებს იმ ხერხებს და მიდგომებს რომელიც დაეხმარება სკოლას, მასწავლებელს და მოსწავლეს ცოდნის გამომჭღავნების კუთხით განახორციელოც საინტერესო აქტივობებოი, ამ პროცესებში მოსწავლე ჩართულია, როგორც მკვლევარი, რომელიც შეიმეცნებს ახალ საკითხს ახდენს ცოდნათა შორის მიმარტებების დანახვას, ეუფლება გადაწყვეტილების ფაქტებზე დაფუძნებით მიღების ხერხებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან გაირკვა, პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას, სწავლის სწავლას, კერძოდ, კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება და ბოლოს აძლევენ შესაბამის უკუკავშირს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. პედაგოგები კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტს აკეთებენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ, როგორ ისწავლონ. ამისთვის იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, მრავალფეროვან მეთოდებს, სტრატეგიებს, აქტივობებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, ცნობისმოყვარეობა და მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. წახალისებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. მასწავლებლებლებმა აღნიშნეს, რომ დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენიათ, მაგრამ მიმდინარე აქტივობების ფარგლებშიც სისტემატურად უსვამენ მოსწავლეებს ე.წ პროცედურულ შეკითხვებს, რომლებიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა ინსტრუქციის შესასრულებლად. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს.მაგ. შესასვლელი ბარათები,გამსვლელი ბარათები,მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური,კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით.მასწავლებლები აკვირდებიან,რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას,ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა წარმოაჩინონ, რა შეასრულეს კარგად, რომელი აქტივობა მოეწონათ, რა გამოცდილება შესძინა, რა გაუჭირდათ და რას გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ ცხოვრებისეულ აქტივობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ცოდნათა სამი კატეგორიაზე სწავლების ყველა ფორმასი მახვილდება ყურადღება, ეს შეიძლება იყოს კომპლექსური დავალება რომელშიდაც კითხვები არის იმ ფორმით დასმული, რომელიც უზრუნველყოფს ფაქტობრივი ცოდნისა და პროცედურული ცოდნის გააქტიურებისა და მუშაობის საშუალებას, ხოლო შემოქმედებით პროდუქტში ასახულია იმგვარად რაც საშუალებას იძლევა პირობისეული ცოდნა იყოს გააქტიურებული, აქვე ავღნიშნავ, რომ შემაჯამებელი ტესტი თუ სხვა დოკუმენტშიდაც დასტურდება რაზედა მასწავლებლებმა ისაუბრეს გასაუბრების დროს.

უცხოური ენები

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ცოდნის გააქტიურებას. მაგალითვის, შეიძლება განვიხილოთ, კომპლექსური დავალება, რომელიც გულისხმობდა სათავგადასავლო შემეცნებით ტურზე პრეზენტაციის მომზადებას, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, ხდება შესაბამისი სამეტყველო ქმედებებისა და ენობრივი საშუალებების დამუშავება, სანამ შეიქმნება საბოლოო პროდუქტი. ეს ყოველივე კი ბუნებრვია, გულისხმობს ორიენტირებას ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია **საბაზო** საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს სამი სახის ცოდნით უზრუნველყოფს: სტატიკური ანუ დეკლარაციული ცოდნით, დინამიკური ანუ პროცედურული ცოდნით, ფუნქციური ანუ ტრანსფერული ცოდნით. ტრანსფერული ცოდნა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი ცოდნა ადეკვატურად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში. პედაგოგები აღნიშნავენ: მართალია, ტრანსფერი თავისთავად არ ხდება, საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევნის შეთავაზება. სწორედ ამიტომ სკოლის მასწავლებლები ცდილობენ შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასაწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას, რაც დასტურდება იმით, რომ კურიკულუმში მოცემული დავალებები მოითხოვს როგორც დეკლარატიული, ისე პირობისეული და პროცედურული ცოდნის გამოყენებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი ქვესაკითხების მაგალითზე (კომიქსი, სტატია) წარმოაჩინეს, როგორ წარმოუდგენიათ დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული შინაარსის შეკითხვების საშუალებით მოსწავლეებს გააზრებინონ მოვლენა. ობიექტურად შენიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები თავისთავად ეუფლებიან სამივე კატეგორიის ცოდნას, რადგან ისტორიულ მოვლენის გააზრება სხვაგვარად წარმოუდგენელია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლა თვითშეფასების ფორმაში წერს: მოსწავლეთა უნარების,შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარებისტვის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას.მოსწავლემ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით უნდა შექმნას,განახორციელოს და გამოიყენოს ფუნქციურად.ყოველივე ამას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებები,პროექტები და არაფორმალური სწავლების აქტივობები ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები, ამიტომ აღნიშნულიდან გამომდინარეაღნიშნულიდან გამომდინარე**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს სხავა საგნებთან ინტეგრირებულად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაშია ქართული ენისა და ლიტერატურის, ბუნებისა და ისტ-ის ინტეგრირებული სასწავლო პროექტი თემაზე : „გახდი მეღვინე“. ასევე, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას, რაც ცოდნათა ორგანიზებაში დაეხმარება მოსწავლეებს. სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ცოდნათა ორგანიზებისათვის, გამოიყენება კომპლექსური დავალება, რომელიც თემის ფარგლებში წარმოადგენს იმ საკითხებს შორის ურთიერთ მიმართების საფუძველზე რაიმე სახის პროდუქტის შექმნას, როგორიც შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური სახით. გასაუბრებაზე აღინიშნა ასევე გაოიყენება ისეთი ტესები რომელიც მოითხოვს წინარე ცოდნის გამოყენებით ახალი საკითხის კლასტერის, შეკვრას და გამოყენებას დასმული პრობლემური შეკითხვის გადასაჭრელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენები

წარმოდგენილი კურიკულემბიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში და პროექტებში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია პროექტი. მაგალითად, სკოლის მიერ განსახორციელებული პროექტი „ტყე შევუნახოთ შვილებსა“-ნადარბაზევის ტყის მასივის გაწმენდა ნაგვისა და მავნე ნარჩენებისგან: ლაშქრობა ზედაზენზე. მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ გარემოს დაცვა კონცენტრირდება არა გარკვეული ლანდშაფტების ან ცალკეული საფრთხეში მყოფი ცხოველებისა თუ მცენარეების დაცვაზე, არამედ ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების ერთი მთლიანობის შენარჩუნებაზე, ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობისათვის. გარემოს დაზიანების ნაციონალური და რეგიონალური შედეგების მაგალითებია: ცხოველთა და მცენარეთა სახეობების გადაშენება, ნიადაგის მოწამვლა, ნიადაგის ეროზია, ნაგვის (ნარჩენების) მთები, ჰაერში მომწამლავი ნივთიერებების შემცველობის ზრდა, მძიმე მეტალებითა და პესტიციდებით დაბინძურებული საკვები და ზრდადი ხმაური. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს,რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. აღნიშნულს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული პროექტები. სასკოლო პროექტის ფარგლებში საბაზო საფეხურზე მოეწყო ფილმის ჩვენება ,,გუნდის მომღერლები“. ფილმის სიუჟეტი ასახავდა ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეთა პანსიონატის მკაცრ რეჟიმს და აღმზრდელებდა და აღსაზრდელებს შორის არსებულ დაპირისპირება- კონფლიქტს, რომელსაც ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ჰუმანური მიდგომებითა და განსხვავებული მეთოდებით შეცვლის. ფილმის დასრულების შემდეგ დისკუსიის და მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა აზრი, რომ ჰუმანური მიდგომითა და ემპათიის უნარის გამოხატვით შეიძლება ადამიანებში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით სამი საგნის,მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და ქართული ენა და ლიტერატურის ინტეგრირება მოხდა.

სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის

ამ მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე,**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები: მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა, რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები, პროექტები, საშუალო საფეხურის კურიკულუმები, კლუბების დოკუმენტაცია. სასწავლო პროექტი.

მასწავლებლების ანგარიშები. სასკოლო სასწავლო გეგმა;

კათედრის /სხვა საგნობრივი გაერთიანებების ამსახველი მასალები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**.

სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც როგორც შუალედური მიზანი ,მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს კომპლექსური დავალებებით. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამიზნე ცნებებს ამით პედაგოგი აჩვენებს, რომ მისთვის მთავარ ორიენტირს სასწავლო პროცესში წარმოადგენს მათემატიკის გრძელვადიან მიზანზე გასასვლელი ცნებები, ამისათვის სკოლაში შუალებურ მიზნად გამოყენებულ კომპლექსურ დავალებაში ჩასნებულია ისეთი აქტივობები, რაც ხდის პროცესებს გრძელვადიან პერიოდში განზოგადებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

საუკეთესო საშუალებას, და ეს ყოველივე შემოიფარგლება იმ მკვიდრი წარმოდგენებით რაც უნდა დაიფაროს თემის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალებების გამოყენება, მეტ-ნაკლებად წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ასევე ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, არა მარტო გაწერილი კურიკულუმები, არამედ განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც, რომელიც მასწავლებელთა ინტერვიუდან გაირკვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილ **საბაზო** საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გამოავლინა ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებლებმა ისაუბრეს და აქცენტები გააკეთეს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გამოწვევებზე. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს, რადგან თითოეული სასწავლო თემისთვის განსაზღვრულია, რა ტიპის დავალებაში გააქტიურდება საფეხურის სამიზნე ცნებები. ეს ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. მათ გაანალიზებული აქვთ შერჩეული დავალებების ფუნქცია, მიზნები, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლეს ცოდნის განზოგადებისკენ უბიძგონ. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც როგორც შუალედური მიზანი ,მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს კომპლექსური დავალებებით. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წრმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკური ელემენტების შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად , დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტის მიზანია შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ დაწყებითი კათედრა ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები არის ისე შერჩეული მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობა რაც იწვევს ემოციურ სტაბილურობას, გაკვეთილზე წახალისებულია თითოეული მათგანის ფასუხები მცდარიც რომ იყვეს და ემოციური სტრესისგან დაცულია საწავლო გარემო, გაკვეთილზე ყურადღება არ მახვილდება კონკრეტულ სოციალურ განმასხვავებელ ფაქტორებზე, არამედ ფსიქო სოც განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხური ენები

წარმოდგენილ კურიკულუმებში არის ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, გვხვდება ისეთი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სოციალური უნარების განვითარებას, გაუზიარე, მისწერე წერილი მეგობარს, იმუშავე წყვეილებში და ა.შ. გარდა ამისა, სასკოლო პროექტის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, იქ წარმოდგენილი აქტივოებები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ სასწავლო პროცესი, მისი დაგეგმვა და განხორციელება ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო - სოციალურ განვითარებას. კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. გადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ **საბაზო საფეხურზე** წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებებზე, დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. სამომავლოდ იგეგმება კიდევ უფრო მეტი აქტივობების განხორციელება მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით და გააზრებული აქვთ. ამას მოწმობს არაფორმალური განათლება ,რომელსაც სკოლაში აქტიურად იყენებენ ,ეს იქნება განხორციელებული თუ განსახორციელებელი პროექტები მიმდინარე სასწავლო წელს, ასევე სამოქალაქო განათლები კლუბი. ისტორია–მოქალაქეობის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს დაარსებული „დებატ კლუბი“.სადაც მკაფიო იყო მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითრებაზე ორიენტირებული აქტივობები, რაც მაფიქრებინებს, რომ პროექტული სწავლება არის კათედრის ძლიერი მხარე და მას გამოიყენებენ მოსწავლის კოგნიტური და სოციო-ემოციური განვითარებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: რადგან სასწავლო პროცესი ეფუნება მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას,მნიშვნელოვანია იგი აღიჭურვოს იმ უნარებით,რომ შეძლოს ამოიცნოს და მართოს საკუთარი ემოციები და პასუხისმგებელი იყოს საკუთარ ქცევებზე.ამ მხრივ გვეხმარება კომპლექსურ დავალებებში გაწერილი აქტივობები, სადამრიგებლო პროგრამა და არაფორმალური განათლება. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადააა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, თემაზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

„კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები“ რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა,რომ თვითონ გაწერა სპექტაკლის სცენარი,მუსიკის მხრივ გაკეთებული ჰქონდა ქორეოგრაფიული ნომერი,სადაც სხვადასხვა მუსიკალური ნომერი გააერთიანა და დადგა პანტონიმა, სადაც ჩანდა ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება, რომ სიკეთე გადამდებია და კონფლიქტის მოგვარება დათმობით, სიკეთით და მიტევებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე ბოროტებით. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტი: უსაფრთხოების, მავნე ჩვევების (მავნე ჩვევების სახეები), ჰიგიენის (პირადი ჰიგიენა), თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალგვარი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება, სოლო, ჰოლისტური რუბრიკები) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** ~

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების ჰოლისტურ რუბლიკაში კარგად იკვეთება, სადაც ყურადღება არის გამახვილებული იმ ძირითად თეზისებზე რომელიც მოსწავლის შეფასებისათვის არის არსებითი, რომლებიც პუნქტობრივად ასახავენ იმ ნიშან თვისებებს რაც უნდა დაიძლიოს თემის ფარგლებში და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ძირთადად, კათედრის წევრები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და კონკრეტული დავალების შესრულების დროს აძლევენ მოსწავლეებს ზეპირ უკუკავშირს. აგრეთვე ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის და ან წლის ბოლოს ხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოხდეს მოსწავლის ჰოლისტური განვითარება, შეფასების სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსწავლე უნდა იცნობდეს შეფასების რუბრიკებს, რის მიხედვითაც იგი ფასდება. ამიტომ ისინი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, მუდმივად, განუყოფლად მოსწავლის ყოველდღიურობასთან. შეფასებისას ცდილობენ გამოავლინონ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და მისცენ მას კონსტრუქციული უკუკავშირები. ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას, სიტყვიერ კომენტარებს, სიტყვიერ უკუკავშირებს, თუმცა საჭირო დროს შეფასებას აკეთებენ წერილობითი ფორმითაც. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი მოსწავლეების შეფასებისას იყენებს შეფასების რუბრიკებს, რომლის მომზადებისას ხელმძღვანელობს საგნობრივი სტანდარტით. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია..**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდაში შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკური ელემენტების შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკური ელემენტი სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიის ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

განმავითარებელი-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წარმოადგენს მოსწავლეების მრავალმხრივ შეფასების საშუალებას სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური საფუძველზე აგებული საგნობრივი საკითხები, რომელიც იშლება მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით სამიზნე ცნების მისაღწევად რომელიც საბოლოო ჯამში მათემატიკის მაკრიო ცნებების განზოგადებისაკენ მიდის, გასაუბრებაზეც გამოითქვა ამ კუთხით მოსაზრება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კათედრას ძირითადად, წარმოდგენილი ჰქონდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკებო, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, დავალების შეფასებისას, ძირითადად მიმართავენ ზეპირ უკუკავშირს, თუ რა აქვს გასაუმჯობესელი, რა გამოუვიდა კარგად, და როგორ შეიძლება გამოსწორება, ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა მეტად დახვეწოს პრაქტიკა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბუნებისმეტყველების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში ასახულია, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასება. მასწავლებლებმა იციან, როგორ უნდა შეარჩიონ შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. შესაბამისად, მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ, დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმევენ საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირება გაუკეთონ წარმოდგენილ რუბრიკებს, შეფასების სქემებს, გახადონ კიდევ უფრო დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი, შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ. კურიკულუმების მიხედვით, თემების ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება,თემის სრული მასალის შეჯერება,მოსწავლეთა თვითშეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ სკოლა თვითშეფასებაში წერს: მნიშვნელოვანია,რომ მოსწავლეს ჰქონდეს განცდა,რომ ვაფასებთ მის იმ უნარს, რისი შეფასებაც გვინდა.იცის როგორ ფასდება მათ მიერ შესრულებული დავალება,პროდუქტი.უზრუნველყოფილია სამართლიანი შეფასების კრიტერიუმები. ამოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდაში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სახელმწიფო ენა

სკოლის წარმოდეგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად) და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში არის მზაობა დაინერგოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლა ცდილობს, რომ ჰქონდეს შეფასების ერთიანი სისტემა სადაც მოხდება იმ მიღწევების ანალიზი რომელიც სწავლა სწავლების დროს მიმდინარეობს, რაც ქმნის იმ ფონს, ყველა საგნობრივი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს ისეთი შეფასების პროცესები რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის, რა ფასდება? და როგორ? **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სკოლას აქვს შეფასების განსაზღვრული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

როგორც მასწავლებელთან გასაუბრებისას, ასევე წარმოდგენილდოკუმენტაციაში ჩანს, **საბაზო** საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგები ატარებს შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებს ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება მომდევნო გაკვეთილები. ვერიფიკაციის შედეგად მასწავლებლები ახდენენ ინფორმაციის მიღებას სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამას ცხადყოფს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და კათედრის სამუშაო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს ოქმი, სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა. აქედან ჩანს, რომ კურიკულუმების შემუშავებაში დაცულია თანამშრომლობითი და გუნდურობის პრინციპი, სასკლოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა კათედრებთან თანამშრომლობას, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკა

კურიკულუმის შემუშავებაში ძირითადად მონაწილეობას იღებს სკოლაში ფუნქციონირებადი კათედრა, რომელიც განიხილავს ყველა შემოსულ წინადადებას რომელიც მის წინაშე დგება და ხმათა უნრავლესობით უჭერე მხარს, მშობელთა ჩართულობის კუთხით სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს მათი საინტერესო მოსაზრებების გათვალისწინება ამის შესახებ გასაუბრებაზე ისაუბრა მასწავლებლებმა და აღნიშნეს რომ შემდგომში უფრო აქტიურად გამოიყენებენ მათ რესურსს, მოსწავლეების ჩართულობა გამოიხატება მათი ნაშრომების ანალიზიდან გამომდინარე სასწავლო პროცესების დაგეგმისა და წარმართვის კუთხით. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც შესაბამისი დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგთან ინტერვიუდან ირკვევა, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და განიხილავენ შესასწავლი თემების, ძირითადი, დამხარე რესურსებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ასევე კურიკულუმის დიზაინის განსაზღვრისას, პედაგოგები ერთად მსჯელობენ თუ რა სწავლის სტრატეგიები, მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ასევე, კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან განსაკუთრებით კურიკულუმის მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, განხილავენ რა ცვლილებების შეტანა შეიძლება და მოდიფიცირება კონკრეტულ შემთხვევებში. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობელთა ჩართულობა კი უაღრესად პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურაზე და სასწავლო პროგრამების ხარისხზე. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში ჩართული იყო კათედრის ყველა წევრი, რაც დადასტურდა გასაუბრების იმ ნაწილში, სადაც აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგიაზე იმსჯელეს. ამასთან, განხილვაში აქტიურად ჩაერთო ყველა მასწავლებელი, გამოიკვეთა, რომ იცნობენ ყველა კლასის კურიკულუმს, შერჩეულ კომპლექსური ტიპის დავალებებს და აქვთ საერთო, შეთანხმებული ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორ დაამუშავებენ საფეხურის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს სასწავლო თემების ფარგლებში. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

როგორც შესაბამისი დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგთან ინტერვიუდან ირკვევა, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და განიხილავენ შესასწავლი თემების, ძირითადი, დამხარე რესურსებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ასევე კურიკულუმის დიზაინის განსაზღვრისას, პედაგოგები ერთად მსჯელობენ თუ რა სწავლის სტრატეგიები, მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ასევე, კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან განსაკუთრებით კურიკულუმის მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, განხილავენ რა ცვლილებების შეტანა შეიძლება და მოდიფიცირება კონკრეტულ შემთხვევებში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმები შეიქმნება კათედრაზე, დამტკიცდება დირექციის მიერ და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის. ეს განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. ამავე დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა და წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმეითაც დასტურდება, რომ რომ მშობლები ინფორმირებულნი და ჩართულნი არიან სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის ერთ ერთი სტრუქტურული რგოლის კომპლექსური დავალების შესახებ, და სხვა დაინტერესებული პირისათვის სკოლა გამოთქვამს მზაობას გააცნოს სასკოლო კურიკულუმიც.

ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სასკოლო კურიკულუმი, მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, აგრეთვე, კათედრის წევრები, როგორც ინტერვიუდან ჩანს, აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ასევე სხვა კათედრასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლის მიმართ და რადგან გაზიარებულია პასუხისმგებლობები. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებულია სასკოლო კურიკულუმი. მშობლებს აცნობენ წლის განმავლობაში დაგეგმილ დავალებებს და იღებენ მათ უკუკავშირს. ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს უზიარებდნენ მშობლებს და ისმენდნენ მათ შეფასებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, კურიკულუმის გაზირებისთვის იყენებენ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს, მათ შორის, ფეისბუქის და თიმსის ჯგუფებს. აღნიშნულის საშუალებით მშობელსა და მოსწავლეს წვდომა აქვს საკუთარი სკოლის სასწავლო გეგმაზე. 2023-2024 სასწავლო წლიდან კი ვებ-გვერდის საშუალებით შეიქმნება ახალი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მოხდება სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაზიარება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმი რომ გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, ამას, მასწავლებელთა აღნიშვნით, უზრუნველყოფს სკოლის დახურული სოციალური ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია ყველა მასწავლებელი, დირექცია, მშობელთა ნაწილი. ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოვლინდა ისიც, რომ საგნობრივი კურიკულუმები განიხილეს კათედრებზე და საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, გაითვალისწინეს სხვა კათედრებთან ინტეგრირებული თემებიც (დასახელდა შემდეგი საგნები: ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია,ქართული,). **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები.ელექტრონული ფოსტა,დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა,სოციალური მედია,ბეჭდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.იგივეს ადასტურებს თვითშეფასების კითხვარის ჩანაწერი: ,, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს ვაწვდით კომპლექსური დავალების ბარათებს.“ **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასკოლო კურიკულუმი, მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, აგრეთვე, კათედრის წევრები, როგორც ინტერვიუდან ჩანს, აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ასევე სხვა კათედრასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლის მიმართ და რადგან გაზიარებულია პასუხისმგებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

*სკოლის თვითშეფასების განაცხადი; მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი; პედსაბჭოს სხდომის ოქმიN#4. 2-272 ისგ ჯგუფის ბრძანება, შეფასების რუბრიკა; სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.*კათედრის ოქმი

კათედრის სამუშაო გეგმა. ინდ.გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

საშუალო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის(X, XI და XII კლასების). მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალების მატრიცები. გაწერილი კომპლექსური დავალებები თანხვედრაშია სტანდარტთან, უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას (მაგ.: „შურისძიებიდან მიტევებამდე - ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა). მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, მის პიროვნულ განვითრებაზე. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარებისა გაუმჯობესებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას, სადაც გათვალისწინებულია, ის თემები, რომელიც უნდა იქნას შესწავლილი, და შესაბამისად ის სამიზნე ცნების ქვეცნებები, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება, ასევე შუალებური სასწავლო მიზნის მისაღწევი კომპლექსური დავალებებიც წარმოდგენილია რიგ თემებზე და ასახავს იმ მნიშვნელოვან პირობას რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, ასევე თან ახლავს რესურსების გრაფა რომელშიც მთავარ რესურსად წარმოდგენილია სახელმძღვანელო და ინტერნეტ ლინკები, რაც სწავლების გაიოლებისათვის გამოიყენება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კათედრას შემუშავებული აქვს **საშუალო** საფეხურზე ყველა კლასში კურიკულუმები, რაც ბუნებრივია, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმებში მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობები. ასევე, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. როგორც ინტერვიუდანაც ირკვევა, მასწავლებლებს აქვს გარკვეული მზაობა და სურვილი აქტიურად განახორციელონ კომპლექსურ დავალებები. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ნათლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოიკვეთა, ისინი იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, იციან, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. კურიკულუმები წარმოდგენილი აქვთ ქოუჩინგის პროცესში მიწოდებული ფორმის შესაბამისად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მისაღებია კურიკულუმის ასეთი ფორმით წარმოდგენა, აქ ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები.

ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. (მაგ, ისტორიაში მე–11 კლასში პაპის ლეგატის მოგზაურის ჩანაწერები. ასევე,მე–11 კლასში ანგარიში საგარეო პოლიტიკური სიტუაციის შესახებ შუა სს–ში))ამასთან, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით ,წარმოდგენილ დოკუმენტებიდან, ასევე ინტერვიუ მასწავლებლებთან , მაძლევს იმის შესაძლებლობას , რომ შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას პროექტული სწავლების საშუალებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სავალდებულო თემების,სამიზნე ცნებების, საკითხებისა და რესურსების, შესახებ რომლებითაც ხდება პროექტზე მუშაობის წარმართვა. თემები რომლებიც პროექტის ფარგლებში დამუშავდება ,მოწავლეებს მისცემს საშუალებას რომ საბოლოო პროდუქტი მრავალფეროვანი იყოს.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ საშუალო საფეხურზე მუსიკა და სახვითი ხელოვნება ისწავლება სავალდებულო პროექტების სახით X ან XI კლასში. ამ საფეხურზე ხდება ერთგვარი შეჯამება იმ ცოდნისა რაც დაწყებით და საბაზო საფეხურზე მიიღეს.განხორციელებული პროექტის დროს მოსწვლე შემოქმედებითად წარმოაჩენს თავს და აზუსტებს რამდენად ჩამოუყალიბდა მკვიდრი წარმოდგენები.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 6 პროექტიდან პირველ სემესტრში, **მე-10ა და მე-10ბ** კლასში აირჩიეს პროექტი, სათაურით „ქართული ეროვნული მუსიკის იდენტობა და მისი კავშირი ევროპულ მუსიკასთან ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში“.მეორე მეათე კლასში სხვა პროექტი აირჩიეს. ორივე ძალიან საინტერესო და მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საერთო განვითარებისთვის ძალიან სასარგებლო. პირველი პროექტი იყო „80-90იანი წლების ქართული ალტერნატიული მუსიკა - ანდერგრაუნდი დასავლური და ქართული პარალელებით.“ ეს პროექტი საინტერესო იყო იმით, რომ მოსწავლეებისთვის გასაგები და ნათელი გახდა, თუ როგორ შემოვიდა როკ-მუსიკა და პოპ-მუსიკა საქართველოში. ასევე ძალიან საინტერესო იყო მეორე სემესტრის, მეორე პროექტიც, სათაურით „მუსიკა-თერაპია და პიროვნების სოციალიზაცია.“ აქვთ მზაობა, გამოცდილება და სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

კათედრას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე კურიკულუმები, რაც ბუნებრივია, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმებში მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობები. ასევე, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. როგორც ინტერვიუდანაც ირკვევა, მასწავლებლებს აქვს გარკვეული მზაობა და სურვილი აქტიურად განახორციელონ კომპლექსურ დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები (ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მიმდინარე სასავლო წელს გეგმავენ სასწავლო პროექტების განხორციელებას) თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეებში ყველა ამ უნარის აქტივირებას, გაცნობიერებას, გააზრებასა და სრულყოფას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები გათვლილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე მათემატიკაში, როგორიც არის მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, უნდა აღინიშნოს ასევე, ის კონტექსტ მაგალითები, რომლებიც თან ახლავს კურიკულუმებს, შეიცავს გლობალ ფუნქციური უნარების განვითარებისათვის საჭირო კონტექსტს, როგორიც არის: მოქალაქეობა, ხასიათი ნებელობა, შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კოლაბორაცია. ამასთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ამ უნარების განსავითარებლად სასკოლო აქტივობების მიმდინარეობის დროსაც ექცევა ყურადღება. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად დავალებები გვხვდება, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს. ასევე სასკოლო პროექტში გაწერილია კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზებზე სხვადასხვა საინტერესო აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ კომინიკაციის, მოქალაქეობის, კომპეტენციის განვითარებას. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კომპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლები რა აქტივობების ჩატარებას გეგმავენ წლის განმავლობაში, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობენ საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ასეთი ფორმით სწავლება განუვითარებს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს. ამდენად,ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ მაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, პროექტის „ვანდალიზმი“ როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა. შენიშნეს, რომ ისტორიის მოქალქეობის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვით კი თავისთავად უბიძგებენ მოსწავლეებს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ. საგანთა ინტეგრირება პროექტში „კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზები“ (მაგალითად, მოქალქეობა,გეოგრაფია და ისტორია), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა კათედრისთვის მნიშვნელოვანია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ესთეტიკური აღზრის კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი საშუალო საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ , ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოში გასაწერ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგებზე,სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებული ქვეცნებებზე. რომლებიც განსაზღვრავს როგორ მივიდეთ სამიზნე ნიშნულამდე, თუ რა საგნობრივ საკითხებს,დავალებებს,თემებს,ძირითად და დამატებით რესურსებს,სთავაზობს საგანი მოსწავლეებს.მასწავლებლებთან.გამოიკვეთა აგრეთვე რომ სასწავლო პროცესში აღქმული იქნება გლობალურ ფუნქციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალებისა და პროექტების ფარგლებში.მასწავლებლების თქმით კომპლექსური დავალებები არის თემის, კლასისა და მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.გამოჩნდა რომ სკოლას აქვს გამოცდილება და ხედვა მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმი როგორ უნდა მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად დავალებები გვხვდება, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს. ასევე სასკოლო პროექტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაწერილია კონფლიქტები და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზებზე სხვადასხვა საინტერესო აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ კომინიკაციის, მოქალაქეობის, კომპეტენციის განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სახელმწიფო ენა

სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რემედიაციის გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ინკლუზიური სასწვლო გარემოს შესაქმნელად სკოლაში არის მოსწავლეთა ჩართვის სასწავლო გარემოში სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიც არის სასწავლო მასალის მიწოდება იმ ფორმით რაც ხელს შეუჭყობს თითოეულმა მოსწავლემ დაეუფლოს და გაიაზროს დავალების ტექსტის შინაარსი და ის საკვანძო კითხვები, რომლის შესრულებასაც თავად შეძლებს, ამასთა სსსმ მოსწავლეებისათვის გადმოგზავნილია სხვადასხვა დოკუმენტი, როგორიც არის ისგ გეგმები რომელიც აჩვენებს იმ სასწავლო მასალას რომელიც მოსწავლეთა შედეგებეის გაუმჯობესებისათვის არის აუცილებელი და პრაქტიკულად გამოყენებადი, მათ შორის სასწავლო რესურსი, ვიზუალური საშუალებები და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

როგორც კურიკულუმებიდან ჩანს, ძირითადად, სასწავლო პროცესში ხდება საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება (დავალების წარდგენა ხდება მატერიალური ან ელექტრონული სახით, პოსტერის, პლაკატის ან/და პრეზენტაციის სახით). ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. გარდა ამისა, მოწოდებულ დოკუმენტაციებში გვხვდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური სასაწავლო გეგმები, ასევე მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება, რაც მიგვანიშნებს რომ სასაწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მიდგომებს. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დიფერენცირება ხდება შესაძლებლობების მიხედვით. მაქსიმალური ჩართულობისთვის სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს. მოტივაციის გაზრდის მიზნით, მასწავლებლები სხვადასხვა დონის დავალებებს შორის მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის გაკეთების საშუალებას, ქმნიან მოქნილ, მრავალფეროვან და მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებულ უსაფრთხო სასწავლო გარემოს. გარდა იმისა, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ადაპტირებული დავალებები და კომპლექსური დავალებები, ასევე ითვალისწინებენ იმ მოსწავლეთა უნარებს, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომებს. მაგალითად, **საშუალო** საფეხურის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ბიოლოგიის მიმართ და სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, შეიქმნა ბიოლოგიის მოყვარულთა ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ბიოლოგიისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას, ლოგიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენასა და განვითარებას. მასწავლებლები გამოთვამენ მზაობას, სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, მოახდინონ არსებული კურიკულუმების მოდიფიცირება. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) მოდიფიცირებული და კლასის საჭიროებასა და წინარე გამოცდილებას მორგებული კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით; მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: იმ მიზნით, რომ განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მოსწავლისთვის, სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის დიფერენცირებას. სსს. მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ როგორც ინდ გეგმები ასევე ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.ყოველივე ამის დასტურად წარმოდგენილია დოკუმენტები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალების ბარათი. სკოლის თვითშეფასების ფორმაში კი იკითხება: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ,როგორს სსსმ მოსწავლეების ინტერესებს,ასევე იმ მოსწავლეების უნარებს, რომლებიც სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. აქტიურად იყენებენ რემედიაციას,რომელიც ითვალისწინებს იმ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,რომლებსაც ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზით გაუცდათ გაკვეთილები, ან მეტი დრო სჭირდებათ გარკვეული თემების ასათვისებლად.დ/საფეხურზე აგრეთვე იყენებენ თამაშით სწავლების მეთოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

როგორც კურიკულუმებიდან ჩანს, ძირითადად, სასწავლო პროცესში ხდება საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება (დავალების წარდგენა ხდება მატერიალური ან ელექტრონული სახით, პოსტერის, პლაკატის ან/და პრეზენტაციის სახით). ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. გარდა ამისა, მოწოდებულ დოკუმენტაციებში გვხვდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური სასაწავლო გეგმები, ასევე მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება, რაც მიგვანიშნებს რომ სასაწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სახელმწიფო ენა

სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს მრავალგვარი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საშუალო საფეხურზე ქართულ ენაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ამას მომწმობს საშუალო საფეხურაზე გამოყენებული სახვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გეგმავენ შემდგომ სასწავლო აქტივობებს. ამის დასტურად კათედრას წარმოდგენილი აქვს კათედრის ანგარიში და მასწავლებელთა საქმინობის ანგარიში, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა და რეფლექსიები. გასაუბრების დროს ისაუბრეს მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარებულ სადიაგნოსტიკო ტესტირებაზე, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ამ პროცესებს არეგულირებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მასში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში აზრულებს იმ ინდიკატორების ერთობლიობას, რომელიც უნდა დაძლიოს მოსწავლემ რათა შეძლოს საკითხის, თემის გაგება გააზრება. რუბრიკის თითოეული იდიკატორი ეფუძნება იმ მკვიდრ წარმოდგენებს რასაც შემოსაზღვრავს ცნების ფარგლებში მისაღწევი ცოდნის ერთობლიობას. სკოლამ აღნიშნა შეფასების დროს მათთვის პრიორიტეტულია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია. შეფასების დროს ყურადთება მახვილდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რათა მოსწავლეები პროგრესი დადგინდეს და დაიგეგმოს ამის საფუძველზე ქმედითი ღონისძიებები. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენები

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როცა საქმე ეხება განმავითარებელ შეფასებას, ძირთადად პედაგოგები შემოიფარგლებიან ზეპირი უკუკავშირით. აღსანიშანავია, ასევე რომ შესაბამის დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ჰქონდათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე რესურსს მე - 12 საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022-23 წელს უცხოური ენის კათედრაზე ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები,რითაც განისაზღვრება შუალედური სასწავლო მიზნები. ასევე, ამ ეტაპზე სკოლა ირჩევს შეფასების პირველ მოდელს, ასევე ამ ეტაპზე მოხდა ერთ შემაჯამებელზე ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენა, იგეგმება თითო შემაჯამებელზე თითო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. რაც შეეხება, განმავითარებელ შეფასებას, ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის, ხოლო წლის ბოლოს მოხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა. აგრეთვე, კლასში შემსვლელი მასწავლებლები პერიოდულად სიტყვიერად უზიარებენ დამრიგებელს კლასის დახასიათებას. მომდევნო სასწავლო წელს მოხდება ახლად შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გაცნობა და დანერგვა. კომპლექსური დავალების განხორციელების შემდგომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის საფუძველზე, მასწავლებლები შეავსებენ და გაუზიარებენ მოსწავლეთა მიღწევებს, მოსწავლეთა მშობლებს, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს, შექმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ იყენებდნენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორებიცაა მოსწავლის თვითშეფასების ფორმა. სკოლას საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით, რომელიც სასწავლო წლის მიმდინარეობისას დაიხვეწება და მოდიფიცირდება. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: პედაგოგებმა კათედრის წევრებთან თანამშრომლობით შექმნას და დახვეწოს ყველა კონტექსტ-მაგალითზე, ყველა კომპლექსურ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი ინდიკატორების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მტკიცებულებად ატვირთული შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. საანალიზოდ სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგებიდან. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რა მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული დავალების შესრულებისას. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზუსტად ეხმიანება ამავე დავალების პირობაში მოცემულ მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლისთვის თავიდანვე ნათელია, რა ცოდნის წარმოჩენა ევალება. ბუნებრივია, ამ ეტაპზე ყველა დაგეგმილი ნამუშევრისთვის ვერ იქნება შედგენილი შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. სკოლა თვითშეფასებისას აღნიშნავს ,, სკოლა იყენებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ორი ტიპის,განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას,რომლებიც მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებზე.სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე მუშავდება როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ისე თემატურად, კონკრეტულ საკითხებზე მორგებული.“ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, კერძოდ: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები,ურთიერთშეფასების რუბრიკა,მოსწავლეთა თვიშეფასება. საშუალო საფეხურზე საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პროექტული სწავლება განმავითარებელი შეფასებით ფასდება.დამამტკიცებელ დოკუმენტად სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტის შეფასების რუბრიკა მუსიკაში, აგრეთვე კლასზე დაკვირვების სქემები და მასწავლებლის ანგარიში. რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როცა საქმე ეხება განმავითარებელ შეფასებას, ძირთადად პედაგოგები შემოიფარგლებიან ზეპირი უკუკავშირით. აღსანიშანავია, ასევე რომ შესაბამის დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ჰქონდათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე რესურს მე - 12 საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022-23 წელს უცხოური ენის კათედრაზე ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები,რითაც განისაზღვრება შუალედური სასწავლო მიზნები. ასევე, ამ ეტაპზე სკოლა ირჩევს პირველ მოდელს(სამივე კომპონენტით შეფასება) ამ ეტაპზე მოხდა ერთ შემაჯამებელზე ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენა, იგეგმება თითო შემაჯამებელზე თითო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. რაც შეეხება, განმავითარებელ შეფასებას, ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის და ან წლის ბოლოს ხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა. აგრეთვე, კლასში შემსვლელი მასწავლებლები პერიოდულად სიტყვიერად უზიარებენ დამრიგებელს კლასის დახასიათებას. მომდევნო სასწავლო წელს მოხდება ახლად შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გაცნობა და დანერგვა. კომპლექსური დავალების განხორციელების შემდგომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის საფუძველზე, მასწავლებლები შეავსებენ და გაუზიარებენ მოსწავლეთა მიღწევებს, მოსწავლეთა მშობლებს, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა

კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ამას მომწმობს დაწყებით საფეხურაზე გამოყენებული სახვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გეგმავენ შემდგომ სასწავლო აქტივობებს. ამის დასტურად კათედრას წარმოდგენილი აქვს კათედრის ნაგარიში და მასწავლებელთა საქმინობის ანგარიში, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა და რეფლექსიები. გასაუბრების დროს ისაუბრეს მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარებულ სადიაგნოსტიკო ტესტირებაზე, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ამ პროცესებს არეგულირებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მასში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკა

მოწოდებული კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მათემატიკის პედაგოგები ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებში წინარე ცოდნის საფუძველზე ააგოს ახალი ცოდნა ამის მაგალითია, საკითხთა კლასტერი სადაც თითოეული საკითხი იმგვარად არის წარმოდგენილი მათ შორის ეტაპობრივი განვითარების ნაბიჯები კარგად ჩანს, ამასთან ერთად მოწოდებული კომპლექსური დავალების ნიმუში გვაფიქრებინებს, მასწავლებელი წინარე ცოდნის გამააქტიურებელი კითხვებით ცდილობს ახალი ცოდნაზე გადასვლას. აქვე აღვნიშნავ მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს რომ საჭიროა სწავლების პროცესში მოხდეს წინასწარ თემის შესწავლის დაწყებამდე წინარე ცოდნის *დიაგნოზირება* და აღმოიფხვრას შემლებისდაგვარად დანაკლისი ცოდნა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან ირკვევა, სემესტრის ბოლოს კათედრაზე ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, კერძოდ, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ხდება სტატისიკურად დამუშავება და განსაზღვრა თუ რა ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა, შემდგომ კი მიმდინარეობს ამ შედეგების დეტალური განხვილა და კურიკულუმში შეძლებისდაგვარად ასხვა და გათვალისწინება. გარდა ამისა, კათედრის წევრები განიხილავენ და აჯამებენ წარმატებით განხორციელებული კომპლექსური დავალებებს, მატრიცებს , პროექტებსა და კლასგარეშე აქტივობებს, რომელიც კათედრის შეფასებით კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებელია და გასაუმჯობესებელი მომავალი სასწავლო სემესტრისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სემესტრის დასაწყისში კათედრაზე განიხილავენ და თანხმდებიან შეფასების ინსტრუმენტების, შემაჯამებლების, შეფასების რუბრიკების შესახებ, თანხმდებიან შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვანი ფორმრბის შემუშავებაზე, სასწავლო წლის ბოლოს აფასებენ კათედრის მუშაობას და აანალიზებენ შედეგებს, ახდენენ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ტრადიცია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები დაეყრდნენ წინა სასწავლო წელს, კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებას. შეიტანეს დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების ვერსიები, რომლებიც, გასული წლების გამოცდილების საფუძველზე შექმნეს. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: ,,ახალი კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს აუცილებლად ვითვალისწინებთ წინარე გამოცდილებას,როგორებიცაა მოსწავლის,მასწავლებლის უკუკავშირი და რეფლექსიები.შემაჯამებლების ანალიზები,საკლასო-საშინაო დავალებების შედეგები და კომპლექსური დავალებების ანალიზი,ასევე კოლეგების გამოცდილება.“ ინტერვიუირების დროსაც გაირკვა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრამ ერთობლივად იმუშავა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმზე, რომელიც დაეფუძნა წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება გააამახვილეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. ვინაიდან სკოლას აქვს კომლექს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებმა წინა სასწავლო წლის კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზასა და ინვენტარზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა. საშუალო საფეხურის კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმი. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რესურსი 12 . ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კომპლექსური დავალების ბარათები, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. მშობელთა კრების ოქმები.

სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა, *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა,* ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს არაერთი სასწავლო პროექტისა და კომპლექსური დავალების განხორციელებას. ამ მხრივ კათედრას აქვს მდიდარი პრაქტიკა. საშუალო საფეხურზე კათედრა გვიზიარებს განხორციელებულ პროექტს ,,კონფლიქტების მოგვარება და გადაჭრის გზები“. აღნიშნული პროექტები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობასა და პიროვნულ განვითარებას უწყობდა ხელს. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „მკითხველი“, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთვაზობს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩასართავად სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმი სადაც ნაჩვენებია, ის სასწავლო პროცესები რომელიც მოსწავლეებში ინტერესი და მოტივაციის განმაპირობებელია, იქვე მოყვანილია კომპლექსური დავალებები რომლებიც მოსწავლეებისგან მოითხოვს სხვადასხვა შინაარსის სამუსაოების შექმნას რომელიც უნდა ასისახოს შემოქმედებით პროდუქტში, როგორიც შეიძლება იყოს, პოსტერი მაკეტი და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა ინტერვიუდან და ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ირკვევა, პედაგოგები დავალებებზე მუშაობის დროს მაქსიმალურად ცდილობენ კონსტრუქტივისტული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებას, კათედრას წარმოდგენილი აქვს საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი, სადაც ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომლებიც ითვალისწიბენ მოსწავლეების შემოქმდებით პროცესშო ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაძლებლობას. მაგალითად, წარმოდგენილ კურულუმებში, გვხვდება დავალებები, რაც გულისხმობს ნასწავლი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადატანას, კერძოდ, ბლოგის დაწერა, სადაც რჩევები უნდა მისცენ მეგობარს, როგორ გადაჭრან პრობლემა, ასევე წარმოდგენილია, კომპლექსური დავალება, რომელშიც მოსწავლემ მეგობრისადმი მიწერილ წერილში უნდა აღწეროს რეგიონში და მსოფლიოში არსებულ გამოწვევები, ასეთი შინაარსის დავალებები მოსწავლეებს ეხმარება უფრო აქტიურად ჩაერთონ. ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე, ასევე მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ამისთვის მასწავლებლები მუდმივად უქმნიან მოსწავლეებს პოზიტიურ, სწავლის ხელშემწყობ გარემოს. მოტივაციის ამაღლება ხდება თანამშრომლობითი სწავლის მეთოდით. ამ დროს მოსწავლე გრძნობს მეტ პასუხისმგებლობას შედეგზე. მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას, შინაგანი მოტივაციის ამაღლებას. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება და დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოსწავლისგან მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, ტექსტების შექმნის თუ ტექსტში წარმოჩენილი ეპოქების გაანალიზებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. ამას მოწმობს სკოლაში მიმდინარე წელს დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არაერთი პროექტი: „208–ე სკოლისა და ეკოვიჟენის მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი პროექტი „ ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკოსისტემაზე“, „ვანდალიზმი“; და ა.შ.რაც მიუთიტებს ,რომ სკოლას აქვს მზაობა **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეს მიეცეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა.ამისთვის მასწავლებლები ქმნიან პოზიტიურ,ხელშემწყობ გარემოს და იყენებენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდს,რომლის დროსაც მოსწავლე ინტერესთან ერთად გრძნობს პასუხისმგებლობასაც.მაწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სკოლაში ფუნქციონიონირებს სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე. კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო მუსიკალური კლუბი ,,მელომანი“ , რომლის მიზანია არაფორმალურ გარემოში მოსწავლეებში სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის მუსიკის, კომპოზიტორებისა და შემსრულებლების უკეთ გაცნობა, მხატვრული იდეის აღქმა, შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, ემოციური, ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება. დეკემბერში დაგეგმილია შემაჯამებელი კონცერტი ,,XX საუკუნის ჰიტები.“არაფორმალური განათლების მიზნით სასკოლო პროექტის ფარგლებში ,,გარემოს დაცვითი კულტურა“ დაგეგმილია დაწყებით საფეხურზე (მე-6 კლასი) პროექტი ,,მუსიკა და მცენარეები“ (თებერვალი). ასევე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრის დადგმა, ,,ვაჩუქოთ ბუნებას სიცოცხლე.“სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კლუბი. ამ ინფორმაციას ამტკიცებს წარმოდგენილი კლუბის სამუშაო პროგრამა, სამიზნე ჯგუფი, კლუბის მნიშვნელობა და აქტუალობა კლუბის მუშაობის მიზანი და კლუბის სამუშაო გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალო საფეხურის კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საშუალო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა, რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა

კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასწალო პროექტები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ინგვარად, რომ ყურადღება მახვილდება წინარე ცოდნაწე და მის მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში, სადაც უპირველესად აქტიურდება გავლილი მასალა ან შეისწავლება ის საკითხი, რომელიც შემდგომი სწავლებისათვის წინარედ მნიშვნელოვანია და მასზე დაფუშნებით ხდება ცოდნის აგება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც კურიკულუმებიდან, ისე პედაგოგთა ინტერვიუდან იკვეთება, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ ახალი თემის/ საკითხის ახსნამდე, მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიას, კერძოდ, ახალი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ჯერ ხდება წინასწარ გარკვეული ლექსიკისა და ტექსტის დამუშავება. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ შესაბამისი ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რამდენიმე გაკვეთილი სჭირდებათ, რათა სასურველ შედეგზე გავიდნენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილი პროცესის ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. თითოეული სამუშაოს ანალიზი, თვითშეფასება და შეფასება მასწავლებელს ეხმარება დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნის დონე და შემდეგ ააგოს ახალი ცოდნა. კომპლექსური დავალებები, გაკვეთილები ამ პრინციპზეა აგებული. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. თემები შერჩეულია ისე, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლემ შეძლოს პირად გამოცდილებაში გადატანა. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. საგნობრივი კურიკულუმებში მასწავლებელი ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. დაწყებით საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. აღნიშნული მოსწავლეებს სთავაზობს „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისკენ, ამასთანავე, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ ახლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღმოსაჩენად. სასწავლო პროცესში შექმნილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს, რათა თავად აღმოაჩინონ და გააკეთონ დასკვნები. სასწავლო პროცესში არ ხდება ინფორმაციის, როგორც ფაქტის ისე მიწოდება. სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების მიერ დასკვნების გაკეთება ხდება ანალიზზე და სინთეზზე დაფუძნებული მეთოდით. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; აღნიშნულიდან გამომდინარე , **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. გავლილ თემებში შესწავლილი ტექნიკური ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თემის ფარგლებში შესასწავლი ტექნიკური ელემენტები. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა.

საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება , რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფორმებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა

სწავლის სწავლების სხვადასხვა აქტივობები გამოიყენება მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად, მაგ; დამოუკიდებელი სამუშაო სადაც მოსწავლე ეძებს იმ ხერხებს და მიდგომებს რომელიც დაეხმარება სკოლას, მასწავლებელს და მოსწავლეს ცოდნის გამომჭღავნების კუთხით განახორციელოც საინტერესო აქტივობებოი, ამ პროცესებში მოსწავლე ჩართულია, როგორც მკვლევარი, რომელიც შეიმეცნებს ახალ საკითხს ახდენს ცოდნათა შორის მიმართებების დანახვას, ეუფლება გადაწყვეტილების ფაქტებზე დაფუძნებით მიღების ხერხებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან გაირკვა, პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას, სწავლის სწავლას, კერძოდ, კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება და ბოლოს აძლევენ შესაბამის უკუკავშირს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **საშუალო** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. პედაგოგები კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტს აკეთებენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ, როგორ ისწავლონ. ამისთვის იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, მრავალფეროვან მეთოდებს, სტრატეგიებს, აქტივობებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, ცნობისმოყვარეობა და მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმში, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენიათ, მაგრამ მიმდინარე აქტივობების ფარგლებშიც სისტემატურად უსვამენ მოსწავლეებს ე.წ პროცედურულ შეკითხვებს, რომლებიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა ინსტრუქციის შესასრულებლად. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

პროექტებზე მუშაობის პროცესი, მისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კურიკულუმებში წარმოდგენილ პროექტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს.მაგ.გამსვლელი ბარათები,მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური,კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა წარმოაჩინონ, რა შეასრულეს კარგად, რომელი აქტივობა მოეწონათ, რა გამოცდილება შესძინა, რა გაუჭირდათ და რას გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ ცხოვრებისეულ აქტივობებში. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს აუხსნან და გააგებინონ როგორ უნდა ისწავლონ, დაგეგმონ და შეძლონ მიღწევების შეფასება, როგორ დაინახონ პროგრესი საკუთარ წინსვლაში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ცოდნათა სამი კატეგორიაზე სწავლების ყველა ფორმასი მახვილდება ყურადღება, ეს შეიძლება იყოს კომპლექსური დავალება რომელშიდაც კითხვები არის იმ ფორმით დასმული, რომელიც უზრუნველყოფს ფაქტობრივი ცოდნისა და პროცედურული ცოდნის გააქტიურებისა და მუშაობის საშუალებას, ხოლო შემოქმედებით პროდუქტში ასახულია იმგვარად რაც საშუალებას იძლევა პირობისეული ცოდნა იყოს გააქტიურებული, აქვე ავღნიშნავ, რომ შემაჯამებელი ტესტი თუ სხვა დოკუმენტშიდაც დასტურდება რაზედა მასწავლებლებმა ისაუბრეს გასაუბრების დროს.

უცხოური ენები

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ცოდნის გააქტიურებას. მაგალითვის, შეიძლება განვიხილოთ, კომპლექსური დავალება, რომელიც გულისხმობდა სათავგადასავლო შემეცნებით ტურზე პრეზენტაციის მომზადებას, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, ხდება შესაბამისი სამეტყველო ქმედებებისა და ენობრივი საშუალებების დამუშავება, სანამ შეიქმნება საბოლოო პროდუქტი. ეს ყოველივე კი ბუნებრვია, გულისხმობს ორიენტირებას ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია **საბაზო** საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს სამი სახის ცოდნით უზრუნველყოფს: სტატიკური ანუ დეკლარაციული ცოდნით, დინამიკური ანუ პროცედურული ცოდნით, ფუნქციური ანუ ტრანსფერული ცოდნით. ტრანსფერული ცოდნა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ცოდნა ადეკვატურად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში. პედაგოგები აღნიშნავენ: მართალია, ტრანსფერი თავისთავად არ ხდება, საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევნის შეთავაზება. სწორედ ამიტომ სკოლის მასწავლებლები ცდილობენ შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასაწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას, რაც დასტურდება იმით, რომ კურიკულუმში მოცემული დავალებები მოითხოვს როგორც დეკლარატიული, ისე პირობისეული და პროცედურული ცოდნის გამოყენებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი ქვესაკითხების მაგალითზე (კვლევა, ანგარიში) წარმოაჩინეს, როგორ წარმოუდგენიათ დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული შინაარსის შეკითხვების საშუალებით მოსწავლეებს გააზრებინონ მოვლენა. ობიექტურად შენიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები თავისთავად ეუფლებიან სამივე კატეგორიის ცოდნას, რადგან ისტორიულ მოვლენის გააზრება სხვაგვარად წარმოუდგენელია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე მიმდინარეობს პროექტული სწავლება. საშუალო საფეხურზე ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წელს X-კლასში განხორციელებულ პროექტის გეგმაში, რომელიც სრულყოფილადაა გაწერილი,სტანდარტთან შესაბამისობაშია და დეტალურადაა აღწერილი პროექტის მსვლელობისას განხორციელებული აქტივობები თავისი მიზნებით. სკოლა თვითშეფასების ფორმაში წერს: მოსწავლეთა უნარების,შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარებისთვის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას.მოსწავლემ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით უნდა შექმნას,განახორციელოს და გამოიყენოს ფუნქციურად.ყოველივე ამას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებები,პროექტები და არაფორმალური სწავლების აქტივობები.ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას.სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს სხავა საგნებთან ინტეგრირებულად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაშია ქართული ენისა და ლიტერატურის, ბუნებისა და ისტ-ის ინტეგრირებული სასწავლო პროექტი თემაზე : „გახდი მეღვინე“. ასევე, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას, რაც ცოდნათა ორგანიზებაში დაეხმარება მოსწავლეებს. სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ცოდნათა ორგანიზებისათვის, გამოიყენება კომპლექსური დავალება, რომელიც თემის ფარგლებში წარმოადგენს იმ საკითხებს შორის ურთიერთ მიმართების საფუძველზე რაიმე სახის პროდუქტის შექმნას, როგორიც შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური სახით. გასაუბრებაზე აღინიშნა ასევე გაოიყენება ისეთი ტესები რომელიც მოითხოვს წინარე ცოდნის გამოყენებით ახალი საკითხის კლასტერის, შეკვრას და გამოყენებას დასმული პრობლემური შეკითხვის გადასაჭრელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილი კურიკულემბიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში და პროექტებში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია პროექტი. მაგალითად, სკოლის მიერ განსახორციელებული პროექტი „ტყე შევუნახოთ შვილებსა“-ნადარბაზევის ტყის მასივის გაწმენდა ნაგვისა და მავნე ნარჩენებისგან: ლაშქრობა ზედაზენზე. მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ გარემოს დაცვა კონცენტრირდება არა გარკვეული ლანდშაფტების ან ცალკეული საფრთხეში მყოფი ცხოველებისა თუ მცენარეების დაცვაზე, არამედ ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების ერთი მთლიანობის შენარჩუნებაზე, ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობისათვის. გარემოს დაზიანების ნაციონალური და რეგიონალური შედეგების მაგალითებია: ცხოველთა და მცენარეთა სახეობების გადაშენება, ნიადაგის მოწამვლა, ნიადაგის ეროზია, ნაგვის (ნარჩენების) მთები, ჰაერში მომწამლავი ნივთიერებების შემცველობის ზრდა, მძიმე მეტალებითა და პესტიციდებით დაბინძურებული საკვები და ზრდადი ხმაური. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი X კლასში სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს,რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. აღნიშნულს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული პროექტები. სასკოლო პროექტის ფარგლებში საბაზო საფეხურზე მოეწყო ფილმის ჩვენება ,,გუნდის მომღერლები“. ფილმის სიუჟეტი ასახავდა მნელად აღსაზრდელ მოსწავლეთა პანსიონატის მკაცრ რეჟიმს და აღმზრდელებდა და აღსაზრდელებს შორის არსებულ დაპირისპირება- კონფლიქტს, რომელსაც ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ჰუმანური მიდგომებითა და განსხვავებული მეთოდებით შეცვლის. ფილმის დასრულების შემდეგ დისკუსიის და მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა აზრი, რომ ჰუმანური მიდგომითა და ემპათიის უნარის გამოხატვით შეიძლება ადამიანებში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით სამი საგნის,მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და ქართული ენა და ლიტერატურის ინტეგრირება მოხდა.

სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის

ამ მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები: მძლეოსნობის ელემენტები, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშები (საკუთარი სხეულის წონით), უსაფრთხოება, გასართობი თამაშები ფრენბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის ელემენტებით, გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით და ლაშქრობა, რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები, პროექტები, საბაზო საფეხურის კურიკულუმები, კლუბების დოკუმენტაცია. სასწავლო პროექტი.

მასწავლებლების ანგარიშები. სასკოლო სასწავლო გეგმა;

კათედრის /სხვა საგნობრივი გაერთიანებების ამსახველი მასალები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**.

სახელმწიფო ენა

საშუალო კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების მატრიცები, განხორციელებული კომპლექსური დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამიზნე ცნებებს ამით პედაგოგი აჩვენებს, რომ მისთვის მთავარ ორიენტირს სასწავლო პროცესში წარმოადგენს მათემატიკის გრძევლადიან მიზანზე გასასვლელი ცნებები, ამისათვის სკოლაში შუალებურ მიზნად გამოყენებულ კომპლექსურ დავალებაში ჩასნებულია ისეთი აქტივობები, რაც ხდის პროცესებს გრძელვადიან პერიოდში განზოგადებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საუკეთესო საშუალებას, და ეს ყოველივე შემოიფარგლება იმ მკვიდრი წარმოდგენებით რაც უნდა დაიფაროს თემის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალებების გამოყენება, მეტ-ნაკლებად წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ასევე ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, არა მარტო გაწერილი კურიკულუმები, არამედ განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც, რომელიც მასწავლებელთა ინტერვიუდან გაირკვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილ **საბაზო** საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გამოავლინა ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებლებმა ისაუბრეს და აქცენტები გააკეთეს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გამოწვევებზე. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს, რადგან თითოეული სასწავლო თემისთვის განსაზღვრულია, რა ტიპის დავალებაში გააქტიურდება საფეხურის სამიზნე ცნებები. ეს ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. მათ გაანალიზებული აქვთ შერჩეული დავალებების ფუნქცია, მიზნები, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლეს ცოდნის განზოგადებისკენ უბიძგონ. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალო საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს პროექტებით,რომლებშიც ჩაშენებული იქნება კომპლექსური დავალებები. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკური ელემენტების შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად , დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტის მიზანია შემოქმედებითი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ დაწყებითი კათედრა ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები არის ისე შერჩეული მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობა რაც იწვევს ემოციურ სტაბილურობას, გაკვეთილზე წახალისებულია თითოეული მათგანის ფასუხები მცდარიც რომ იყვეს და ემოციური სტრესისგან დაცულია საწავლო გარემო, გაკვეთილზე ყურადღება არ მახვილდება კონკრეტულ სოციალურ განმასხვავებელ ფაქტორებზე, არამედ ფსიქო სოც განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხური ენები

წარმოდგენილ კურიკულუმებში არის ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, გვხვდება ისეთი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სოციალური უნარების განვითარებას, გაუზიარე, მისწერე წერილი მეგობარს, იმუშავე წყვეილებში და ა.შ. გარდა ამისა, სასკოლო პროექტის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, იქ წარმოდგენილი აქტივოებები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ სასწავლო პროცესი, მისი დაგეგმვა და განხორციელება ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო - სოციალურ განვითარებას. კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. გადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ **საშუალო საფეხურზე** წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. სამომავლოდ იგეგმება კიდევ უფრო მეტი აქტივობების განხორციელება მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით და გააზრებული აქვთ. ამას მოწმობს არაფორმალური განათლება ,რომელსაც სკოლაში აქტიურად იყენებენ ,ეს იქნება განხორციელებული თუ განსახორციელებელი პროექტები მიმდინარე სასწავლო წელს, ასევე სამოქალაქო განათლები კლუბი. ისტორია–მოქალაქეობის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს დაარსებული „დებატ კლუბი“.სადაც მკაფიო იყო მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითრებაზე ორიენტირებული აქტივობები, რაც მაფიქრებინებს, რომ პროექტული სწავლება არის კათედრის ძლიერი მხარე და მას გამოიყენებენ მოსწავლის კოგნიტური და სოციო-ემოციური განვითარებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.

ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მეათე კლასში მუსიკისა, სახვითი და გამოყენებითი საგნების სწავლების დროს სავალდებულო თემებიდან პროექტებისთვის საკითხები იმგვარად იქნება შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „რადგან სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას,მნიშვნელოვანია იგი აღიჭურვოს იმ უნარებით,რომ შეძლოს ამოიცნოს და მართოს საკუთარი ემოციები და პასუხისმგებელი იყოს საკუთარ ქცევებზე.ამ მხრივ გვეხმარება კომპლექსურ დავალებებში გაწერილი აქტივობები, სადამრიგებლო პროგრამა და არაფორმალური განათლება. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადააა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მაგ. საგან მუსიკაში, განხორციელებული აქვთ პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება.კერძოდ, „მუსიკა-თერაპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და პიროვნების სოციალიზაცია. მოსწავლეებმა ჩაატარეს ვრცელი კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით.მათთვის ნათელი გახდა, რომ მუსიკას ძალიან დიდი და დადებითი გავლენა აქვს ადამიანებზე. ნათელი გახდა, რომ დღესდღეობით მუსიკა-თერაპიით მკურნალობა ტარდება საავადმყოფოებში, სარეაბილიტაციო ცენტრებში. მკურნალობენ დეპრესიითა და ნერვულ აშლილობით დაავადებულ ადამიანებს. კვლევის შედეგად, გაიგეს, რომ მუსიკა-თერაპია ძალიან დადებითად მოქმედებს აუტიზმისა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტი: უსაფრთხოების, მავნე ჩვევების (მავნე ჩვევების სახეები), ჰიგიენის (პირადი ჰიგიენა), თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალგვარი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება, სოლო, ჰოლისტური რუბრიკები) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია ~**

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების ჰოლისტურ რუბლიკაში კარგად იკვეთება, სადაც ყურადღება არის გამახვილებული იმ ძირითად თეზისებზე რომელიც მოსწავლის შეფასებისათვის არის არსებითი, რომლებიც პუნქტობრივად ასახავენ იმ ნიშან თვისებებს რაც უნდა დაიძლიოს თემის ფარგლებში და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ძირთადად, კათედრის წევრები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და კონკრეტული დავალების შესრულების დროს აძლევენ მოსწავლეებს ზეპირ უკუკავშირს. აგრეთვე ამ ეტაპზე კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, ყველა კლასისთვის და ან წლის ბოლოს ხდება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად ოფიციალურად ელექტრონულ ჟურნალში გაგზავნა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოხდეს მოსწავლის ჰოლისტური განვითარება, შეფასების სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსწავლე უნდა იცნობდეს შეფასების რუბრიკებს, რის მიხედვითაც იგი ფასდება. ამიტომ ისინი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, მუდმივად, განუყოფლად მოსწავლის ყოველდღიურობასთან. შეფასებისას ცდილობენ გამოავლინონ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და მისცენ მას კონსტრუქციული უკუკავშირები. ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას, სიტყვიერ კომენტარებს, სიტყვიერ უკუკავშირებს, თუმცა საჭირო დროს შეფასებას აკეთებენ წერილობითი ფორმითაც. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი მოსწავლეების შეფასებისას იყენებს შეფასების რუბრიკებს, რომლის მომზადებისას ხელმძღვანელობს საგნობრივი სტანდარტით. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია..**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკური ელემენტების შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკური ელემენტი სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

სახელმწიფო ენა

300

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიის ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

განმავითარებელი-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წარმოადგენს მოსწავლეების მრავალმხრივ შეფასების საშუალებას სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური საფუძველზე აგებული საგნობრივი საკითხები, რომელიც იშლება მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით სამიზნე ცნების მისაღწევად რომელიც საბოლოო ჯამში მათემატიკის მაკრიო ცნებების განზოგადებისაკენ მიდის, გასაუბრებაზეც გამოითქვა ამ კუთხით მოსაზრება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

კათედრას ძირითადად, წარმოდგენილი ჰქონდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკებო, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, დავალების შეფასებისას, ძირითადად მიმართავენ ზეპირ უკუკავშირს, თუ რა აქვს გასაუმჯობესელი, რა გამოუვიდა კარგად, და როგორ შეიძლება გამოსწორება, ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა მეტად დახვეწოს პრაქტიკა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბუნებისმეტყველების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში ასახულია, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასება. მასწავლებლებმა იციან, როგორ უნდა შეარჩიონ შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. შესაბამისად, მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ, დაინახონ, რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმევენ საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირება გაუკეთონ წარმოდგენილ რუბრიკებს, შეფასების სქემებს, გახადონ კიდევ უფრო დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი, შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ. კურიკულუმების მიხედვით, თემების ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება,თემის სრული მასალის შეჯერება,მოსწავლეთა თვითშეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ სკოლა თვითშეფასებაში წერს: მნიშვნელოვანია,რომ მოსწავლეს ჰქონდეს განცდა,რომ ვაფასებთ მის იმ უნარს, რისი შეფასებაც გვინდა.იცის როგორ ფასდება მათ მიერ შესრულებული დავალება,პროდუქტი.უზრუნველყოფილია სამართლიანი შეფასების კრიტერიუმები. ამოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდაში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სახელმწიფო ენა

სკოლის წარმოდეგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად) და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში არის მზაობა დაინერგოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლა ცდილობს, რომ ჰქონდეს შეფასების ერთიანი სისტემა სადაც მოხდება იმ მიღწევების ანალიზი რომელიც სწავლა სწავლების დროს მიმდინარეობს, რაც ქმნის იმ ფონს, ყველა საგნობრივი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს ისეთი შეფასების პროცესები რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის, რა ფასდება? და როგორ? **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

სკოლას აქვს შეფასების განსაზღვრული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

როგორც მასწავლებელთან გასაუბრებისას, ასევე წარმოდგენილდოკუმენტაციაში ჩანს. შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგები ატარებს შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებს ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება მომდევნო გაკვეთილები. ვერიფიკაციის შედეგად მასწავლებლები ახდენენ ინფორმაციის მიღებას სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლას წარმოდგენილი დოკუმენტი, რითაც დასტურდება,რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი,შრფასების ინსტრუმენტების შერჩევა,ვალიდაციის წესი და პროცედურა.აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მეთოდად სკოლა იყენებეს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, მოსწვლეთა და პედაგოგთა რეფლექსიებს, პორდფოლიოებს. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით დგინდება რამდენად ეხმარება შეფასებ სისტემა მოსწავლეს, რამდენად იმართება სწავლა-სწავლების პროცესი. ვერიფიკაციის შედეგად იღებენ სამი მიმართულებით ინფორმაციას: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესება როგორც კათედრებთან თანამშრომლობითა და წინა წლების გამოცდილებების გაზიარებით, ასევე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შედგენით. ვერიფიკაცია დაფუძნებილი იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ სადიაგნოსტიკო ტესტის განხორციელებას სემესტრში ერთხელ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით....

სახელმწიფო ენა

როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, სკოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე მატერიალურად შეინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტაციის შენახვას გარკვეული დროის განმავლობაში თუმცა არ კონკრეტდება დრო, მაგრამ გასაუბრებაზე აღინიშნა შემაჯამებლის ფორმებს და ნიმუშებსაც ინახავს მასწავლებელი კათედრაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც ინტერვიუდან და დოკუმენტებიდან გაირკვა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვას, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით, კერძოდ, პედაგოგები ინახავენ სპეციალურ საქაღალდეებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტების წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შენახულია და სათანადოდ აღრიცხულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ ინფორმაცია/მტკიცებულებები არანაკლებ 3 წლის ვადით. ამდენად,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ:.სასწავლო წლის ბოლოს თითოეული საგნის მასწავლებელი აღრიცხავს და ინახავს მოსწავლეთა როგორც შემაჯამებელ,ასევე კომპლექსურ დავალებებს,რეფლექსიებს.კათედრის ხელმძღვანელები- საგნობრივი მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობის ამსახველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტააციას.დამრიგებლები კი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში გაწერილ მოსწავლეთა ნამუშევრებს.აღირიცხება და ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები.“ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სათანადო წესით შევსებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები ინახება საგნობრივ კათედრებზე და მოსწავლის პირად საქმეებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და მათ შორის სსიპ ქალაქ თბილისის N 208 საჯარო სკოლაც იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული საგნის მასწავლებელი აღრიცხავს და ინახავს მოსწავლეთა როგორც შემაჯამებელ, ასევე კომპლექსურ დავალებებს. რეფლექსიებს კათედრის ხელმძღვანელები - საგნობრივი მიმართულებითგანხორციელებული საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას, დამრიგებლები კი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში გაწერილ მოსწავლეთა ნამუშევრებს. აღირიცხება და ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმი, პროექტები, შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი/ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ვერიფიკაციის დოკუმენტი. სასკოლო სასწავლო გეგმა, პედ.საბჭოს ოქმი. სასკოლო სასწავლო გეგმა. კათედრის /სხვა საგნობრივი გაერთიანებების ამსახველი მასალები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სახელმწიფო ენა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რემედიაციის გეგმა) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის და საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე, სკოლა ქმნის თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთო, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ერთწლიან სამოქმედო გემაში მნიშვნელოვანი ყურადრება ეთმობა სსსმ მოსწავლეებისათვის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და თანამშრომლობით. ბოლოს შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მაქილმალურად ზრუნავს შექმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა

სკოლა ზრუნავს ჰქონდეს ისეთი გარემო შექმნილი კათედრაზე სადაც მოხდება მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება ამას ადასტურებს კათედრის ოქმნი სადაც ნათქვამია, რომ კატედრამ იმსჯელა სამუსაო გეგმაზე სადაც განხილული იყო, რომ კათედრას უნდა გაეაზრებინა სუსტი და ძლიერი მხარეები და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც ინტერვიუდან გაირკვა სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა ცდილობს შემლებისდაგვარად სასწავლო პროცესი იყო პოზიტიური. აგრეთვე, ინტერვიუში ახლმა პედაგოგმა, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, სკოლაში ძალიან ღია და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ს გარემოს, სადაც თავს მაქიმიმალურად კომპფორტულად გრძნობდა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, წრეები და კლუბები მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე იქმნება, სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში არსებულ მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორები: ა) კათედრის ყველა წევრი ერთობლივად წარმოადგენდა სკოლას და იცავდა სკოლის ინტერესს ინტერვიუს მიმდინარეობისას; ბ) კურიკულუმი შემუშავდა საერთო ძალისხმევით, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოიკვეთა მასწავლებელთა უკუკავშირით; გ) წარმოადგინეს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრების რეფლექსია, გაცემული/მიღებული უკუკავშირითურთ; დ) ითანამშრომლეს მშობლებთან და გააცნეს მათ კომპლექსური ტიპის დავალებების შინაარსი; **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში ძლიერ მხარედ ასახელებს,რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო და აღნიშნავს: სასკოლო სასწავლო გეგმა იგეგმება ისე,რომ მოსწავლისათვის შექმნას ღია მხარდამჭერი და მიმღელობითი გარემო.სკოლის მისია,ხედვა ,საგნობრივი პროგრამები,შეფასების მექანიზმები მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადაა გვერდით დაუდგეს და დააძლევინოს ეს პრობლემები. მაგალითად სკოლაში ამ მიმართულებით მოეწყო ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა.აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე, იგეგმება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. მოსწავლეები ზრუნავენ და დახმარებას უწევენ ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობების შესრულების დროს. ხდება მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება უკუკავშირების, რეკომენდაციების მიცემა/გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სახელმწიფო ენა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლის სტრატეგიული გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა და სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. სკოლას აქვს გამოცდილება არაფორმალური განათლების განხორციელების, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. სკოლაში არსებული სასკოლო კლუბები და პროექტული სწავლება საგნობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების გარდა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, საწავლო პროცესში აქტიურ ჩართვას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესისი დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და სწავლების შედეგს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარე სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინდიკატორი შესაბამისობაშია

მათემატიკა

მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ზრდისათვის კათედრა აკეთებს შემაჯამებელ შეხვედრებს რომელიც ოქმი #6 დასტურდება სადაც წლის განმავლობაში კათედრა კრებს ყველა დოკუმენტაციას რომელიც მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზს ეხება და სხვა სასწავლო პროცესში გამოყენებულ დოკუმენტებს რომელიც ადასტურებს რომ პროცესებია ანალიზი მიმდინარეობს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

დოკუმენტებსა და ინტერვიუზე დაყრდობით, შეგვძილია ვთქვათ, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობები და პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ასევე როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე დიაგნოსტიკური წერების სასკოლო პრაქტიკა არ არის უცხო ენის კათედრაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ კათედრას ჰქონდა დიაგნოსტიკური წერების გამოცდილება სხვადასხვა საფეხურზე სასკოლო წერების სახით. ახალი სასწავლო წლიდან კი იგეგმება სადიაგნოსტიკო წერის შემოტანა, პარალელური კლასის მასწავლებლები წინასწარ შემუშავებულ ტესტების საფუძველზე, ჩავნიშნავენ და განვახორციელებენ სადიაგნოსტიკო წერას წლის ბოლოს. მსგავსი მიდგომა, კი დაეხმარება სკოლას, სასწავლო პროცესი დაგეგმოს უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის პიროვნულ და ემოციურ განვითარებაზე, სოციალური უნარების გამომუშავებაზე, საგნობრივი საკითხების საფუძვლიან ანალიზზე; კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები, ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი კულტურა. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ არაფრომალურ განათლებას,ახორციელებენ მრავალფეროვან და საინტერესო პროექტებს.**ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

თვითშეფასების ფორმაშიც ჩანს სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები,რა შეუძლია მას.ახალი სასწავლო წლიდან დაგეგმილი გვაქვს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების შესრულება . სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების დოკუმენტები . ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოს. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად სასწავლო პროცესის ცენტრშია მოსწავლე და მისი ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესში გამოიყენება მათ უნარებზე მორგებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებები, აქტივობები ასევე ხდება მასწავლებელთა მიერ წახალისება. ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე, სასკოლო საზოგადოების წარმატებას ერთობლივი მუშაობა, გუნდურად პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს. კერძოდ, კათედრების წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, საგანთა შორის კავშირების დამყარება, რაც გამოიხატება ინტეგრირებული აქტივოების ჩატარებაში და სხვადასხვა სასკოლო პროექტებში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აქცენტები კეთდება, სწორედ, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდერბასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

თანამსრომლობითი კულტურის გაზრდისათვის სკოლაში ხდება გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება სადაც განიხილება ყველა ის მიგნებები რომელიც სასწავლო პროცესში სწავლის ეფექტურად წარმართვას უწყობს ხელს. ასევე შემდგომ ამისა გაიცემა რეკომენდაციები. მოწოდებული გაკვეთილზე დასწრების ოქმით დასტურდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც ინტერვიუდან ჩანდა, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რადგანაც, კათედროს წევრებს ჰქონდათ ერთმანეთთან კონსტრუქციული კომუნიკაცია, აღსანიშნავია, ასევე რომ სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, როგორც ახალმა მასწავლებელმა აღნიშნა არის მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემო სკოლაში, სადაც ერთმანეთს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრის წევრებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობითა და მხარდაჭერით.ინტეგრირებული გაკვეთლებით,განხორციელებული პროექტებით. ამავეს უსვამს ხაზს კათედრის წევრთა ერთობლივი და პოზიტიური მცდელობა, ჩაერთოთ მშობლები შვილების სასწავლო პროცესში და ამ თვალსაზრისით განხორციელებული აქტივობები. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მასალები და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“ ძალიან ხშირად გეგმავენ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა,ქართულის მასწავლებელთან ერთად დაიგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილიაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ ქალაქ თბილისის N 208 საჯარო სკოლის მიერ წარმდგენილი დოკუმენტაციიდან და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები ინტერვიუს მსველობის დროს ადასტურებენ, რომ სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვა ეფუძნება სასკოლო საზოგადოებაში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის არსებობას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები მუშაობენ ერთად და გაერთიანებულნი არიან საერთო მიზნის ირგვლივ. სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს, წარმატებებსა თუ წარმოქმნილ პრობლემებს. ერთად გეგმავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა კომპლექსური დავალებების შექმნასა და დაგეგმაში. დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **იდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა

სასკოლო საზოგადოებასა და სკოლას შორის არის კარგი კომუნიკაცია. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, რაც აისახება სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, დაგეგმილ სადამრიგებლო პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებში. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად მათემატიკის მასწავლებლები ზრუნავენ შექმნან ისეთი გარემო, სადაც ხელი შეეწყობა თითოეული პედაგოგის წინსვლასა და წარმატებას. ამისათვის სკოლაში განხორციელდა მასწავლებლებს შორის ურთიერთდასწრების გაკვეთილი სადაც გაიცა კონსტრუქტივისტული უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

როგორც ინტერვიუდებიდან ჩანდა, სკოლაში შექმნილია პოზიტიური კლიმატი, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას, რადგან კათედრის წევრები ცდილობენ მუდმივად იაქტიურონ ერთმანეთთან და სხვა კათედრებთან საერთო მიზნის მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობაზე კლასისა და სკოლის დონეზე. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას. კათედრამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დირექცია ხელს უწყობს უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფა კარგად ჩანდა ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს: სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო და სოციალურ პროექტებში. მასწავლებლები გამოვხატავთ ურთიერთპატივისცემას, როგორც კოლეგების, ისე მოსწავლეების, მათი მშობლების და მომსახურე პერსონალის მიმართ. კლასში გაკვეთილები მიმდინარეობს მშვიდ გარემოში, მოსწავლეებს აქვთ ნდობა მასწავლებლების მიმართ, ისინი გაბედულად და თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს და შეხედულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ტარდებოდა სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ამ პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მოსწავლეებისთის შექმნილია პოზიტიური კლიმატი კლასში და სრულიად სკოლაში. პოზიტიური გარემოს შემქნაზე ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. **იდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები, ტრანზაციის გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,

დანართი N2 შემაჯამებლები და ანალიზი. *ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარების ოქმი,* პროექტები

.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, როლის თანახმად მონიტორინგი და შეფასება არის კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესის ნაწილი. სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის სასკოლო საზოგადოების წევრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მხარდაჭერისა და დახმარებისთვის მუდმივად ხდება პროცესების მონიტორინგი. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და მოიცავს კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზს ამ მიზნით ხდება სასწავლო პროცესებზე დაკვირვება, შეფასება და შედეგების გაანალიზება. ხდება მასწავლებელთა შეფასება, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **იდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნეს ,რომ სასკოლო პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებისგან და დამკვირვებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს და გეგმავენ მოსწალეზე მორგებულ კომპლექსურ დავალებებს. კათედრები ახდენენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს, ატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. ამდენად, სკოლას აქვს მზაობა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **იდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. ამ ეტაპზე აღნიშნული ღონისძიებები არ ხორციელდება ვინადან სკოლა იმყოფება კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე. აღნიშნული პროცესის განხორიელებას სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლისათვის როდესაც განახორციელებენ შექმნილ კურიკულუმებს. იდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა შეფასებისას იყენებს საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, კათედრა გეგმავს ჩატაატაროს (გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია) დიაგნოსტიკური ტესტირებება, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებდნენ სადაგნოსტიკო ტესტებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის სისწორეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, დაწყებით საფეხურზე არის სადიაგნოსტიკო ტესტების ჩატარებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის კარგი პრაქტიკა. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, ჩანაწერთა დღიურს, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

4.შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შეფასების ზოგადი რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები, ჩნაწერთა დღიური) შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლაში დანერგილია კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება.

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

2.სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. ასევე, გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (სადიაგნოსტიკო ტესტი, შემაჯამებელი დავალების ანალიზი) ჩანს, რომ სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისა და ანალიზის გამოყენების პრაქტიკა. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმები შეიქმნას წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე. მომავალი სასწავლო წლისთვის შეირჩა ინსტრუმენტი N2, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. რესურსი 12. მასწავლებელთა რეფლექსიები. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

თავჯდომარის ხელმოწერა -თეა გაბელაია -

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი - მზია გელაშვილი-

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-მაია ქევხიშვილი-

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი- ციალა ჩიტია-

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი- ანანო შანავა -

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- ლია ციცქიშვილი-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი- ნანა ნოზაძე-

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- მარიამ ჯვარიძე-

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-შაქრო ჟღენტი-

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-.კობა დეკანაძე-

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- მაკა ინაშვილი-

თარიღი: 01.12.2023 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---